# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი 29 თებერვალი 2000 №36 (1058) | ფასი 50 თეთრი


## 3 საქართველოს სუპერთასისთვის კვიპროსიდან მოიჩქარიან

დღეს სუპერფინალში „დინამო“ „ტორპედოს“ უმასპინძლებს

## 10 სად მიდიხარ, ალან...



ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ალან შირერი ინგლისის ნაკრებიდან წასვლას აპირებს

## 12 19 ტური 13

### თსუ თუ მაკაბი?

ექვსეულში ერთი ადგილიღა დარჩა

## 15 რუსებმა ევროპას გადაურბინეს

უილსონ კიპკეტერს იური ბორზაკოვსკით აშინებენ

# თასი საცვლების ამარა

ბადრი კეთილაძის ფოტო



გუშინ დიღომში: „ლოკომოტივი“ — „თბილისი“ 1:1. ძოძუაშვილი და მაჭავარიანი (№5)

### საქართველოს თასი

მერვედფინალი
28 თებერვალი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 1 |
| თბილისი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| თსუ | 1 |
| დილა | 3 |
| ზოოვეტი | 0 |

*კარგი იქნება, თასის მერვედფინალური მატჩები სტადიონისმაგვარზე მაინც თუ ჩატარდება. უბრალოდ, უხერხულია, უსკამო, უშუქო, უწყლო, უყველაფრო ვითომგასახდელისკენ მიმავალმა ფეხბურთელმა გასაშრობად გაფენილ ვიღაცის საცვლების ქვეშ გაიაროს.*

იხილეთ მეორე გვერდი

# ბარსელონა მწუხარე სახის ქალაქია

## მადრიდელთა იმედი რეალური იყო

*ჯერ იყო ხანგრძლივი ლოდინი. შემდეგ გადაჭედილი „სანტიაგო ბერნაბეუ“. გასახდელების დერეფნისკენ მიპყრობილი 80 ათასი ადამიანის ცნობისმოყვარე მზერა: ითამაშებენ თუ არა რაული, ანელკა, მორიენტესი? ითამაშეს, თანაც როგორ. რობერტო კარლოსმა თავისი ჯადოფეხით ანგარიში გახსნა. ანელკამ პირველად გაიტანა პრიმერა დივიზიონში. მორიენტესმა უზადოდ დაარტყა — 3:0. რაულმაც გაიტანა — არნაუს თავზე გადაუგდო ბურთი, მაგრამ მსაჯმა, თამაშგარეაო. საბოლოოდ, უსწრაფესად გალეული 90 წუთი და... „ბარსელონა“ ისევ იბრძვის ჩემპიონობისთვის, თუმცა ეს რომც მოახერხოს, კატალონიელებს გულში ერთი ხინჯი მაინც დარჩებათ — „კამპ ნოუზე“ ფრე იყო, მადრიდში კი შერცხვენა.*

იხილეთ მერვე გვერდი

REUTERS მადრიდიდან



რეალი — ბარსელონა 3:0. მადრიდელებმა რაულმა და რედონდომ (№6) რივალდო და ბარსელონელები წააქციეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს თასი
# მერვედფინალი

# თასი საცვლების ამარა



ცეზარ ხუროძე (№10) და ილია კანდელაკი

თბილისი
28 თებერვალი
15 საათი
ლოკომოტივის
დიღმის ბაზა
300

**ლოკომოტივი 1:1 თბილისი**

1:0 ჭიჭველიშვილი (61), 1:1 ბურდული (71ბ)
ლოკომოტივი: ლომაია, კაციაშვილი, სალუქვაძე, გ. ჩიხრაძე, დ. ბაქრაძე (ვ. გველესიანი 78), ჭიჭველიშვილი, პარამონოვი (გულორდავა 46, (გ. გვაზავა 71), დ. გოდერძიშვილი, რუსია, ხუროძე, ძოძუაშვილი
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; გოლეთიანი, ჩაჩუა
თბილისი: ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, პაპიძე, კანდელაკი, ი. შენგელია, ნორაკიძე, ბურდული, დ. ტყებუჩავა, გადელია, გონჩაროვი
*სათადარიგონი:* მამალაძე; ენუქიძე, კოხრეიძე, ლაბაძე, ლოლაძე, ჩივაძე, ყუფარაძე
გაფრთხილება: ძოძუაშვილი (58), ბათიაშვილი (88)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. შენთეშაშვილი, ლ. სილაგავა (თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

კობა ინასარიძე

ორკვირიანი კვიპროსული შეკრებიდან დაბრუნებულმა „ლოკომოტივმა" გუშინ საშინაო სარბიელზე ისეთი ვერაფერი გააკეთა, ვთქვათ, კუნძულზე მომზადება ერთობ დასტყობიაო. საქართველოს თასის პირველ მერვედფინალურ მატჩში რევაზ ძოძუაშვილის შეგირდები თბილისიდან გაუსვლელ „თბილისთან" რამდენიმე ბურთის სხვაობით მოგებას რომ ფიქრობდნენ, ოდენ ფრეს დასჯერდნენ.

აშკარაა, „ლოკომოტივს" შეთამაშება აკლია. ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა. გუშინაც ძირითადი შემადგენლობისთვის ძოძუაშვილმა შვიდი ისეთი მოთამაშე შეარჩია, რომლებიც ახალწვეულებად ითვლებიან. თანაც რკინიგზელებს კვარაცხელიასა და არბამიძის გარეშე მოუწიათ თამაშმა, თასის ამ გათამაშებაში მათ „თბილისის" მაისურა ეცვათ. ყოველივე ამასთან ერთად თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „თბილისი" ბათუმიდან წამოსულმა მცველმა პაპიძემ და თავდამსხმელმა გადელიამ მოაღონიერეს, გუშინდელი ფრე ლოგიკურიც იყო.

„ლოკომოტივის" საწვრთნელი ბაზის ოღროჩოღრო მინდორზე სახიფათო მომენტებიც იშვიათად იქმნებოდა, უმეტესად „თბილისის" კართან. ბათიაშვილი ყოჩაღობდა, ხუროძე რამდენსაც არ ეცადა, მაინც ვერ გაიტანა, უფრო სწორად, მეკარემ არ გაატანინა, თავდამსხმელმა სამჯერ დაარტყა, ერთხელაც ბათიაშვილთან პირისპირ დარჩა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ლომაია კი თითქმის უსაქმოდ იყო. მხოლოდ ერთხელ შეწუხდა, როცა ბურდულის საჯარიმოდან ძლიერად დარტყმული ბურთი ხელებში დაიჭირა. წუთის შემდეგ „ლოკომოტივის" კარის სიახლოვეს დანიშნული ჯარიმა მაჭავარიანმაც შეასრულა, მაგრამ ბურთი ჩიხრაძეს მოხვდა და კუთხურზე გადაგორდა. კიდევ წუთიც მიილა და რკინიგზელებმა გაიხარეს. ძოძუაშვილის წაქცევისთვის ფანიაშვილმა „თბილისის" კარის საჯარიმოდან დაახლოებით სამ მეტრში კიდევ ერთი ჯარიმა დანიშნა. ჭიჭველიშვილმა დაარტყა, ბურთი „თბილისის" მცველს მოხვდა, მერე კარის ძელს და ანგარიშიც გაიხსნა. ბათიაშვილს კაცი ვერ გაამტყუნებს.

რამაზ მამალაძის შეგირდებმა ძოძუაშვილისას 10 წუთში უპასუხეს. ჩიხრაძე საკუთარ საჯარიმოში გონჩაროვს ეჯახება. პენალტი კი კაპიტანმა ბურდულმა უნაკლოდ შეასრულა.

მერე „ლოკომოტივი" ბევრს ეცადა, მინიმალური სხვაობით მაინც ემარჯვა, მაგრამ „თბილისის" დაცვა უშეცდომოდ თამაშობდა. ერთხელ, ბოლო წუთზე, გვაზავას ვერ შეუშალეს ხელი, მან თავური დაარტყა, თუმც მათდა ბედად ბურთი მცველს მოხვდა და... მატჩიც მაშინვე დამთავრდა.

დაღლილ-დაქანცულმა ფეხბურთელებმა კი თბილისის სუსხიან ამინდში იქნებ მეზობლად, „დინამოს" საწვრთნელ ბაზას მიაშურეს. საპასუხო თამაში ალბათ სწორედ იქ გაიმართება.

ისე, კარგი იქნება, თასის მერვედფინალური მატჩები სტადიონისმაგვარზე მაინც თუ ჩატარდება. უბრალოდ, უხერხულია, უსკამო, უშუქო, უწყლო, უყველაფრო ვითომგასახდელისკენ მიმავალმა ფეხბურთელმა ვილაცის გასაშრობად გაფენილი საცვლების ქვეშ გაიაროს.

# არაამხანაგური

მცხეთა
28 თებერვალი
15 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:1 თსუ**

0:1 ერაძე (71), 1:1 ხაჭაპურიძე (89)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, თოდუა, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, საჯაია, ზ. გვაზავა, ლ. ნოზაძე, კოტორაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ვ. გოჩაშვილი (კობიაშვილი 84), რ. გოცირიძე (დილმელაშვილი 72)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე
თსუ: მერლანი (გუგუნავა 63), თ. ბოკერია, ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე, მესხი, ერაძე, კვიციანი, გ. ადამია, დეკანოსიძე (გ. გოცირიძე 72), წუწუნავა
*სათადარიგონი:* ფარქოსაძე, ბ. ნოზაძე
გაფრთხილება: ინწკირველი (75)
მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ხვიჩა სანიკიძე მცხეთიდან

მცხეთაში მოთამაშე ორი შეამხანაგებული თბილისური გუნდის პაექრობაში უპირატესობა, რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიას" ენიჭებოდა. გინდ სპორტული თვალსაზრისით აგეწონ-დაგეწონათ, გნებავთ, ვეტერინარული კორპორაციის ხელმძღვანელთა პოზიციიდან გემსჯელათ, სასწორი კოტრიკაძის შეგირდებისკენ იხრებოდა. ამგვარი გახლდათ მცხეთაში მატჩის სანახავად მისული აბსოლუტური უმრავლესობის ვარაუდი. საბედნიეროდ, იგი არ გამართლდა. ამხანაგობამ მეორე პლანზე გადაინაცვლა და მეტოქეებიც ალალ ბრძოლაში ჩაებნენ.

„ვიტ ჯორჯია" შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე. პირველ ეტაპზე თამაშებისას ვიტელთა ნახევარმცველ გიორგი ყიფიანს 3 ყვითელი ბარათი დაუგროვდა და თსუსთან შეხვედრის გამოტოვება მოუხდა. გიორგი ქორიძესა და ლევან მელქაძეს კი იგივე განახლებული ჩემპიონატის პირველივე ტურში რომ არ დაემართოთ „დინამოსთან", მწვრთნელმა გადაწყვიტა, ისინი არ ეთამაშებინა. რაც შეეხება ვიტელთა კაპიტან ხვიჩა ხართიშვილს, იგი ავადაა...

თსუ-მ ბარქაია და მაზიაშვილი სულ უბრალო მიზეზის გამო ვერ ათამაშა. ამ ფეხბურთელებმა „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში თასის მეთექვსმეტედფინალში მიიღეს მონაწილეობა, სტუდენტთა რიგებში გადაბარგებულთ კი დებულება უკრძალავს ყოფილი თანაგუნდელების წინაალმდეგ თამაშს.

შეხვედრის ორივე ნახევარი მასპინძლის რანგში მოასპარეზე კოტრიკაძის შეგირდების ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. თუმცა ვიტელებმა მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი სახიფათო მომენტები შექმნეს — იმდენივე, რაც კაციას დარიგებულმა სტუდენტებმა კონტრშეტევაზე თამაშისას მოახერხეს.

მე-12 წუთზე ვეტერინართა თავდამსხმელმა რევაზ გოცირიძემ ისარგებლა მერლანის შეცდომით, თუმცა მისი დარტყმული ბურთი ზედ კარის ხაზიდან მცველმა მოიგერია.

6 წუთში მესხი გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე და ჭურაძის საჯარიმოში სახიფათოდ ჩააწოდა. იქ მყოფმა დეკანოსიძემ ბურთის გაჩერებაც მოასწრო, დარტყმაც, მაგრამ იგი ძელს მოხვდა.

მეორე ნახევარი პირველის მსგავსად წარიმართა. უპირატესობას „ვიტ ჯორჯია" ფლობდა, თუმცა შეტევები კვლავ ქაოსურ ხასიათს ატარებდა, თსუ კი უშეცდომოდ იცავდა თავს და თანდათან უშინაურდებოდა ვიტელთა ნახევარს. კაციას შეგირდები სწრაფი კონტრიერიშებით ცდილობდნენ მეტოქის გამოჭერას და 71-ე წუთზე მიაღწიეს კიდეც საწადელს, როცა მასპინძელთა საჯარიმოს ხაზთან უმეთვალყურეოდ მდგარი ერაძე ჭურაძეს ბურთიანად შეატოვეს. მანაც პირველივე შეხებით ბურთი კარის მარცხენა ცხრიანში მოათავსა — 0:1.

ტრიბუნაზე მსხდომთ ვიტჯორჯიელთა დარად ჯერ თანამსაჯს გახედეს, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, ყველაფერი წესების სრული დაცვით მოხდა, გაკვირვება და აღტაცება გამოხატეს.

ისე გაოცება მაშინ გენახათ, 77-ე წუთზე საჯარიმოში მარჯვნიდან შესულ სტუდენტ ადამიას ოდნავ არაზუსტად რომ არ დაერტყა შორეული კუთხის მიმართულებით.

მანამდე ვიტელ გოჩაშვილს გაუცუდდა ახლო მანძილიდან თავური. თითქოს შეხვედრა 0:1 უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ძვირად დაუჯდათ კაციას შეგირდებს მცველთა შეცდომა — ვიტჯორჯიელებმა საკუთარი ნახევრიდან საკმაოდ ძლიერად გაგზავნეს მაღალი ბურთი მეტოქის კარის მიმართულებით. კოტორაშვილმა საჰაერო ბრძოლა მოუგო თსუ-ს ცენტრალურ მცველებს და ბურთს მისი თანაგუნდელი ხაჭაპურიძე დაეუფლა. ვიტელთა მარცხენა ჰავბეკმა ტრავმირებული მერლანის შემცვლელ გუგუნავას შანსი აღარ დაუტოვა — 1:1.

იმედია, ამ გუნდების საპასუხო მატჩიც გუშინდელივით არაამხანაგური იქნება.

# გილოცავთ სუბსარქისს!

გორი
28 თებერვალი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 3:0 ზოოვეტი**

1:0 ხორგუაშვილი (38), 2:0 არუთინიანი (45), 3:0 ხორგუაშვილი (52)
დილა: მდივანი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე (ფეზუაშვილი 74), კარელიძე, ლომიძე, მარეხაშვილი (საყვარელიძე 80), ოლგესაშვილი (ციცქიშვილი 46), სულთანიშვილი, ხორგუაშვილი, არუთინიანი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი; ლ. გოჩაშვილი, ვ. სამხარაძე
ზოოვეტი: გახოკიძე, ბოსტოლანაშვილი, ჭოხონელიძე, კევლიშვილი (მიგრიაული 46), ლ. კვარაცხელია, მახარობლიძე, გურგენიძე, დარჩიაშვილი (დ. ხომერიკი 74), ს. გუგუშვილი (სომხიშვილი 74), შედანია, ზაკუტაშვილი
*სათადარიგონი:* სილაგაძე; მარუაშვილი, ე. გუგუშვილი
გაფრთხილება: ოლგესაშვილი (18), ჭოხონელიძე (23), ხაჭაპურიძე (52), საყვარელიძე (88)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი), ვ. ჩოჩიშვილი; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

მამუკა კვანტალიანი გორიდან

გორში ყველაფერი ძველებურადაა. ფაქტობრივად არაფერია ახალი. ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპისთვის შიდაქართლელები ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად მოემზადნენ. ძველი ფეხბურთელებითა და ათასხუთასამდე ერთგული გულშემატკივრით დაუხვდნენ მასპინძლები სპეციალობით ვეტერინარ სტუდენტებს.

უჩვეულო (იქნებ ძალიანაც ჩვეული გორელებისთვის) მხოლოდ სიცივე გახლდათ, რომელიც ძვალსა და რბილში ატანდა. თამაშიც ზამთრის შესაფერისი იყო — მოთამაშეები თითქოს ძილ-ღვიძილის ზღვარზე იდგნენ.

„დილამ" მოიგო და ეს მოახერხა ძალების დაუძაბავად. მხოლოდ გამოცდილებისა და უკეთესი ოსტატობის ხარჯზე. გუშინდელი თამაშის მიხედვით ვერავინ გააკეთებდა სწორ დასკვნას გორელთა მზადყოფნის ავკარგიანობაზე.

„ზოოვეტის" ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ, იბრძოლეს მთელი თამაშის განმავლობაში, მაგრამ ჯერაც ნორჩებმა გამოცდილი მეტოქის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს.

სტუმართა ტაქტიკა მარტივი იყო. მეტოქის შეტევათა ჩაშლა და ბურთის რაც შეიძლება შორს გადაგდება. წინ კი ორი თავდამსხმელი თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ... ათლეტურები იყვნენ სტუმრები, ჯანიანები, თუმც სიზანტე და მოუქნელობაც ეტყობოდათ. ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობდნენ, მატჩის შემდეგ დაღლილობას ვერც შეამჩნევდით, ძალა ისევ ერჩოდათ, მაგრამ ძალამ აღმართი ვერ მოხნა. ფეხბურთს გამძლეობასთან ერთად გამოცდილება, გამჭრიახობა და სწორად განსჯის უნარიც სჭირდება. ეს თვისებები კი წლობით წვრთნას და ოფლის ღვრას მოაქვს. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდული „ზოოვეტი" ორიოდ წელიწადში სულ სხვა, გამართული გუნდი იქნება.

თამაშის პირველი გოლი ხორგუაშვილმა არაფრისგან შექმნა. მან კარგად გამოიყენა ორი მცველის შეცდომა, რომლებმაც ერთმანეთის ცქერაში თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ გაუშვეს.

მატჩს საბოლოო წერტილიც ხორგუაშვილმა დაუსვა. ისევ მცველთა შეცდომა, ისევ მოტყუებული მეკარე და გოლი.

ამ გოლებს შორის ისეთი ბურთიც გავიდა, რომელსაც ნებისმიერი ფეხბურთელი მოაწერდა ხელს. არა, კომბინაცია მარტივი გახლდათ, აი, დამაგვირგვინებელი დარტყმა კი — უნაკლო. ნოე არუთინიანმა სულთანიშვილის ჩაწოდებულს ზედ პირით ხაზთან მიუსწრო და ოსტატურად გაახვია შორეულ დაბალ კუთხეში. ტრიბუნებმა გაიხარა, ვილაც ენამოსწრებულმა კი იყვირა, ნოემ სტუმრებს სუბსარქისი მიულოცაო.

სულ ბოლოს ერთი სამწუხარო ამბავიც მოხდა. ვილაცამ სტუმარ ფეხბურთელებს ფული მოჰპარა.

გასახდელი დაკეტილი იყო. გამორიცხულია, შიგ ვინმე უცხო შესულიყო. გორში მსგავსი არასდროს მომხდარა. ან ვის გაუგია, ქურდი იპარავდეს და ზოგს ლარი ამოაცალოს ჯიბიდან, ზოგსაც ან მეტი, ანაც ნაკლები, დანარჩენი ფული ხელუხლებელი დატოვოს, დამნაშავე ისევ თავისიანებში ეძებონო — ასეთი იყო მასპინძელთა კომენტარი.

ასე იყო თუ სხვაგვარად, ღმერთმა უწყის. ფაქტი ერთია, ფული სტუდენტებს დაეკარგათ, რა მნიშვნელობა აქვს, შინაურმა წაიღო თუ გარეულმა. „ბავშვები" ულუკმაპუროდ დარჩნენ.

# საუკუნეში გადმოყოლილი

## საქართველოს სუპერთასისთვის კვიპროსიდან მოიჩქარიან

თბილისი. „ეროვნული". 29 თებერვალი. 15 საათი

**დინამო — ტორპედო**

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ღმერთმა იცის, ახალი წლის დადგომის შემდეგ შევაბიჯეთ თუ არა ახალ საუკუნეში. ზოგი 21-ე საუკუნის დადგომას 2001 წლის პირველ იანვარს ელის, ზოგიც, უფრო მეტი, უკვე ახალ ათასწლეულში ცხოვრობს. ამ უკანასკნელთა მოსაზრებას თუ დავეყრდნობით, დღეს ფრიად საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე — ეროვნული სტადიონი სუპერთასის შეხვედრას მასპინძლობს, მატჩს, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში უნდა გამართულიყო...

საქართველოს სუპერთასის გათამაშებას არცთუ მდიდარი ისტორია აქვს. პირველი გამარჯვებული 1996 წელს გამოვლინდა. ჩემპიონმა „დინამომ" თასის მფლობელ „ბათუმს" სძლია 4:0 და სუპერთასის პირველი პატრონი გახდა. „დინამო" — „ბათუმის" სუპერდაპირისპირება მომდევნო ორ წელსაც გაგრძელდა. 1997-ში კვლავაც ჩემპიონმა იძალა (4:1), ერთი წლის შემდეგ კი ზღვისპირელებმა როგორც იქნა, გატეხეს ნავსი (2:1) და სუპერთასმაც ბათუმში გადაინაცვლა. მერე კი დადგა 1999 წელიც. ჩემპიონი კვლავაც „დინამო" გახდა, საქართველოს თასი კი „ტორპედომ" ირგუნა. მაგრამ საქმე სუპერფინალურ მატჩამდე მაინც არ მისულა. შეხვედრის საბოლოო თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა. ხან თბილისში უნდა ჩატარებულიყო ეს მატჩი, ხანაც — ქუთაისში, ერთხელ დიდთოვლობამაც შეუშალა ხელი და ამასობაში 2000 წელიც დადგა. ორივე გუნდი, ბუნებრივია, სეზონის განახლებისთვის გარკვეულ სამზადისში იყო. ამას უცხოური შეკრებებიც დაერთო და ამ შეხვედრისთვის დღემდე ვერა და ვერ გამოინახა ფანჯარა.

...და დღეს „ეროვნულზე" დიდი ქართულფეხბურთული დაპირისპირებაა. ამ მატჩის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ „ტორპედო" წლეულს ქვეყნის ათგზის ჩემპიონის უმთავრესი კონკურენტია, აკი იგი მეორე ეტაპის დაწყების წინ „დინამოზე" ზევით, ცხრილის პირველ საფეხურზეა წამოსკუპებული. დასავლელთათვის ამ მატჩის მნიშვნელობა ცხადზე ცხადია, ბოლოს და ბოლოს „ტორპედო" ხომ ასე ახლოსაა მისთვის ჯერ კიდევ დაუჭაშნიკებელ ტიტულთან. ქუთაისელები გუშინ საღამოს ეწვივნენ დედაქალაქს, თუმც კარგად ნაცნობ სასტუმრო „მესაზღვრეს" უგანეს და საბურთალოს ქუჩაზე „საირმეში" დაბინავდნენ. მიკროტრავმები აწუხებთ კახა კვეტენაძეს და დავით ჯანაშიას, თუმც არც ისე, რომ დღევანდელ მატჩში მათ თამაშს ხელი შეუშალოს.

გამალებული სამზადისია თბილისელთა ბანაკშიც. დღევანდელ შეხვედრას „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თქმა არ უნდა. თავად განსაჯეთ, საამმატჩოდ ბატონმა ოთარმა ალანიელი გიორგი ანჩაბაძე გამოიძახა. საიდან სადაო, შეიძლება გაიკვირვოთ, რადგან ანჩაბაძე უკვე ვლადიკავკაზურ გუნდში ირიცხება და მის შემადგენლობაში კვიპროსზეც გაიარა შეკრება, მაგრამ ფაქტია, კორღალიძემ გუშინ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ შესაძლოა დღევანდელ მატჩში ანჩაბაძე „დინამოს" სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდეს. ეს ინფორმაცია ანჩაბაძის ოჯახის ერთ-ერთმა წევრმაც დაადასტურა — გიორგი პირდაპირ კვიპროსიდან გამოემგზავრება თბილისში, კორღალიძის თხოვნით, სუპერთასის მატჩში ითამაშებს და შემდეგ ისევ „ალანიას" დაუბრუნდება.

საამმატჩოდ „დინამოს" გარკვეული პრობლემები ჰქონდა, რადგან განაცხადში ჰყავდა შესაყვანი რეზო არველაძე და ექსსიონელი დავით დათუაძე. არველაძის განაცხადში შეყვანა არ მოხერხდა, რადგან „ობერჰაუზენიდან" ქართველი ფეხბურთელის განთავისუფლების ფურცელმა დაიგვიანა, დათუაძის შემთხვევაში კი ყველაფერი წარმატებით დასრულდა. „დინამომ" და „სიონმა" ურთიერთობა საბოლოოდ გაარკვიეს და დათუაძეც დღეს ალბათ, დინამოელთა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდება. გამორიცხულია ოთარ ხიზანეიშვილის თამაში, კორღალიძის თქმით, დინამოელი მცველი საზღვარგარეთ იმყოფება, თუმც 5 მარტისთვის გუნდს აუცილებლად დაუბრუნდება. სამაგიეროდ, საშიში არ აღმოჩნდა რეზო ქემოკლიძის ტრავმა და სავარაუდოდ, ქუთაისელთა წინააღმდეგ ისიც ითამაშებს.

მოკლედ დღეს ეროვნულ სტადიონზე, 15 საათზე, დიდი ქართული დაპირისპირებაა — „დინამო" — „ტორპედო"...

**ბაატა ქვანტალიანი**



სუპერთასი ბოლოს „ბათუმის" კაპიტანმა მალხაზ მახარაძემ ჩაიბარა

# გორდას თავი დაედგა

დღეს, ბათუმში, სათასო შეხვედრაში „გორდას" ფეხბურთელები ამაღლებული განწყობით დაუპირისპირდებიან ფავორიტ მასპინძლებს. აქვთ გორდელებს სიხარულის საბაბი. ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია — რუსთაველ გუნდს ახალი მეპატრონეები გამოუჩნდნენ. ეს კი, ბუნებრივია, უპირველესად ფეხბურთელთა ერთობ შეთხელებულ ჯიბესაც შეავსებს...

„გორდას" შესაძლო სახეცვლილებაზე ადრეც ვიუწყებოდით, რუსთაველები ელიან, რომ სერიოზული, საქმის მცოდნე და შეძლებული ხალხი მოვა კლუბშიო. გუშინ კი ახალ მეპატრონეთა ვინაობაც გაირკვა. „გორდას" სააქციო საზოგადოება „აზოტი" და ქალაქის მერია უხელმძღვანელებს. ახალმოსულთ სერიოზული ცვლილებების მოხდენა განუზრახავთ, რაც გუნდის აღორძინებას ითვალისწინებს. აგრეთვე გადაწყვეტილია სპორტკლუბის შექმნა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ჩამოყალიბება. ჩვენი ინფორმაციით, „აზოტსა" და რუსთავის მერიას „გორდას" ფეხზე დაყენებისა და კლუბისთვის ვარგისიანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის რამდენიმეწლიანი პროგრამა შეუმუშავებიათ, მაგრამ ხელს ერთი დიდი პრობლემა უშლით. საუბარია „ფოლადის" სტადიონზე. ეს ნაგებობა მეტალურგიულ ქარხანას ეკუთვნოდა, ყოფილ მძლავრ გიგანტს ბიუჯეტის უამრავი ვალი ემართა და მის ქონებას ყადაღა დაედო. ყადაღადადებულ უძრავ ქონებათა რიცხვში მოხვდა „ფოლადიც", თუმცა სააქციო საზოგადოება „აზოტის" ხელმძღვანელობა ქალაქის მერიასთან ერთად ამ საკითხს განიხილავს და ალბათ სტადიონის თავის მფლობელობაში გადასვლის შესაბამისი იურიდიული ფორმის მონახვაც არ გაუჭირდება.

მოკლედ, „გორდას" მოლოდინი გაუმართლდა, მის სათავეში ახალი ხალხი მოვიდა. ერთ-ერთმა მათგანმა გუშინ „სარბიელს" უთხრა, რომ სტადიონის პრობლემა დღედღეზე მოგვარდება და ამის შემდეგ ყველაფერი ოფიციალურად გახდება ცნობილი. თუმცა, განაცხადა ინკოგნიტოდ დარჩენილმა რესპოდენტმა, დღესვე შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ „გორდას" ახალი მეპატრონეები ჰყავსო.

**ბაატა ქვანტალიანი**



შოთა არველაძე

# შოთა დაბრუნდა

შაბათს ამსტერდამის „აიაქსს" შეუერთდა ქართველი ფორვარდი შოთა არველაძე რომელმაც ნოემბერში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მას შემდეგ ტრავმას იმუშებდა. ამ ხნის მანძილზე არველაძე ინდივიდუალურად ემზადებოდა. ამჯერად იგი კლუბთან ერთად გააგრძელებს საკუთარი პროგრამით მზადებას.

არველაძემ სეზონში მხოლოდ 8 თამაში ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. უკანასკნელად არველაძე „აიაქსის" შემადგენლობაში 29 ოქტომბერს გამოჩნდა, როცა კლუბი შინ „როდასთან" 1:2 დამარცხდა. შოთამ ბოლო 9 წუთი ითამაშა.

ოპერაციამდე შოთა „აიაქსის" დატოვებასაც ფიქრობდა, მას ესპანური „ვალენსია" აკვირდებოდა, თუმც ტრავმამ მოლაპარაკებები შეაფერხა.

დღეს გუნდში ქართველს კონკურენტებად მახლასი, გრონკიაერი, დანი, ვამბერტო, კნოპერი და ნიუვამბურგი ითვლებიან. სწორედ ამათთან ჭიდილში მოუწევს „აიაქსის" 24 ნომერს თავისი ადგილის დაბრუნება. ამსტერდამელები 5 მარტს ითამაშებენ „ტვენტესთან".

**სიმონ მენაბდე**

# გახოკიძე ორი თვით მოკვეთეს

შაბათს ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა ჰაიფას „მაკაბის" ქართველი ნახევარმცველი გოგა გახოკიძე. შეგახსენებთ, მან ისრაელის ტოტოს თასის ფინალში ორი ფეთაჰთიკველი შეურაცხყო, შმარუაჰუს ფეხი უთავაზა, ცოფინს — თავი, შემდეგ კი შეაფურთხა. ქართველი არც მსაჯს მოერიდა და ისიც გვარიანად შემოელანძღა.

ჰაიფამ ფინალი 1:4 წააგო. ამით განრისხებულმა „მაკაბის" პრეზიდენტმა იაკობ შახარმა ჩვენებური ფეხბურთელი გუნდიდან გაუშვა და 10 ათასი დოლარითაც დააჯარიმა.

„იერუსალიმ პოსტის" ცნობით, შაბათს ყველა ელოდა, რომ გახოკიძეს სეზონის ბოლომდე მოკვეთდნენ, მაგრამ კომიტეტმა იგი დაინდო და 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა. ეს იმას ნიშნავს, რომ „მაკაბის" 23 ნომერი ორი თვე ფეხბურთს ვერ ითამაშებს.

ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება, სად გააგრძელებს გახოკიძე კარიერას. შეგახსენებთ, იგი 2003 წლამდე პსვ ეინდჰოვენის საკუთრებაა, საიდანაც სეზონის ბოლომდე იჯარით იყო გაშვებული „მაკაბიში". შახარმა გახოკიძეში 750 ათასი დოლარი გადაიხადა, თუმცა ახლა, როგორც „იერუსალიმ პოსტი" იუწყება, მის გუნდში დაბრუნებაზე არც ფიქრობს.

ამასთან, „მაკაბის" არ აქვს უფლება, გახოკიძის ნაცვლად სხვა ლეგიონერი მიიწვიოს. წინა შაბათსვე ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ შახარს ნება არ დართო, მოსკოვის ლოკომოტიველი ევგენი ხარლაჩოვი აეყვანა. ფედერაციის განმარტებით, გახოკიძე სეზონის ბოლომდე „მაკაბის" წევრად ითვლება და ამით ჰაიფელთა ლეგიონერების ლიმიტი ამოწურულია.



გიორგი გახოკიძე

თავად გიორგი ჯერჯერობით არაფერს ამბობს ისრაელის ტოტოს თასის ფინალში მომხდარ ინციდენტზე, თუმცა უეჭველია, მას თავისი არგუმენტები ექნება. ბოლო ინფორმაციით, ქართველი ფეხბურთელი კვლავ ჰაიფაში იმყოფება და იმედი აქვს, რომ სეზონს „მაკაბიში" ჩაამთავრებს.

გახოკიძემ „მაკაბიში" 22 მატჩი ჩაატარა და 2 გოლიც გაიტანა.

**სიმონ მენაბდე**

# ამბიძე ვოლგარს ესპანეთში გაჰყვება

თბილისის მერანელი ბახვა ამბიძე რუსეთის პირველდივიზიონელ ასტრახანის „ვოლგარს" შეუერთდა. გუშინ „ვოლგარის" გენერალურმა დირექტორმა იური მაკოვმა განაცხადა, რომ ოთხმა ახალწვეულმა მოაწერა ხელი კლუბთან კონტრაქტს — მათ შორის ბახვა ამბიძეცაა. ბრაზილიელი ელიველტონის აყვანისგან „ვოლგარი" ჯერჯერობით თავს იკავებს. სამაგიეროდ, კლუბმა შეინარჩუნა იუგოსლაველი ლეგიონერები. ბოლო შეკრებას „ვოლგარი" ესპანეთში გაივლის (თუმცა შეიძლება ეს ვარიანტი კვიპროსითაც შეიცვალოს), გუნდს ამბიძეც გაჰყვება.

**სიმონ მენაბდე**

# ფეხბურთელის სახლი

## კიდევ ერთი სიურპრიზი ვიტ ჯორჯიასგან




„ვიტ ჯორჯიას" „გენშტაბი": სერგო კოტრიკაძე, გურამ რუხაძე, მალხაზ კაკაურიძე, ვლადიმერ ხაჩიძე და გუნდის კაპიტანი გიორგი ყიფიანი

ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

შაბათს თბილისური „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტები კლუბის ახალ ოფისში, თამარაშვილის №19-ში მიგვიწვიეს.

საფეხბურთო კლუბი ვიტ ჯორჯია" — აწერია შესასვლელ კართან. მოხვდებით შიგ და გაოცდებით. ყველაფერია, რაც საფეხბურთო კლუბს სჭირდება. იქ დასვენებაც შესაძლებელია და მუშაობაც.

თავად პრესკონფერენციაზე ნაუბარით თავს აღარ შეგაწყენთ, „სარბიელმა" გაცილებით ადრე, ოპერატიულად გაცნობათ. ვეტერინართა მზადებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, თუმც ვიტელთა ორგანიზებულობა და საქმისადმი პროფესიული მიდგომა აუცილებლად აღნიშვნის ღირსია.

კლუბის პრეზიდენტი, მთავარი მწვრთნელი და მისი თანაშემწე, გუნდის კაპიტანი, სელექციონერი, გულშემატკივართა კლუბის თავკაცი და „ვიტ ჯორჯიას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ჟურნალისტთა კითხვებს პასუხობდნენ.

ყველაფერი მყუდროდ და საქმიანად მიმდინარეობდა. პრესკონფერენციაზე თითქმის ყველამ ცივილიზებულ, თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთის განუყოფელ ნაწილად იგრძნო თავი. დაახლოებით საათ-ნახევარზე მეტხანს გრძელდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ბოლოს იყო მშვენიერი ალაფურშეტი და ამანაც გაამდიდრა ვეტერინარებსა და ჟურნალისტებს შორის ურთიერთობა. მოკლედ, „ვიტ ჯორჯია" კვლავაც აგრძელებს სიურპრიზების სერიას.

**მამუკა ქვანტალიანი**

## კაიდარაშვილი კიდ, დანარჩენები ვნახოთ...

კრივოი როგის „კრივბასი" ავსტრიაში აგრძელებს შეკრებას და თან ქართველებით ივსება. უკრაინელებმა კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი ითამაშეს ადგილობრივ „გრაცერთან" და 2:1 გაიმარჯვეს, ერთი ბურთი ალეკო კაიდარაშვილმა გაიტანა და „კრივბასში" თავისი მონაგარი სამ არასრულ მატჩში სამამდე გაზარდა.

ოლეგ ტარანის თქმით, კაიდარაშვილის საკითხი გადაწყვეტილია, კლუბი მასთან კრივოი როგში დაბრუნებისთანავე გააფორმებს კონტრაქტს.

რაც შეეხებათ ავსტრიაში ახლახან ჩასულ ზურაბ ხიზანიშვილს და ოთარ ხიზანეიშვილს, „კრივბასის" მესვეურები მათ კიდევ დააკვირდებიან და საბოლოო პასუხს 5 მარტისთვის იტყვიან. არ არის გამორიცხული, ზურაბი და ოთარი სამშობლოში დაბრუნდნენ, მეთერთმეტე ეროვნული აქ ჩაამთავრონ და კრივოი როგს მაისის ბოლოს მიაშურონ.

ჯერაც არ არის გარკვეული საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტნის, გიორგი ნემსაძის საქმე. გიორგი ინგლისურ „პორტსმუთსა" და „კრივბასს" შორის მოგზაურობს. ახლა ავსტრიაშია უკრაინელებთან ერთად და ერთი საკონტროლო მატჩის ნახევარიც უთამაშია.

ოლეგ ტარანს მისი საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მოსწონს ქართველი, ოღონდ მისი მტკივანი მუხლი აკავებს. არ შეაწუხებს ნემსაძეს მუხლი, იგი კრივბასელი გახდება, ირწმუნება უკრაინელთა თავკაცი, არადა...

**დათო დანელია**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), ჩხაბერიძე, სტურუა (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), კ. ჯანაშია (იბერია) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე (ინტერი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3, სამგურალი 4:0 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია, ანჩაბაძე (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი, ლლონტი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გოგიაძე, ს. გოგიაძე (ანჟი, რუსეთი), ხიზანეიშვილი (კრივბასი, უკრაინა) | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, რუხაძე, გ. ვ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დებრეცენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3, დინამო (რუმინეთი) 4:2, პოლონია (პოლონეთი) 2:3 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | დ. გოგოლაძე (ვენტსპილსი, ლატვია), ჭოხონელიძე (ზოოვეტი), მელაძე (გორდა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაშიმიატოვეს) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი) | ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1, 1:1, პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპო (კიევი, უკრაინა) 0:0, ჩკალოვეცი (რუსეთი) 2:1 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნეფალე* | პაპიძე, გადელია (თბილისი), კანტიძე (თამაშიმიატოვა), უვაკვე (?) | ხომერიკი, ლლონტი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), სიდამონიძე (სიონი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4, არჯეში (რუმინეთი) 1:2, ზაგლებიე (პოლონეთი) 4:1, ვისლა (პოლონეთი) 3:2, თსუ 1:2 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ), ა. ბოკერია (სიონი) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენერქესფორი (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოიდორფელი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1, ქობულეთი 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ნ. მინდიაშვილი, ი. ნადირაძე (არსენალი), ლ. გაგუა (ლკს, ლოძი, პოლონეთი), სიდამონიძე (ბათუმი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი), ბ. შენგელია (იბერია), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), ა. ბოკერია (ვიტ ჯორჯია) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1, 0:0, ზოოვეტი 8:2, თბილისი 4:1 |
| **დილა** *მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), მარლიშვილი, შატაკიშვილი (?) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0, თბილისი 0:2, 1:0, მერანი 0:0, 0:5, არსენალი 1:1 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი), გ. ლურსმანაშვილი (ცხინვალი), ქველაძე (?) | გ. ნოზაძე, კ. ალანია (საუ), კ. ჯანაშია (ტორპედო) | სამგურალი 1:0 |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), კ. მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი), ნემსაძე (კრივბასი, უკრაინა), დოლაბერიძე, ბარნოვი, გოგიჩაიშვილი (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ჭიჭველიშვილი (ალანია, რუსეთი), თოლორდავა (მერანი), ა. ჯელაძე (ალიტიჰადი, საუდეთი), გ. გვაზავა (თსუ), ონიანი (ხობი), ნიკურაძე, გულორდავა (გურია), მორჩილაძე, არეშიძე (ლოკომოტივი 2), დევდარიანი (ცხუმი), სალუქვაძე (გურია), გამცემლიძე (არ თამაშობდა) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2, ასკ (ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0, შერიფი (მოლდოვა) 0:2, ლადა ვაზ (ტოლიატი, რუსეთი) 1:3 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), თელიაშვილი (?) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბედიაშვილი (თბილისი), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური, სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), მელაძე (კოლხეთი), ბურნაძე, გ. კილასონია, შ. მეტრეველი, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | სიონი 1:1, 0:0, ხალიბი 4:3, 3:2, 2:0, ზოოვეტი 2:0 |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), გ. გვაზავა (ლოკომოტივი), ჯობაძე (არსენალი), გ. ა. მიქაძე (აკადემია) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ებრალიძე (თბილისი), სულავა (ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, ამირანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0, ზუგდიდი 6:1, ბათუმი 2:1 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი), ბ. ამბიძე, ლ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი, რუსეთი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქა, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), ა. ხორხელი (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, ქობულეთი 1:1, ცხუმი 6:0, 3:1, დილა 0:0, 5:0, ლოკომოტივი 23:1, მეტალურგი 3:0, აკადემია 1:0, 2:0 |
| **თბილისი** *რამაზ მუმლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, რუხაძე, გ. ვ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), კალერიგაგუა (სკონტო, ლატვია), ბედიაშვილი (გორდა), ებრალიძე (თსუ), ზ. ხიზანიშვილი (კრივბასი, უკრაინა) | ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალაია (თბილისი 2), კოხრეიძე (სამგურალი), კ. მელქაძე, ამაშუკელი (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), გადელია (ბათუმი), ყუფარაძე, გონჩაროვი (არსენალი), გ. ლუდუშაური, თ. დოლიძე (არ თამაშობდნენ) | დილა 2:0, 0:1, საქართველო U18 0:0, ს.ა. იბერია 0:0, ქობულეთი 3:1, აკადემია 2:1, სიონი 1:4 |
| **სამგურალი** *იასონ პზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | ჩხაბერიძე, სტურუა (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია), ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი, ფუტკარაძე (ინტერი) | ინტერი 8:0, გაგრა 5:1, ტორპედო 0:4, იბერია 0:1 |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), დაუშვილი (სიონი), ყუფარაძე, გონჩაროვი (თბილისი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ქოიავა (არაგვი), ი. კაპანაძე, ნ. მინდიაშვილი (სიონი), გ. ტულუში (ცხინვალი), ჯობაძე (თსუ), შუკაკიძე (ზოოვეტი); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, არსენალი 23:0, აკადემია 3:0, დილა 1:1, მეტალურგი 4:0, ლოკომოტივი 23:1 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

## გერმანია

XXII ტური

### ჰანზა 1:1 ფრაიბურგი

1:0 ვიბრანი (51), 1:1 ჰოლეჩეკი (75ს.კ.)
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, ვაილანდტი, ჰოლეჩეკი, ვიბრანი, ლანცი, ტილემანი, ბრაიტკროიცი (ბრანდი 46), მაიაკი (აჰინფუუფი 81), ბაუმგარტი (კოვაჩიჩი 79), არვიდსონი
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, შ. მიულერი, ჰერმელი (ბორნემანი 75), ვილი, ა. ცაიერი, ვაისჰაუპტი, კობიაშვილი, კოლი (ფ. ბრუნსი 46), ბენ სლიმანი, იაშვილი
გაფრთხილება: ბენკენი, ბრუნსი, ჰოლეჩეკი, კობიაშვილი, ვიბრანი, მიულერი
მსაჯი: ვაინერი

### ბაიერნი 4:1 აინტრახტი

1:0 ციკლერი (34), 2:0 პაულო სერჟიო (46პ), 2:1 რაიხენბერგერი (49), 3:1 ციკლერი (63), 4:1 ელბერი (85)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, კუფური, იერემისი, სალიჰამიჯიჩი, ტარნატი, ფინკი (ვისინგერი 84), ეფენბერგი (პ. ანდერსონი 79), პაულო სერჟიო (ელბერი 75), სანტა კრუზი, ციკლერი
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, შური, ვებერი, მუტცელი (გუიე მინი 77), გებჰარდტი, სობოტჩიკი, ჰელდტი, რაიხენბერგერი, სალუ
გაფრთხილება: შური
მსაჯი: კრუგი

### დორტმუნდი 1:1 მიუნხენი

0:1 მაქსი (63), 1:1 ბობიჩი (82)
დორტმუნდი: ლემანი, ნიეგუსი, კოლერი, ვიორნსი, სტევიჩი, ევანილსონი, დედე, რიკენი, ვ. ბუტი (იკპება 63), ბობიჩი, ჰერლიხი
მიუნხენი: ჰოფმანი, კურცი, ზელიჩი, შტრანცლი, პასლაკი, პროსენიკი (ტაპალოვიჩი 84), ბორიმიროვი (შროტი 84), ჰესლერი, ჩიჟეკი (ჩერნი 88), მაქსი, აგოსტინო
გაფრთხილება: ჰერლიხი, ბორიმიროვი, კურცი, მაქსი
მსაჯი: ფრიოლიხი

### დუისბურგი 1:3 შტუტგარტი

1:0 ბაიერლე (24), 1:1, 1:2 ბალაკოვი (26,43), 1:3 დანდი (86)
დუისბურგი: სტაუჩე, მ. შნაიდერი, ჰაიტო, ვოლერტი, ოსტჰოფი (ცაიერი 73), ვოლტერსი (ვოსი 46), ჰირში, ბოუსკენსი, ტოფტინგი, რაისი (მენგერი 85)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ბორდონი, ტ. შნაიდერი, სოლდო (ენდრესი 57), პინტო (კუკა 80), გერბერი, ლისტეში, ბალაკოვი, განეა (დანდი 70)
გაფრთხილება: ჰაიტო, ვოლერტი, ბორდონი
გაძევება: ჰირში (36), სტაუჩე (85)
მსაჯი: მაიერი

### ვერდერი 2:2 ვოლფსბურგი

0:1 მუნტეანუ (2), 1:1 ტრარესი (6), 1:2 ჰენგენი (63), 2:2 პიზარო (83)
ვერდერი: ფ. როსტი, ფლოკი (ტიკუზუ 70), ბარტენი, სკრიპნიკი, ვიდნერი, აილტსი (მაქსიმოვი 66), ტრარესი (დაბროვსკი 76), ფრინგსი, ა. ჰერცოგი, პიზარო
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ჰენგენი, ბალვანცი (მალტრიცი 46), გრაინერი, ნოვაკი, ვაისერი, სებესკენი, მუნტეანუ (დამაიერი 87), აკონორი (დებრიტცი 85), იუსკოვიაკი
გაფრთხილება: ჰერცოგი, ბალვანცი
მსაჯი: ფლაიშერი

### უნტერჰახინგი 3:1 შალკე

0:1 ვილმოტსი (24), 1:1 ბრაიტენრაიტერი (66), 2:1 გრასოვი (69), 3:1 ობერლაიტნერი (80)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, შტრემელი (ბერგენი 89), გრასოვი, ზაიფერტი, შვარცი (ბრაიტენრაიტერი 59), მატიას ციმერმანი, ჰაბერი, ობერლაიტნერი, შტრაუბე, რაკლი (ჰერტლი 81)
შალკე: რეკი, კამპუისი, ტონი, ვალდოხი, კმეტჩი, ნემეცი (ალპუგანი 78), ლატალი, ჰაპე, ვილმოტსი, სანდი, ასამოა
გაფრთხილება: ჰაპე, ლატალი, კამპუისი
მსაჯი: ცერი

### ლევერკუზენი 3:1 ჰერტა

0:1 რემერი (9), 1:1 კირსტენი (13), 2:1 ზე რობერტო (24), 3:1 პაულო რინკი (27)
ლევერკუზენი: იურიჩი, რ. კოვაჩი, რამელო, ჟივკოვიჩი, ემერსონი, ბალაკი, ბაინლიხი, ნოვილი (ბ. შნაიდერი 75), ზე რობერტო, კირსტენი (ჰოფმანი 63), პაულო რინკი (ბრდარიჩი 75)
ჰერტა: ფიდლერი, ვან ბურიკი, სვერისონი, რეკდალი (ჰ. ჰერცოგი 27), რემერი (მიხალკე 46), ჰარტმანი, დაისლერი, შმიდტი, ვოში, ალექს ალვეში (დაეი 60), პრეეცი
გაფრთხილება: რეკდალი, სვერისონი
მსაჯი: შტაინბორნი

### ჰამბურგი 2:1 ლაუტერნი

1:0 პრეგერი (7), 2:0 ბუტი (63პ), 2:1 პეტერსონი (79)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, ნ. კოვაჩი, გრავესენი, ჰოლერბახი, კარდოზო (ბაბატცი 90), მაჰდავიკია, პრეგერი (დოლი 84), იებოა (ფ. ერნსტი 90)
კაიზერსლაუტერნი: გოსპოდარეკი, სფორცა, ლუტცი (მარშალი 46), შტრასერი, შონბერგი, რამზი, ბასლერი, ვაგნერი (რაიხი 46), ხრისტოვი, ჯორკაეფი, პეტერსონი
გაფრთხილება: იებოა, ხრისტოვი, შტრასერი
გაძევება: გრავესენი (33)
მსაჯი: ბერგი

### არმინია 4:1 ულმი

0:1 პლუღერი (6), 1:1 ბოდე (14), 2:1 ვაისენბერგერი (17), 3:1 ბოდე (33), 4:1 ვაისენბერგერი (86)
არმინია: მილეტიჩი, შტრატოსი, კლიცპერა, განსაუგე, პეტერსი, ჰოფშნაიდერი, ვაისენბერგერი, ბოდე (რიდლევიჩი 75), ბომე, ვან დერ ვენი (ვიშნიარეკი 64), ლაბადია
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, შტადლერი (უნსოლდი 46), გრაუერი, მარკესი, პლუღერი (ტრკულია 79), ოტო, გორა, რადოკი, ვან დერ ჰაარი, როსლერი (ლეანდრო 46),
გაფრთხილება: კლიცპერა, ჰოფშნაიდერი, შტრატოსი, ბოდოგი, ვან დერ ჰაარი, პლუღერი, ბომე
მსაჯი: ჰაინემანი

# ბაიერნის დღეობაზე ჰერტა დასაჩუქრდა

კვირას, 27 თებერვალს, მიუნხენის „ბაიერნს“ დაარსებიდან ასი წელი შეუსრულდა. მიუნხენელებმა იუბილეს წინადღეს შინ ფრანკფურტის „აინტრახტი“ 4:1 დაამარცხეს და დღეობას საზეიმო განწყობით შეეგებნენ.

„აინტრახტმა“ შაბათს წარმატებული სერია შეწყვიტა — ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ კვლავ წააგო. ფელიქს მაგათის შეგირდები მრისხანე მეტოქეს რაც შეეძლოთ, გაუძალიანდნენ, თუმცა თავგანწირული თამაშით მაღალ კლასთან ვერას გახდნენ. „ბაიერნმა“ ჩვეულად ითამაშა და მორიგი სამი ქულა მიამატა აქტივს.

შეხვედრა, რომელსაც უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი და მცირერიცხოვანი მაყურებლები ესწრებოდნენ, ცხადია, მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. თუმცა მომენტები არც ისე ბევრი შეიქმნა. თითქმის ყველა სახიფათო შეტევა გოლით დასრულდა. 34-ე წუთზე ციკლერმა გამოიჩინა თავი — მაკრატელათი ლამაზი გოლი შეაგდო. მანამდე მიუნხენელებს ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ორჯერვე ჰაინენმა ივარგა, ჯერ ეფენბერგს აუღო, მერე პაულო სერჟიოს.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე გუნდებმა გოლები გაცვალეს. 46-ე წუთზე პაულო სერჟიომ ციკლერის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. სულ მალე რაიხენბერგერმა გაქვითა და „აინტრახტის“ ქომაგებს იმედი ჩაუსახა, რომელიც 63-ე წუთზე ციკლერმა ჩაკლა. მან ეფენბერგის კარგი პასით დუბლი შეასრულა — 3:1. მოსაწყენ მატჩს ელბერმა დაუსვა წერტილი. შეცვლაზე შესულმა ბრაზილიელმა ორ მცველს შემოურბინა და მეკარესთან პირისპირ გასულს გატანა არ გასჭირვებია.

„ბაიერნთან“ ხუთქულიანი სხვაობა შეინარჩუნა „ლევერკუზენმა“. „ჰერტასთან“ საშინაო შეხვედრა ისე დაიწყო, ბევრმა იფიქრა, ეს სხვაობა რვამდე გაიზრდებაო. მე-9 წუთზე რემერმა ზუსტი თავურით ბერლინელები დააწინაურა. გაშვებულმა გოლმა „ლევერკუზენი“ გამოაფხიზლა. მასპინძლები უფრო აგრესიულად ათამაშდნენ, შედეგიც სწრაფად მოიმკეს. 27-ე წუთზე ტაბლოზე უკვე 3:1 ენთო. გოლები კირსტენმა, ზე რობერტომ და რინკმა გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი წლეულს პირველი იყო ულფ კირსტენისთვის, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა.

თამაში საბოლოოდ 3:1 დასრულდა, თუმცა მასპინძელთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, სამართლიანი იქნებოდა, „ლევერკუზენს“ უფრო შთამბეჭდავი ანგარიშით მოეგო. კრისტოფ დაუმი ამ ანგარიშმაც ძალიან დააკმაყოფილა. „ჰერტას“ საჩუქარი მივართვით, როცა დაწინაურების შანსი მივეცით, თუმცა, ბიჭებმა მშვენივრად ითამაშეს და შეცდომა გამოასწორეს. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ასე მოხდებოდა“ — თქვა მან.

„ჰამბურგმა“ „კაიზერსლაუტერნს“ უმასპინძლა და 33-ე წუთზე რიცხვნაკლული დარჩა. მსაჯმა გრავესენს ბურთის განზრახ გადაგდება არ აპატია და მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა. ამ დროს მასპინძლები 1:0-ს იგებდნენ. მე-7 წუთზე პრეგერმა ჰოლერბახის კარგი პასი მიიღო და ზუსტადაც დაარტყა. არადა, ამ მომენტამდე „ჰამბურგი“ ორჯერ გადარჩა. ჯორკაეფის ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმული ბუტმა მოიგერია. მერე ბასლერმა ჩაწოდების ნაცვლად პირდაპირ კარში ჩააზვია, „ჰამბურგი“ კვლავ მეკარის თავგანწირვამ იხსნა. ტაიმის ბოლოს სტუმრებს ორჯერ შეეძლოთ წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ხრისტოვმა და ჯორკაეფმა მიზანს ააცილეს.

მეორე ნახევრის 18 წუთი ისე მიილია, საინტერესო არაფერი მომხდარა, მერე კი ჰამბურგელთა მეკარე ჰანს-იორგ ბუტმა სეზონში მეცხრე პენალტი გაიტანა, თუმც თერთმეტმეტრიანი ძალიან საეჭვო იყო — მსაჯმა სფორცას ხელით თამაშში დასდო ბრალი. მატჩის მიწურულს არბიტრმა ანალოგიურ სიტუაციაში მასპინძლები არ დასაჯა. ამ დროისთვის ანგარიში 2:1 იყო და პენალტი რომ დანიშნულიყო, იქნებ ოტო რეჰაგელის გუნდს ქულაც მოეპოვებინა. ერთი საპასუხო გოლი პეტერსონმა შეაგდო.

მეორე წრის საწყის ორ ტურში „შტუტგარტმა“ ერთი ქულის მოპოვებაც ვერ შეძლო, შაბათს კი ერთბაშად სამი მიითვალა. დათხოვნის საფრთხის წინაშე მდგომი რალფ რანგნიკის შეგირდებმა სტუმრად ერთ-ერთ აუტსაიდერ „დუისბურგს“ სძლიეს — 3:1. მასპინძლებმა მატჩი ცხრა ფეხბურთელით დაასრულეს — 36-ე წუთზე უხეშობისთვის ჰირში გააძევეს მინდვრიდან, 85-ეზე კი „დუისბურგის“ ლიტველი მეკარე გინტარას სტაუჩეც მის გზას გაუდგა. გარდა ამისა, „შტუტგარტის“ გამარჯვება ბალაკოვის კარგმა თამაშმაც განაპირობა. ბულგარელმა ამ შეხვედრაში ორი ერთმანეთზე ლამაზი გოლი გაიტანა, რითაც მწვრთნელს თანამდებობა დროებით მაინც შეუნარჩუნა.

მომავალი ტურიდან აღმავლობის გზას დავადგებითო, შეჰპირდა „დორტმუნდის“ ახალი თავკაცი ბერნდ კრაუსი გუნდის ქომაგებს წინა ტურში „ფრაიბურგთან“ ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ. კრაუსმა დანაპირები ვერ შეასრულა, „მიუნხენთან“ საშინაო მატჩში დორტმუნდელები კვლავ ერთ ქულას დასჯერდნენ, ისიც თამაშის მიწურულს გამოგლიჯეს მეტოქეს. კრაუსმა მორიგი წარუმატებლობა მომენტების გამოუყენებლობით ახსნა. შეგახსენებთ, „დორტმუნდმა“ მისი ხელმძღვანელობით უკვე 4 მატჩი ჩაატარა და ერთიც ვერ მოიგო.

ბოლოს ჩვენებურთა „ფრაიბურგზეც“ ვთქვათ. გუნდის თავკაცმა ფოლკერ ფინკემ „ჰანზასთან“ საგარეო მატჩში ძირითადში დააბრუნა ალექსანდრე იაშვილი, რომელმაც დაშავებული სელიმი შეცვალა. იაშვილმაც და კობიაშვილმაც შეუცვლელად ითამაშეს. ქართველი ფორვარდი ძალიან პასიურობდა, თუმცა ორჯერ ისეთი პასი გააკეთა... პირველად ბრუნსი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და ამან ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი დაკარგა, ბოლო წუთებზე კი ჩვენებურის გადაცემით ვაისჰაუპტი აღმოჩნდა იგივე მდგომარეობაში, თუმცა მანაც ააცილა.

შეხვედრის პირველი ტაიმი უინტერესო გამოდგა — 0:0. მეორე ნახევარში მასპინძლები გააქტიურდნენ და შედეგიც მოიმკეს. ვიბრანმა მცველთა დაბნეულობით ისარგებლა და ახლოდან თავისიანები დააწინაურა. ამას კობიაშვილის ჯარიმიდან სახიფათო დარტყმა მოჰყვა — ბურთი სანტიმეტრებით ასცდა კარს. წონასწორობა 75-ე წუთზე აღდგა. ჰოლეჩეკმა ბურთი მოგერიების ნაცვლად საკუთარ კარში გაგზავნა. თამაშიც 1:1 დასრულდა, რამაც სტუმართა სიხარული გამოიწვია.

**ვანო ოქროპირიძე**



REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — მიუნხენი 1:1. დორტმუნდელმა კრისტიან ვიორნსმა მიუნხენელ დანიელ ბორიმიროვს წამით დაასწრო

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 22 | 15 | 4 | 3 | 47:16 | 31 | 49 | 11 | 8 | 2 | 1 | 32:10 | 22 | 26 | 11 | 7 | 2 | 2 | 15:6 | 9 | 23 |
| 2 | ლევერკუზენი | 22 | 12 | 8 | 2 | 38:24 | 14 | 44 | 12 | 9 | 3 | 0 | 28:12 | 16 | 30 | 10 | 3 | 5 | 2 | 10:12 | -2 | 14 |
| 3 | ჰამბურგი | 22 | 11 | 8 | 3 | 48:24 | 24 | 41 | 11 | 8 | 3 | 0 | 30:7 | 23 | 27 | 11 | 3 | 5 | 3 | 18:17 | 1 | 14 |
| 4 | ვერდერი | 22 | 9 | 6 | 7 | 46:35 | 11 | 33 | 12 | 6 | 3 | 3 | 25:17 | 8 | 21 | 10 | 3 | 3 | 4 | 21:18 | 3 | 12 |
| 5 | მიუნხენი | 22 | 9 | 6 | 7 | 34:31 | 3 | 33 | 11 | 7 | 2 | 2 | 23:12 | 11 | 23 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:19 | -8 | 10 |
| 6 | ლაუტერნი | 22 | 10 | 3 | 9 | 31:38 | -7 | 33 | 10 | 5 | 2 | 3 | 17:16 | 1 | 17 | 12 | 5 | 1 | 6 | 14:22 | -8 | 16 |
| 7 | ვოლფსბურგი | 22 | 8 | 8 | 6 | 30:34 | -4 | 32 | 11 | 7 | 0 | 4 | 17:16 | 1 | 21 | 11 | 1 | 8 | 2 | 13:18 | -5 | 11 |
| 8 | დორტმუნდი | 22 | 7 | 10 | 5 | 27:18 | 9 | 31 | 12 | 4 | 6 | 2 | 18:12 | 6 | 18 | 10 | 3 | 4 | 3 | 9:6 | 3 | 13 |
| 9 | ჰერტა | 22 | 8 | 7 | 7 | 29:36 | -7 | 31 | 10 | 5 | 4 | 1 | 17:8 | 9 | 19 | 12 | 3 | 3 | 6 | 12:28 | -16 | 12 |
| 10 | შტუტგარტი | 22 | 9 | 3 | 10 | 26:28 | -2 | 30 | 10 | 3 | 1 | 6 | 12:16 | -4 | 10 | 12 | 6 | 2 | 4 | 14:12 | 2 | 20 |
| 11 | უნტერჰახინგი | 22 | 8 | 5 | 9 | 24:25 | -1 | 29 | 11 | 7 | 3 | 1 | 15:6 | 9 | 24 | 11 | 1 | 2 | 8 | 9:19 | -10 | 5 |
| 12 | შალკე | 22 | 6 | 10 | 6 | 29:29 | 0 | 28 | 10 | 2 | 7 | 1 | 12:11 | 1 | 13 | 12 | 4 | 3 | 5 | 17:18 | -1 | 15 |
| 13 | ფრაიბურგი | 22 | 6 | 7 | 9 | 29:30 | -1 | 25 | 11 | 5 | 3 | 3 | 19:9 | 10 | 18 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:21 | -11 | 7 |
| 14 | ულმი | 22 | 6 | 6 | 10 | 25:33 | -8 | 24 | 11 | 5 | 3 | 3 | 16:8 | 8 | 18 | 11 | 1 | 3 | 7 | 9:25 | -16 | 6 |
| 15 | ჰანზა | 22 | 5 | 9 | 8 | 28:41 | -13 | 24 | 12 | 5 | 5 | 2 | 18:15 | 3 | 20 | 10 | 0 | 4 | 6 | 10:26 | -16 | 4 |
| 16 | აინტრახტი | 22 | 6 | 2 | 14 | 26:35 | -9 | 20 | 10 | 4 | 1 | 5 | 16:11 | 5 | 13 | 12 | 2 | 1 | 9 | 10:24 | -14 | 7 |
| 17 | დუისბურგი | 22 | 3 | 7 | 12 | 24:43 | -19 | 16 | 11 | 2 | 5 | 4 | 14:14 | 0 | 11 | 11 | 1 | 2 | 8 | 10:29 | -19 | 5 |
| 18 | არმინია | 22 | 3 | 5 | 14 | 19:40 | -21 | 14 | 12 | 2 | 4 | 6 | 14:17 | -3 | 10 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:23 | -18 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე 04) | 11 |
| იებოა (ჰამბურგი) | 9 |
| ჰ. ბუტი (ჰამბურგი) | 9 |
| პაულო სერჟიო (ბაიერნი) | 9 |
| ელბერი (ბაიერნი) | 9 |
| სელიმი (ფრაიბურგი) | 9 |
| აილტონი (ვერდერი) | 9 |
| პრეეცი (ჰერტა) | 9 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 9 |
| მაქსი (მიუნხენი) | 9 |

### XXIII ტური

3 მარტი
ვოლფსბურგი - ჰამბურგი
ფრაიბურგი - არმინია
4 მარტი
შალკე - დუისბურგი
ჰერტა - უნტერჰახინგი
შტუტგარტი - ბაიერნი
ლაუტერნი - ლევერკუზენი
მიუნხენი - ჰანზა
5 მარტი
ულმი - ვერდერი
აინტრახტი - დორტმუნდი

## მეორე ბუნდესლიგა

XX ტური

### ბოხუმი 2:0 ზანქტ პაული

1:0 პეშელი (75), 2:0 ლუსტი (88)

### ბერლინი 1:2 ალემანია

1:0 ჩირიჩი (27), 1:1 შაი პუი (68), 1:2 ლემერმანი (75)

### ოფენბახი 2:0 ქემნიცი

1:0 ვლადოიუ (8), 2:0 ბინცი (61)

### მაინცი 1:0 კოტბუსი

1:0 კლოპი (13)

### კიკერსი 1:2 კიოლნი

0:1 დონკოვი (57), 0:2 შპრინგერი (73), 1:2 მარიჩი (80პ)

### ვალდჰოფი 2:2 ჰანოვერი

0:1 კროიცი (36), 0:2 ბლანკი (43), 1:2, 2:2 ვატა (62,70)

### ფორტუნა 1:1 ნიურნბერგი

0:1 დრილერი (22), 1:1 ზერნიკი (34)

### ფიურტი 0:1 ობერჰაუზენი

0:1 ობადი (36)

### გლადბახი 4:1 კარლსრუე

1:0 ვან ლენტი (38), 2:0 დემო (42), 3:0 ასანინი (49), 4:0 ვიტეჩეკი (77), 4:1 კრიგი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 20 | 13 | 5 | 2 | 43:16 | 44 |
| ბოხუმი | 20 | 11 | 3 | 6 | 35:27 | 36 |
| კოტბუსი | 20 | 10 | 1 | 9 | 37:25 | 31 |
| გლადბახი | 20 | 8 | 6 | 6 | 31:24 | 30 |
| ბერლინი | 20 | 7 | 9 | 4 | 27:22 | 30 |
| ალემანია | 20 | 8 | 6 | 6 | 30:34 | 30 |
| ნიურნბერგი | 20 | 8 | 5 | 7 | 30:35 | 29 |
| ვალდჰოფი | 20 | 7 | 7 | 6 | 29:28 | 28 |
| მაინცი | 20 | 6 | 9 | 5 | 23:23 | 27 |
| ობერჰაუზენი | 20 | 6 | 8 | 6 | 18:20 | 26 |
| ქემნიცი | 20 | 6 | 7 | 7 | 27:25 | 25 |
| ფიურტი | 20 | 5 | 10 | 5 | 14:18 | 25 |
| ჰანოვერი | 20 | 6 | 5 | 9 | 29:30 | 23 |
| ზტ. პაული | 20 | 5 | 8 | 7 | 21:26 | 23 |
| ოფენბახი | 20 | 4 | 8 | 8 | 20:31 | 20 |
| ფორტუნა | 20 | 4 | 8 | 8 | 18:29 | 20 |
| კიკერსი | 19 | 4 | 5 | 10 | 27:37 | 17 |
| კარლსრუე | 19 | 2 | 8 | 9 | 22:31 | 14 |

# ინგლისი

XXVI ტური

### სანდერლენდი 1:1 დერბი

0:1 კრისტი (60), 1:1 რაე (62)

სანდერლენდი: სორენსენი, უილიამსი, კრადოკი, ბატლერი, გრეი, ტირლველი, რაე, რუა (ჰოლოვეი 60), კილბეინი, ნ. ქუინი, ფილიპსი

დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი, კარბონარი, ელიოტი, დელაპი, ბარლი (შნური 76), ქინქლაძე (სტარიჯი 90), პაუელი, ჯონსონი, ერანიო, შტრუპარი (კრისტი 45)

გაფრთხილება: უილიამსი, რაე, კარბონარი, ქინქლაძე, ბარლი

მსაჯი: უილი

### შეფილდ უენსდი 0:2 ნიუკასლი

0:1 გალაჰერი (11), 0:2 შირერი (86)

შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ნოლანი, ატერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, სონერი (რუდი 84), ჰასლამი, ე. ქუინი, დე ბილდე (კროსველი 56), სიბონი

ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, დაბიზასი, ჰელდერი (ჰაუი 69), ა. ჰიუზი, დაიერი, გალაჰერი (დომი 75), სპიდი, ლი, დ.ფერგიუსონი (ქეცბაია 46), შირერი

გაფრთხილება: ბარტონი

მსაჯი: რილი

### არსენალი 3:1 საუთჰემპტონი

1:0 ლიუნგბერგი (22), 2:0 ბერხკამპი (36), 2:1 რიჩარდსი (61), 3:1 ლიუნგბერგი (68)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ლიუნგბერგი, კანუ, ბერხკამპი (ოვერმარსი 69)

საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, რიჩარდსი, ბენალი, ტესემი (ლუნდეკვამი 46), ოუკლი, მარსდენი, კოლეტერი (ბოა მორტე 46), კაჩლული, დევისი, ბიტი (მაიკლ ჰიუზი 17)

გაფრთხილება: ბერხკამპი, ვიეირა, მარსდენი, დევისი, კაჩლული, დოდი

მსაჯი: უინტერი

### ბრედფორდი 1:1 ასტონ ვილა

0:1 მერსონი (38), 1:1 უინდასი (76)

ბრედფორდი: დევისონი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, ჯაკობსი, ლოურენსი (ბლეიკი 68), მაკკოლი, უელი (კადეტე 75), ბიგრი, უინდასი, სონდერსი

ასტონ ვილა: ენკელმანი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ბერი, დილანი, ბოატენგი, მერსონი (ჰენდრი 77), სტოუნი (ტეილორი 66), ა. რაიტი, ჯოუჩიმი, კარბონე

გაფრთხილება: ბოატენგი

მსაჯი: ჰელსი

### ჩელსი 2:1 უოტფორდი

1:0 დესაი (2), 1:1 სმარტი (39), 2:1 ჰარლი (65)

ჩელსი: დე გუი, ლამბური (ფერერი 58), დესაი, ტომე, ჰარლი, პეტრესკუ, დეშამპი, მორისი, პოიეტი, ძოლა, ფლო

უოტფორდი: ჩემბერლენი, პალმერი, პეიჯი,. უილიამსი, გიბსი, ჰიდი, ბონოტი (მილერი 87), კენედი, ვუტერი (ნგონგე 80), სმარტი, ჰელგუსონი

გაფრთხილება: მორისი, ჰიდი, ჰელგუსონი

მსაჯი: დანი

### ქოვენთრი 0:1 ტოტენჰემი

0:1 არმსტრონგი (82)

ქოვენთრი: ჰედმანი, ბრინი, შოუ, უილიამსი (ქუინი 46), ბოროუზი, მ. ჰაჯი, ოსტიჩი, მაკალისტერი, ჩიპო, ველანი (ნორმანი 81), რობი კინი

ტოტენჰემი: უოკერი, კარი, სოლ კემპბელი, პერი, ტარიკო (იანგი 62), ჟინოლა, ფროინდი, შერვუდი (კლემენსი 45), ლეონარდსენი, ანდერტონი, კ. არმსტრონგი

გაფრთხილება: კინი

მსაჯი: დარკინი

### მიდლსბრო 0:0 ლიდსი

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, პალისტერი, კუპერი, ციგე, ჟუნინიო, მედისონი (კუმინსი 74), სამერბელი, ე. კემპბელი (ნ. არმსტრონგი 74), რიკარდი (ვიკერსი 87)

ლიდსი: მარტინი, მილსი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი, ჰაალანდი, ჰოპკინი (ბრიჯისი 87), ბოიერი, უილკოქსი, ა. სმიტი (ჰაკერბი 56), კიუელი

გაფრთხილება: პალისტერი, ციგე, კოუელი, მილსი, ჰაალანდი

გაძევება: ფესტა (86)

მსაჯი: რენიე

### ვესტ ჰემი 0:4 ევერტონი

0:1, 0:2, 0:3 ბარმბი (8, 64, 67), 0:4 მური (71)

ვესტ ჰემი: ილიჩი, შტიმაცი, რ.. ფერდინანდი, ტ. სინკლერი, ლომასი, მონკუ, ჯ. კოული, კელერი, ვანჩოპე, კიტსონი

ევერტონი: მირე, შავიერი, ვეირი, გუგი, ანსუორთი, ბარმბი (უორდი 84), პემბრიჯი, კოლინზი, ბოლი, კ. კემპბელი, მური

მსაჯი: ალკოკი

### უიმბლდონი 2:2 მანჩესტერი

1:0 იუელი (1), 1:1 კრუიფი (30), 2:1 კორტი (62), 2:2 კოული (80)

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ჰრეიდარსონი, ანდერსენი, კიმბლი, ერდლი (ანდრესენი 74), იუელი, ვილმოტი, ლუნდი (ბადირი 88), კორტი, გეილი

მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ფ. ნევილი (ბერგი 70), კრუიფი (სოლსკიაერი 71), ბექემი, ბათი, გიგზი, ე. კოული, შერინგემი

მსაჯი: ელერეი



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — საუთჰემპტონი 3:1. ლონდონელი ნვანკვო კანუ მეტოქეთა გარემოცვაში

# ჩვეულებრივი საღამო

ამ ტურის ყველა თამაში შაბათს გაიმართა — „ლივერპული"— „ლესტერის" შეხვედრა გადაიდო, რახან კვირას „ლესტერი" ლიგის თასის ფინალს ეთამაშებოდა „ტრანმერს".

ჩემპიონატის ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" ორი ქულა დაკარგა, უფრო კი მარცხს გადაურჩა „სელჰერსტ პარკზე" „უიმბლდონთან" მატჩში. მაგრამ ორი ქულა დაკარგა მისმა პირველმა მდევარმა „ლიდსმაც", რომელმაც გოლი ვერ გაიტანა მიდლსბროში. „მანჩესტერი" ქულის ხსნას რაიან გიგზს უნდა უმადლოდეს. რამდენიმე თვით მიძინებული გიგზი ორჯერ შეიქნა საგოლე პასების შემოქმედი და ლიდერი გადაარჩინა. „უიმბლდონი" დაქოქილი და მეტად ყურადღებიანი ჩანდა. კლუბი და ქომაგები ეთხოვებოდნენ თავიანთ მრავალწლიან დირექტორს სემ ჰემემს, ვინაც თავისი საკლუბო წილი გაყიდა. „დონები" ორჯერ იგებდნენ ჯეისონ იუელისა და კარლ კორტის გოლებით, მაგრამ პირველად ... კრუიფმა გაათანაბრა, მეორედ კი გიგზმა გადაირბინა მთელი მინდორი და ენდი კოულს გადააწოდა, ამან კი ზუსტად დაარტყა შორეულ კუთხეში. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოედანზე იყო დევიდ ბექემი, რომელიც ძირითადად არ ჩანდა.

„ლიდსმა" კი ვერაფერი გააწყო მიდლსბროში. თუმც, პირიქითაც შეიძლება ითქვას. „მიდლსბრომ" ვერ გაუტანა „ლიდსს". მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარი მაინც უფრო „ლიდსისა" იყო, დათარსულ ლი ბოიერს კი ალბათ მკითხავთან მოუწევს მისვლა. მერამდენე თამაშია, რაც ლი ცარიელი კარის წინიდან აცილებს ბურთს. ასეა თუ ისე, გოლი არ გასულა.

სამაგიეროდ კი ამ პირველი ორის მდევრებმა „არსენალმა" და „ჩელსიმ" მოიგეს. მეთოფეებმა სძლიეს გლენ ჰოდლის ხელში წამოჩიტულ „საუთჰემპტონს". ჰოდლის პირველი მარცხი წლევანდელ პრემიერლიგაში ფრედრიკ ლუნბერგის იღბალა ფეხისა და დენის ბერხკამპის ჭკვიანური თამაშის წყალობით მოხერხდა.

„ჩელსიმ" უბრალოდ მოუგო მაჩანჩალა „უოტფორდს", „ასტონ ვილამ" კი დასანანი ფრე ითამაშა „ბრედფორდში". პოლ მერსონის გოლს დინ უინდასმა გვიანი თავურით უპასუხა. „ბრედფორდელთა" რიგებში პირველად გამოჩნდა პორტუგალიელი ვარსკვლავი ჟორჟე კადეტე. „ბრედფორდის" უშუალო მოწინააღმდეგე ლიგაში დარჩენის საკითხში „დერბი ქაუნთი" სანდერლენდს სტუმრობდა და იქაურ „ლაითზე" და კინაღამ სამი ქულაც წამოიღო იქედან. ეჰ, მოქანცულა „სანდერლენდი". წესად აულია, რომ შინ აუცილებლად უნდა გაუშვას გოლი და მერე თამაშის შემოსაბრუნებლად იჯაფოს. ქინქლაძემ კარის წინ დატოვა რორი დელაპი და ამის დარტყმული მეკარემ მოიგერია, გადმოვარდნილ ბურთს დერბიელთა ყმაწვილმა მხსნელმა, მალკოიმ კრისტიმ მიუსწრო და ანგარიში გახსნა. მაგრამ „დერბიმ" მაინც ვერ დაიხსნა თავი „ბრედფორდისგან", 62-ე წუთზე ალექს რაემ მაიკლ გრეის კროსს მიუსწრო და ეს თამაშიც ფრედ დასრულდა.

ქოვენთრიში, მუსტაფა ჰაჯის ორჯერ შეეძლო გაეტანა სტუმარი „ტოტენჰემისთვის", მაგრამ მეკარე იან უოკერმა ივაჟკაცა. სამაგიეროდ, დარენ ანდერტონმა კუთხურიდან თავზე დაასვა ბურთი მცველთაგან მიტოვებულ კრის არმსტრონგს და „ტოტენჰემმაც" სამი ქულა წამოიღო ლონდონში. „შეფილდ უენსდის" კი ალბათ ძალა აღარ ეყოფა პრემიერლიგაში დასარჩენად. დევიდ უილსონის გუნდმა ზედიზედ მესამედ წააგო შინ, ამჯერად „ნიუკასლთან". კევინ გალაჰერმა და ალან შიშერმა თითო ტაიმში თითო გაუტანეს მასპინძლებს და თუმც შირერის გოლი თამაშგარეს ჩამოჰგავდა, შეხვედრის შედეგი მაინც 2:0 გამოცხადდა. ჯორდებს დაუშავდა ... ფერგიუსონი, ვის მაგივრადაც ... გამოვიდა მოედანზე.

არაერთგზის დაგვიწერია, რომ მშობლიურ „აპტონ პარკზე" „ვესტ ჰემს" წარმოდგენის გამართვა ძალუძს. ამჯერადაც ასე იყო „ვესტ ჰემმა" შოკისმომგვრელი წარმოდგენა შესთავაზა მაყურებელს: 0:4 წააგო „ევერტონთან". ამ სეზონში „ევერტონი" დაეჩვია უხვგოლიან გამარჯვებებს. „აპტონ პარკზე" კი საერთოდაც სტატისტიკური სიახლე დაფიქსირდა — ნიკ ბარმბიმ კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა. კიდევ ერთი ამერიკელმა ჯო მაქს მურმა გაიტანა. „ვესტ ჰემს" კი ნაღდად უიღბლო დღე ჰქონდა — დაშავებულ მეკარეს შაკა ჰისლოპს საშა ილიჩი ცვლიდა: მთავარი კაცი პაოლო დი კანიო დაემტვრა და შეხვედრასაც პოლ ალკოკი მსაჯობდა, სწორედ ის კაცი, რომელსაც ორი წლის წინათ „შეფილდში" მოთამაშე დი კანიომ ხელი ჰკრა და ბალახზე გააგორა.

ირაკლი გამყრელიძე

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 26 | 17 | 6 | 3 | 59:33 | 26 | 57 | 13 | 10 | 3 | 0 | 38:10 | 28 | 33 | 13 | 7 | 3 | 3 | 21:23 | -2 | 24 |
| 2 | ლიდსი | 26 | 16 | 3 | 7 | 39:29 | 10 | 51 | 13 | 9 | 1 | 3 | 18:10 | 8 | 28 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:19 | 2 | 23 |
| 3 | არსენალი | 26 | 14 | 5 | 7 | 46:27 | 19 | 47 | 14 | 10 | 2 | 2 | 30:11 | 19 | 32 | 12 | 4 | 3 | 5 | 16:16 | 0 | 15 |
| 4 | ლივერპული | 25 | 14 | 5 | 6 | 38:21 | 17 | 47 | 13 | 9 | 1 | 3 | 23:9 | 14 | 28 | 12 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 19 |
| 5 | ჩელსი | 26 | 13 | 7 | 6 | 37:24 | 13 | 46 | 13 | 9 | 2 | 2 | 24:8 | 16 | 29 | 13 | 4 | 5 | 4 | 13:16 | -3 | 17 |
| 6 | სანდერლენდი | 26 | 11 | 7 | 8 | 42:37 | 5 | 40 | 14 | 7 | 5 | 2 | 22:13 | 9 | 26 | 12 | 4 | 2 | 6 | 20:24 | -4 | 14 |
| 7 | ევერტონი | 26 | 10 | 9 | 7 | 46:35 | 11 | 39 | 12 | 5 | 7 | 0 | 27:13 | 14 | 22 | 14 | 5 | 2 | 7 | 19:22 | -3 | 17 |
| 8 | ასტონ ვილა | 26 | 10 | 8 | 8 | 31:24 | 7 | 38 | 12 | 5 | 5 | 2 | 15:7 | 8 | 20 | 14 | 5 | 3 | 6 | 16:17 | -1 | 18 |
| 9 | ტოტენჰემი | 26 | 11 | 5 | 10 | 35:29 | 6 | 38 | 12 | 7 | 1 | 4 | 22:14 | 8 | 22 | 14 | 4 | 4 | 6 | 13:15 | -2 | 16 |
| 10 | ლესტერი | 25 | 10 | 5 | 10 | 35:36 | -1 | 35 | 13 | 7 | 2 | 4 | 20:17 | 3 | 23 | 12 | 3 | 3 | 6 | 15:19 | -4 | 12 |
| 11 | ვესტ ჰემი | 25 | 9 | 8 | 8 | 34:35 | -1 | 35 | 12 | 7 | 3 | 2 | 21:20 | 1 | 24 | 13 | 2 | 5 | 6 | 13:15 | -2 | 11 |
| 12 | ნიუკასლი | 26 | 9 | 7 | 10 | 46:41 | 5 | 34 | 12 | 6 | 4 | 2 | 31:13 | 18 | 22 | 14 | 3 | 3 | 8 | 15:28 | -13 | 12 |
| 13 | ქოვენთრი | 26 | 8 | 8 | 10 | 35:32 | 3 | 32 | 14 | 8 | 1 | 5 | 27:17 | 10 | 25 | 12 | 0 | 7 | 5 | 8:15 | -7 | 7 |
| 14 | მიდლსბრო | 26 | 9 | 5 | 12 | 27:37 | -10 | 32 | 14 | 6 | 3 | 5 | 14:18 | -4 | 21 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:19 | -6 | 11 |
| 15 | უიმბლდონი | 26 | 6 | 11 | 9 | 37:45 | -8 | 29 | 14 | 5 | 6 | 3 | 24:18 | 6 | 21 | 12 | 1 | 5 | 6 | 13:27 | -14 | 8 |
| 16 | საუთჰემპტონი | 25 | 8 | 5 | 12 | 30:41 | -11 | 29 | 12 | 5 | 3 | 4 | 16:14 | 2 | 18 | 13 | 3 | 2 | 8 | 14:27 | -13 | 11 |
| 17 | დერბი ქაუნთი | 26 | 6 | 7 | 13 | 28:39 | -11 | 25 | 13 | 3 | 2 | 8 | 12:21 | -9 | 11 | 13 | 3 | 5 | 5 | 16:18 | -2 | 14 |
| 18 | ბრედფორდი | 26 | 6 | 7 | 13 | 26:42 | -16 | 25 | 13 | 4 | 7 | 2 | 16:17 | -1 | 19 | 13 | 2 | 0 | 11 | 10:25 | -15 | 6 |
| 19 | უენსდი | 26 | 4 | 5 | 17 | 23:53 | -30 | 17 | 13 | 3 | 3 | 7 | 13:16 | -3 | 12 | 13 | 1 | 2 | 10 | 10:37 | -27 | 5 |
| 20 | უოტფორდი | 26 | 4 | 3 | 19 | 23:57 | -34 | 15 | 12 | 3 | 2 | 7 | 16:22 | -6 | 11 | 14 | 1 | 1 | 12 | 7:35 | -28 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 22 |
| შირერი (ნიუკასლი) | 17 |
| კოული (მანჩესტერი) | 17 |

XXVII ტური

4 მარტი

დერბი — უიმბლდონი
ევერტონი — შეფილდი
მანჩესტერი — ლივერპული
ნიუკასლი — ჩელსი
საუთჰემპტონი — მიდლსბრო
ტოტენჰემი — ბრედფორდი
უოტფორდი — ვესტ ჰემი

5 მარტი

ასტონ ვილა — არსენალი
ლიდსი — ქოვენთრი
ლესტერი — სანდერლენდი

## პირველი დივიზიონი

XXXIII ტური

### ბირმინგემი 1:1 იფსვიჩი

1:0 მოუბრეი (17 ს.კ.), 1:1 დ. ჯონსონი (45)

### ბარნსლი 1:1 ბოლტონი

0:1 ჰოლდსუორთი (43პ), 1:1 ტინკლერი (46)

### ბლექბერნი 2:1 ვესტ ბრომვიჩი

0:1 კარბონი (14), 1:1 გილესპი (70), 2:1 დეილი (76)

### ჩარლტონი 1:0 შეფილდ იუნ.

1:0 რობინსონი (47)

### გრიმსბი 1:0 კრ. პალასი

1:0 სმიტი (45 პ)

### მანჩესტერ სიტი 1:1 უოლსოლი

0:1 მატიასი (43), 1:1 გოტერი (71)

### ნორვიჩი 1:1 ჰადერსფილდი

0:1 ვინსენტი (65), 1:1 რობერტსი (75)

### პორტვეილი 1:1 სტოკპორტი

0:1 ვიბრაჰამი (9), 1:1 ვიდრინგტონი (45)

### სუინდონი 0:1 ქრიუ

0:1 კრამბი (54)

### ვულვერჰემპტონი 3:0 ნოტინგემი

1:0 პოლეტი (8), 2:0 ბაზელი (20), 3:0 ბრენჩი (25)

### ქუინზ პარკი — ფულემი

იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 32 | 22 | 5 | 5 | 59:29 | 71 |
| იფსვიჩი | 33 | 18 | 10 | 5 | 55:32 | 64 |
| სიტი | 32 | 19 | 6 | 7 | 52:26 | 63 |
| ბარნსლი | 33 | 17 | 7 | 9 | 63:48 | 58 |
| ბირმინგემი | 33 | 15 | 9 | 9 | 50:37 | 54 |
| ჰადერსფილდი | 33 | 15 | 8 | 10 | 50:36 | 53 |
| ვულვზი | 33 | 14 | 10 | 9 | 47:36 | 52 |
| ფულემი | 32 | 12 | 12 | 8 | 29:26 | 48 |
| ბლექბერნი | 32 | 12 | 11 | 9 | 39:35 | 47 |
| ბოლტონი | 32 | 12 | 10 | 10 | 44:35 | 46 |
| სტოკპორტი | 33 | 11 | 11 | 11 | 37:44 | 44 |
| ქუინზ პარკი | 32 | 10 | 13 | 9 | 41:38 | 43 |
| ნორვიჩი | 32 | 11 | 10 | 11 | 33:35 | 43 |
| გრიმსბი | 33 | 12 | 7 | 14 | 37:52 | 43 |
| შეფილდ იუნ. | 33 | 11 | 9 | 13 | 46:47 | 42 |
| ტრანმერი | 31 | 10 | 7 | 14 | 40:47 | 37 |
| კრ. პალასი | 33 | 9 | 10 | 14 | 44:53 | 37 |
| ნოტინგემი | 33 | 9 | 9 | 15 | 35:43 | 36 |
| ვესტ ბრომვიჩი | 33 | 6 | 15 | 12 | 27:42 | 33 |
| ქრიუ | 33 | 8 | 8 | 17 | 32:44 | 32 |
| უოლსოლი | 33 | 7 | 10 | 16 | 34:52 | 31 |
| პორტსმუთი | 32 | 7 | 9 | 16 | 35:49 | 30 |
| პორტვეილი | 31 | 6 | 11 | 14 | 33:42 | 29 |
| სუინდონი | 33 | 3 | 11 | 19 | 22:56 | 20 |

## მეორე დივიზიონი

33-ე ტური. ბორნმუთი — ბლექპული 2:0; ბრისტოლი — სკანთორპი 2:1; კემბრიჯი — მილუოლი 0:2; ჩესტერფილდი — რედინგი 2:0; კოლჩესტერი — ბარნლი 1:2; ლუთონი — ბრენტფორდი 1:2; ნოტსი — კარდიფი 2:1; ოლდემი — როვერსი 1:4; ოქსფორდი — რექსჰემი 1:4; პრესტონი — ჯილინგემი 0:2; უიგანი — სტოკი 1:2; უიკომბი — ბერი 3:0

## მესამე დივიზიონი

33-ე ტური. კარლაისლი — შრიუსბერი 1:1; ჩელტენემი — პიტერბრო 2:1; ჩესტერი — ბრაიტონი 1:7; ჰალიფაქსი — საუთენდი 0:0; მაკლსფილდი — ლინკოლნი 1:1; მენსფილდი — დარლინგტონი 1:2; ნორთჰემპტონი — ბარნეტი 1:0; პლიმუთი — ჰარტლპული 1:1; როჩდეილი — როტერჰემი 0:1; სუონსი — ჰალი 0:0; ტორკი — ლეიტონი 0:0; იორკი — ექსეტერი 0:0

## იტალია

XXIII ტური

**იუვენტუსი 2:1 რომა**

1:0 დავიდსი (31), 1:1 დელვეკიო (38), 2:1 ინძაგი (46)

იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, იულიანო, კონტე (ბირინდელი 46), ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო, ზიდანი (მირკოვიჩი 87), ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 64), დელ პიერო

რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, მანგონე, კაფუ, ტომაზი, ნაკატა (პოჯი 67), დი ფრანჩესკო, ტოტი, მონტელა, დელვეკიო

გაფრთხილება: ტაკინარდი, იულიანო, ნაკატა, ტოტი

გაძევება: მონტერო (40)

**პარმა 0:4 ფიორენტინა**

0:1 ბალბო (21), 0:2, 0:3 რუი კოშტა (66,75), 0:4 მიატოვიჩი (85)

პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, ლასისი (ვანოლი 71), ფუზერი, დაბო, პაულო სოუზა, ლონგო (ვალემი 80), ბენარივო (ორტეგა 46), კრესპო, დი ვაიო

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, ტორიჩელი, კოისი (როსიტო 82), რუი კოშტა (ოკონი 84), კ. ამორუზო, დი ლივიო (ტაროცი 67), ბალბო, მიატოვიჩი

გაფრთხილება: პაულო სოუზა, ორტეგა

მსაჯი: ფარინა

**კალიარი 0:0 მილანი**

კალიარი: სკარპი, დილიზო, ბიანკონი, ძებინა, ამეტრანო, ბერეტა, ონილი, დე პატრე, მაჩელარი, მაიელე (სუაზო 61), ოლივეირა (მბომა 46)

მილანი: აბიატი, სალა, რ. აიალა, შამოტი, გატუზო, ალბერტინი, დე აშენტისი, სერჟინიო (ჰელვეგი 89), ბობანი (ჯუნტი 70), ბირჰოფი (ხოსე მარი 72), შევჩენკო

გაფრთხილება: აიალა, შამოტი, გატუზო

მსაჯი: ჩეზარი

**ინტერი 3:0 ვენეცია**

1:0 ვიერი (41), 2:0 სამორანო (52), 3:0 რეკობა (83)

ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, კოე, გეორგატოსი, იუგოვიჩი (სამორანო 35), ზეედორფი (სერენა 79), რეკობა, ვიერი (დი ბიაჯო 58)

ვენეცია: კასაცა, კარდონე, ბილიკა, ნგოტი, ბრიოსკი, პედონე, იაკინი (მანიერო 73), ვოლპი, ბერგი (იბერტსბერგერი 84), ვალტოლინა, განცი (ბუდანი 61)

გაფრთხილება: ზეედორფი, ბილიკა, გეორგატოსი

მსაჯი: ბორიელო

**ლაციო 2:1 უდინეზე**

1:0 ნეგრო (18), 2:0 სალასი (48), 2:1 ლოკატელი (89)

ლაციო: მა[illegible]კეჯანი, ნეგრო, ნესტა (ფერნანდო კ[illegible]უტუ 69), მიხაილოვიჩი, პანკარო, სერჟიო კონსეისაო, დ. სტანკოვიჩი (სიმეონე 69), ვერონი, ნედვედი, რავანელი (რ. მანჩინი 78), სალასი

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, სოტილი, გარგო, ალბერტო (ლოკატელი 49), იორგენსენი, ჯანიკედა (აპია 66), ფიორე (ვან დერ ვეგტი 64), მანფრედინი, მუცი, სოსა

გაფრთხილება: ალბერტო

მსაჯი: კასტელანი

**ბარი 1:1 ტორინო**

1:0 ოსმანოვსკი (45), 1:1 ფერანტე (59)

ბარი: ფ.მანჩინი, გა[illegible]სია, ინოჩენტი, ნექროიზი, ბელავისტა (კასანო 66), კოლაუტო (დე როსა 81), დ. ანდერსონი, პეროტა, მ. მარკოლინი, სპინეზი, ოსმანოვსკი (დელ გროსო 66)

ტორინო: ბუჩი, ბონომი, გრანდონი, დიავარა, გალანტე, ბრამბილა (ფიკადენტი 10), პეკია, სომეზე, ლენტინი, ფერანტე (ტრიკარიკო 88), სილენცი (სკარლატო 46)

გაფრთხილება: მარკოლინი, ნექროიზი, გარსია, ლენტინი, დიავარა, ბონომი, სომეზე, გალანტე

მსაჯი: კოლინა



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — რომა 2:1. ტურინელ ედგარ დავიდსს გზად რომაელი ჰიდეტოში ნაკატა გადაეღობა

# ათი კაცითაც მოიგო

**ბოლონია 0:0 პიაჩენცა**

ბოლონია: ორლანდონი, ფალკონე, ბია, პარამატი, დალ კანტო, ინგესონი, მაროკი (კოლივანოვი 68), ვომე (ზე ელიასი 55), ერიბერტო (ნერვო 46), კ. ანდერსონი, სინიორი

პიაჩენცა: რომა, ა. ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, გაუტიერი (მანიგეტი 85), ლამაკი, მაცოლა, მორონე, საკეტი, რასტელი (პიოვანი 43), რიციტელი

გაფრთხილება: რიციტელი, პარამატი, საკეტი, მაცოლა, გაუტიერი, ზე ელიასი

მსაჯი: მესინა

**რეჯინა 2:1 ლეჩე**

1:0 პირლო (11), 2:0 კალონი (41 პ), 2:1 ლუკარელი (72 პ)

რეჯინა: ტაიბი, ჯიაკეტა, ჩირილო, სტოვინი, ფოლიო (პრალია 79), ბრევი, ბარონიო, პირლო (ბოგდანი 87), მორაბიტო, კალონი, პოსანცინი (ოშადოგანი 67)

ლეჩე: კიმენტი, ხუარესი (სიპრიენი 80), ვიალი, პივოტო, ბალერი, კონტიკიო (ბონომი 15), ლიმა, პიანჯერელი, კოლონელო (ბილოტი 46), მარინო, კ. ლუკარელი

მსაჯი: როდომონტი

**პერუჯა 0:0 ვერონა**

პერუჯა: მაცანტინი, ჰილარიო, კალორი, რიპა, რივალტა, ბა (ტაპია 45), ტედესკო, ოლივე, ესპოზიტო, ალენიჩევი (ბიზოლი 86), მელი (ნ. ამორუზო 38)

ვერონა: ფრეი, დიანა, ლაურსენი, აპოლონი, ფალსინი, სალვეტი, მარასკო, კოლუჩი, მელისი, მორფეო, კამარატა (ადაილტონი 61)

გაფრთხილება: კოლუჩი, სალვეტი, ოლივე, მარასკო

მსაჯი: ტრეოსი

„იუვენტუსი" ახლა უკვე ოთხი ქულით ლიდერობს. „რომასთან" შეხვედრის წინ მისი მწვრთნელი, კარლო ანჩელოტი ამბობდა, გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ, რადგან „ბებერ ქალბატონს" ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრების მოგება სჩვევიაო და ნეტამც ყველაფერი ისე აგვიხდეს. ალბათ, ნამდვილად ძლიერი გუნდი მოჩვენებით ძლიერისგან სწორედ ამით განსხვავდება. თან დახეთ, მასპინძლებს პირველი ტაიმის მიწურულს, მე-40 წუთზე მოედნიდან პაოლო მონტერო გაუძევეს და მაინც, ტურინის გუნდმა გაიმარჯვა, ათი კაცითაც მოიგო...

მონტეროს გაძევების წინ ანგარიში 1:1 იყო. რომაელების კაპიტანი, ფრანჩესკო ტოტი მეკარესთან პირისპირ შეჰყავდათ, ტურინელმა ურუგვაელმა კი პასი ხელით ჩაჭრა და...

ტაიმის დასრულებამდე ჯერ იაპონელმა ჰიდეტოში ნაკატამ, მერე კი ბრაზილიელმა ალდაირმა კინაღამ გატეხეს უმცირესობაში დარჩენილთა წინააღმდეგობა, ისინი წარმოუდგენლად ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს და როგორც გაირკვა ბედისწერა სწორედ აქ ყოფილა ჩასაფრებული. შესვენებისას იუვენტუსელებმა ამოისუნთქეს, გამხნევდნენ და მეორე ტაიმში სხვა სახით წარსდგნენ „დელე ალპიზე" შეკრებილთა წინაშე. კართა გაცვლის მერე „ბებერი ქალბატონის" პირველივე შეტევა გოლით დასრულდა — ალესანდრო ბირინდელის ჩაწოდებული ბურთის ტრაექტორიას რიკოშეტის გამო მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლიმ ალღო ვერ აუღო და ფილიპო ინძაგიმ დაუცველ კარში შეაგდო.

თავიდან კი ანგარიში 31-ე წუთზე გაიხსნა. ედგარ დავიდსმა საჯარიმო მოედნის კიდიდან ძლიერი დაბალი დარტყმით მიაღწია მიზანს, მაგრამ შვიდი წუთის შემდეგ სტუმრებმა გაქვითეს — მარკო დელვეკიომ ოსტატურად გაგზავნა ბურთი იუვენტუსელთა კარში, რომელსაც შესაძლებლობათა მიუხედავად მეტად დაცემა აღარ ეწერა. დღეს, 23 ტურის შემდეგ ტურინელებს მხოლოდ 11 გოლი აქვთ გაშვებული.

მაშ ასე, სერია A-ს ლიდერსა და ბევრის აზრით მომავალ ჩემპიონს უკვე 19 მატჩია არ წაუგია და, როგორც მოგახსენეთ, ოთხი ქულით უსწრებს მდევარს, ამჯერად ისევ „ლაციოს", რომელმაც „უდინეზეს" 2:1 სძლია.

თუ ტურინელები, რომლებიც ახლა უეფას თასზე ესპანურ „სელტას" უნდა შეხვდნენ, სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებენ ბრწყინვალე ფორმას, მაშინ მათ ისტორიულ მონაგარს ოცდამეექვსე სკუდეტო შეემატება.

ჩემპიონმა, „მილანმა" კი სარდინიაზე „კალიარის" ვერ მოუგო — 0:0. რომ გაემარჯვა დღესაც მეორე ადგილზე იქნებოდა („იუვენტუსი" და „მილანი" ერთმანეთს „სან სიროზე" 26 მარტს ხვდებიან) და ვინ იცის ეს ორი დაკარგული ქულა სად წაადგებოდა, მაგრამ შავ-წითლებს შეტევაში სიმწვავე და ფანტაზია მხოლოდ 25 წუთს ეყოთ, მერე კი, რომ არ წა[illegible], მეკარე კრისტიან აბიატის უნდა [illegible].

მეორე ტაიმში ალბერტო ძაკერონის გუნდმა მეტოქის კარისკენ ერთხელაც ვერ დაარტყა, ხოლო ფაბიენ ონილისა და ტიციანო დე პატრეს თამაშით შთაგონებულმა „კალიარიმ", სტატისტიკოსთა დათვლით 90 წუთში 10 საგოლე მომენტი შექმნა.

„სარდინიელებმა უეჭველად გვაჯობეს" — აღიარა ძაკერონიმ — თამაშამდე ერთობ შეფიქრიანებული ვიყავი, რადგან მთელი კვირის განმავლობაში ვხედავდი, რომ ჩემი ფეხბურთელები ძველებურად ველარ თამაშობენ (ალბათ, სანაკრებო მატჩებში მონაწილეობის გამო) და ვიცოდი, რომ ეს შემოგვიბრუნდებოდა. მაგრამ, მოდით, „კალიარის" დამსახურებას ჩრდილს ნუ მივაყენებთ. ისინი გამარჯვებას იმსახურებდნენ".

ახლა უკვე ზედიზედ შვიდ შეხვედრაში დაუმარცხებელმა „ინტერმა" ამჯერად „ვენეციას" მოუგო 3:1, „ფიორენტინამ" კი პარმაში მოიწყო ფოიერვერკი — 4:0.

„პერუჯასა" და „ვერონას" ჩხუბიანი თამაში უგოლოდ, 0:0 დამთავრდა. 47-ე წუთზე მარცხენა მუხლის მყესები დაიწყვიტა ფრანგმა ნახევარმცველმა იბრაჰიმ ბამ, რომელიც სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. გარდა ამისა „პერუჯას" გოლკიპერს, ანჯელო პაგოტოს პარასკევს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რადგან 21 ნოემბერს, „ფიორენტინასთან" შეხვედრაში კოკაინნაყნოსი გასულა მოედანზე. თავად მეკარე, ბუნებრივია, ყველაფერს უარყოფს.

**პაპუნა ძიდია**

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | 23 | 14 | 8 | 1 | 33:11 | 22 | 50 | 12 | 10 | 2 | 0 | 21:5 | 16 | 32 | 11 | 4 | 6 | 1 | 12:6 | 6 | 18 |
| 2 | ლაციო | 23 | 13 | 7 | 3 | 43:22 | 21 | 46 | 12 | 9 | 3 | 0 | 29:10 | 19 | 30 | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 2 | 16 |
| 3 | მილანი | 23 | 12 | 9 | 2 | 48:28 | 20 | 45 | 11 | 7 | 4 | 0 | 28:12 | 16 | 25 | 12 | 5 | 5 | 2 | 20:16 | 4 | 20 |
| 4 | ინტერი | 23 | 13 | 4 | 6 | 44:20 | 24 | 43 | 12 | 9 | 2 | 1 | 34:8 | 26 | 29 | 11 | 4 | 2 | 5 | 10:12 | -2 | 14 |
| 5 | რომა | 23 | 12 | 6 | 5 | 49:25 | 24 | 42 | 11 | 8 | 2 | 1 | 29:10 | 19 | 26 | 12 | 4 | 4 | 4 | 20:15 | 5 | 16 |
| 6 | პარმა | 23 | 9 | 7 | 7 | 34:30 | 4 | 34 | 11 | 5 | 3 | 3 | 19:14 | 5 | 18 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 16 |
| 7 | უდინეზე | 23 | 9 | 6 | 8 | 39:32 | 7 | 33 | 12 | 5 | 3 | 4 | 24:19 | 5 | 18 | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 2 | 15 |
| 8 | ფიორენტინა | 23 | 7 | 9 | 7 | 26:28 | -2 | 30 | 11 | 6 | 3 | 2 | 15:11 | 4 | 21 | 12 | 1 | 6 | 5 | 11:17 | -6 | 9 |
| 9 | ბოლონია | 23 | 7 | 7 | 9 | 19:23 | -4 | 28 | 12 | 6 | 4 | 2 | 11:4 | 7 | 22 | 11 | 1 | 3 | 7 | 8:19 | -11 | 6 |
| 10 | ბარი | 23 | 7 | 7 | 9 | 27:35 | -8 | 28 | 11 | 4 | 7 | 0 | 15:9 | 6 | 19 | 12 | 3 | 0 | 9 | 12:26 | -14 | 9 |
| 11 | ლეჩე | 23 | 7 | 7 | 9 | 23:32 | -9 | 28 | 12 | 6 | 4 | 2 | 13:8 | 5 | 22 | 11 | 1 | 3 | 7 | 10:24 | -14 | 6 |
| 12 | პერუჯა | 23 | 7 | 5 | 11 | 22:40 | -18 | 26 | 11 | 4 | 3 | 4 | 14:19 | -5 | 15 | 12 | 3 | 2 | 7 | 8:21 | -13 | 11 |
| 13 | რეჯინა | 23 | 5 | 10 | 8 | 22:30 | -8 | 25 | 12 | 4 | 5 | 3 | 12:15 | -3 | 17 | 11 | 1 | 5 | 5 | 10:15 | -5 | 8 |
| 14 | ტორინო | 23 | 5 | 9 | 9 | 23:31 | -8 | 24 | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 12 | 12 | 2 | 6 | 4 | 11:17 | -6 | 12 |
| 15 | ვერონა | 23 | 5 | 7 | 11 | 22:35 | -13 | 22 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:10 | 5 | 18 | 12 | 0 | 4 | 8 | 7:25 | -18 | 4 |
| 16 | ვენეცია | 23 | 5 | 4 | 14 | 20:42 | -22 | 19 | 12 | 5 | 3 | 4 | 14:14 | 0 | 18 | 11 | 0 | 1 | 10 | 6:28 | -22 | 1 |
| 17 | კალიარი | 23 | 2 | 11 | 10 | 20:34 | -14 | 17 | 11 | 2 | 6 | 3 | 10:11 | -1 | 12 | 12 | 0 | 5 | 7 | 10:23 | -13 | 5 |
| 18 | პიაჩენცა | 23 | 3 | 7 | 13 | 12:28 | -16 | 16 | 12 | 2 | 5 | 5 | 7:11 | -4 | 11 | 11 | 1 | 2 | 8 | 5:17 | -12 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 16 |
| მონტელა (რომა) | 15 |
| კრესპო (პარმა) | 14 |
| კ. ლუკარელი (ლეჩე) | 13 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 13 |
| ვიერი (ინტერი) | 13 |

### XXIV ტური

4 მარტი

ფიორენტინა — პიაჩენცა
უდინეზე — კალიარი

5 მარტი

იუვენტუსი — ბარი
ვერონა — ბოლონია
მილანი — ინტერი
ლეჩე — ლაციო
ვენეცია — პერუჯა
პარმა — რეჯინა
რომა — ტორინო

## სერია B

XXIV ტური

**მონცა 1:1 ტრევიზო**

1:0 ტოპიჩი (13), 1:1 ბორტოლუცი (21)

**სავოია 2:0 რავენა**

1:0 გრეკო (4), 2:0 ჟირარდელო (31)

**სამპდორია 2:0 კოზენცა**

1:0 პალმიერი (28 პ), 2:0 დიონიჯი (72)

**სალერნიტანა 1:0 ჯენოა**

1:0 გვიდონი (113)

**ფერმანა 0:3 პესკარა**

0:1 ჯამპაოლო (7), 0:2 ვუკოია (64), 0:3 ჯამპაოლო (84)

**კიევო 1:0 პისტოიეზე**

1:0 ძირონელი (29)

**ჩეზენა 2:1 ემპოლი**

1:0 ბარონჩელი (19), 1:1 რეგონესი (23), 2:1 ტალდო (34)

**ბრეშა 2:0 ალძანო**

1:0, 2:0 უბნერი (47პ, 54პ)

**ატალანტა 1:2 ტერნანა**

0:1 კორდონე (28), 0:2 არტიტო (43), 1:2 კაჩა (51)

**ვიჩენცა — ნაპოლი**

იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 23 | 12 | 6 | 5 | 42:25 | 42 |
| სამპდორია | 24 | 11 | 9 | 4 | 25:16 | 42 |
| ბრეშა | 24 | 10 | 9 | 5 | 31:20 | 39 |
| ატალანტა | 24 | 11 | 5 | 8 | 31:23 | 38 |
| ნაპოლი | 23 | 9 | 9 | 5 | 30:24 | 36 |
| სალერნიტანა | 24 | 9 | 8 | 7 | 33:30 | 35 |
| კიევო | 24 | 9 | 7 | 8 | 29:28 | 34 |
| ჩეზენა | 24 | 7 | 11 | 6 | 33:29 | 32 |
| ტრევიზო | 24 | 9 | 5 | 10 | 30:28 | 32 |
| პესკარა | 24 | 6 | 13 | 5 | 34:27 | 31 |
| ალძანო | 24 | 8 | 7 | 9 | 22:29 | 31 |
| რავენა | 24 | 7 | 9 | 8 | 23:24 | 30 |
| კოზენცა | 24 | 6 | 12 | 6 | 20:21 | 30 |
| ტერნანა | 24 | 6 | 11 | 7 | 25:31 | 29 |
| ემპოლი | 24 | 7 | 7 | 10 | 19:31 | 28 |
| ჯენოა | 24 | 7 | 6 | 11 | 28:29 | 27 |
| მონცა | 24 | 4 | 15 | 5 | 24:26 | 27 |
| პისტოიეზე | 24 | 7 | 7 | 10 | 18:25 | 24 |
| ფერმანა | 24 | 4 | 8 | 12 | 21:36 | 20 |
| სავოია | 24 | 4 | 8 | 12 | 20:36 | 20 |

## სერია C1/A

24-ე ტური. კრემონეზე — ალბინოლეფე 0:1; ლეკო — ჩიტადელა 1:1; ლუკეზე — კარარეზე 1:2; პიზა — მოდენა 0:2; სანდონა — ლუმეცანე 1:1; სიენა — მონტევარკი 1:1; სპალ — ლივორნო 1:1; ვარეზე — კომო 2:1

## სერია C1/B

24-ე ტური. XXIV ტური. არეცო — ლოდიჯანი 1:2; ატლეტიკო — კროტონე 1:4; აველინო — ჯულიანოვა 2:0; დი სანგრო — ანკონა 1:3; ფ. ანდრია — ბენევენტო 1:1; გუალდო — ნოჩერინა 0:0; სტაბია — პალერმო 2:1; მარსალა — ასკოლი 0:2; ვიტერბეზე — კატანია 0:0

## ესპანეთი

### XXVI ტური

### რეალი 3:0 ბარსელონა

1:0 რობერტო კარლოსი (5), 2:0 ანელკა (19), 3:0 მორიენტესი (52)
რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, კარანკა, იერო, რობერტო კარლოსი (ივან კამპო 86), რედონდო, გუტი, ჯერემი, ანელკა (მაკმანამანი 85), რაული, მორიენტესი (მანუელ სანჩისი 69)
ბარსელონა: არნაუ, რაიციგერი, აბელარდო, ბოგარდი (ხავი 46), პუიოლი, რ. დე ბური, ზენდენი, ფიგუ, ლუის ენრიკე (გვარდიოლა 61), რივალდო, კლუივერტი (დანი 72)
გაფრთხილება: გუტი, რაიციგერი, მიჩელ სალგადო, აბელარდო, კარანკა, კლუივერტი
გაძევება: გუტი (84)
მსაჯი: ანსუატეგი როჩა

### დეპორტივო 2:1 მალიორკა

1:0 მაკაი (9), 2:0 ჯალმინია (66), 2:1 დიეგო ტრისტანი (90)
დეპორტივო: სონგო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მანუელ პაბლო, ფლავიო კონსეისაო, ფრანი (ტურუ ფლორესი 63), ჯალმინია, მაურო სილვა, ვიქტორ სანჩესი (ხაიმე 85), მაკაი (პაულეტა 75)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ოლაიზოლა (არმანდო 80), სივიერო, მიგელ სოლერი, ლორენი, ენგონგა, ი. სტანკოვიჩი, ჩიჩი სოლერი (იბაგასა 74), დიეგო ტრისტანი, კარლოსი (ეტოო 59)
გაფრთხილება: ფლავიო კონსეისაო, ნაიბეტი, ლორენი
გაძევება: ლორენი (30)
მსაჯი: ანტონიო ლოპეს ნიეტო

### სარაგოსა 2:1 სელტა

0:1 ბენი მაკკარტი (37), 1:1 აკუნია (57), 2:1 მილოშევიჩი (72)
სარაგოსა: ხუანმი, ლანა, პაბლო (ჟამელი 63), კუარტერო, აგუადო, აკუნია, გარიტანო, არაგონი (ელგერა 83), ველისკა, მილოშევიჩი, ხუანელე (მარკოს ვალესი 46)
სელტა: პინტო, ხუანფრანი, სერხიო, ჯოროვიჩი, კასერესი, სელადესი, ჯოვანელა (ჰუგენდორპი 86), მოსტოვოი (კარპინი 56), რევივო (ტომასი 74), ბენი მაკკარტი, გუსტავო ლოპესი
გაფრთხილება: სერხიო, მოსტოვოი, ხუანელე, ლანა, აკუნია, ხუანფრანი
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა

### ბეტისი 1:1 სევილია

1:0 დენილსონი (33), 1:1 ცარტასი (76პ)
ბეტისი: ტონი პრატსი, მერინო, კარპანი (ფილიპესკუ 84), ვიდაკოვიჩი, ლუის ფერნანდესი, ბორნესი, კროსა, ოლი, ფინიდი (გალვესი 63), დენილსონი, ალფონსო
სევილია: ოლსენი, ექტორი, ჰიბიჩი, ნანდო (ხესული 27), მარჩენა, პრიეტო, კევედო, ანხელი, ცარტასი, ზალაიეტა (მოია 90), ხუან კარლოსი (ოლივერა 22)
გაფრთხილება: ლუის ფერნანდესი, ოლივერა, ტონი პრატსი, ბორნესი, ოლი, კარპანი, ექტორი, კროსა
გაძევება: ლუის ფერნანდესი (75), ტონი პრატსი (75)
მსაჯი: გარსია არანდა

### რასინგი 0:0 სოსიედადი

რასინგი: სებალიოსი, სიეტესი, ნერუ, არსენო, მელბერგი, კოლსა, ესპინია, ამავისკა, სალვა, მუნიტისი, მანხარინი (რუშფელტი 86)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, გურუჩაგა, ლორენი, არანსაბალი, ფუენტესი, დე პედრო (ადეპოჟუ 62), ხოხლოვი (პაკო ლორენტე 89), არამბურუ, იანკაუსკასი, დე პაულა (სა პინტუ 55)
გაფრთხილება: ნერუ, ფუენტესი, სალვა, სა პინტუ, კოლსა, არამბურუ, მუნიტისი, ლოპეს რეკარტე
გაძევება: ფუენტესი (60), ნერუ (77) .
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

### ესპანიოლი 5:1 რაიო ვალეკანო

0:1 კანაბალი (9), 1:1 ტამუდო (19), 2:1 მარტინ პოსე (40), 3:1 არტეაგა (47), 4:1 მარტინ პოსე (49), 5:1 ველამასანი (89)
ესპანიოლი: კავალიერო, პოჩეტინიო, ნანდო, კრისტობალი, არტეაგა, გალკა, სერხიო (მოლნარი 81), მაურო ნავასი, ტამუდო (სერანო 86), მარტინ პოსე (დე ლუკასი 74), ველამასანი
რაიო ვალეკანო: კელერი, პაბლო სანსი (მიჩელ II 63), კოტა, ერნანდესი, ლორენსი, ჰელდერი, ფერონი (დრეიპერი 57), პოშნერი (ამაია 41), მიჩელ I, ლუის სემბრანოსი, კანაბალი
მსაჯი: პერეს ბურული

### ალავესი 2:0 ატლეტიკო

1:0 მაგნო (82), 2:0 ბეიბლი (86 ს.კ.)
ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, ტელიესი, კონტრა, კარმონა, პაბლო (ასკოიტია 73), იბონ ბეგონია (ხავი მორენო 46), დესიო, მაგნო, კოდრო (ხულიო სალინასი 61), ასტუდილიო
ატლეტიკო: მოლინა, კაპდევილა, გამარა, გასპარი, სანტი, აგილერა (ნიეგუსი 67), ბეიბლი, რობერტო, ვალერონი (კორეა 80), სოლარი (პაუნოვიჩი 73), კიკო ნარვაესი
გაფრთხილება: ხავი მორენო, კაპდევილა, კონტრა, დესიო
მსაჯი: მედინა კანტალეხო

### ვალიადოლიდი 2:1 ოვიედო

1:0, 2:0 შოჯი ჯო (34,70), 2:1 ბანგო (84)
ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, ტორეს გომესი, სანტამარია, პაინცე, აროლდ ლოსანო, ხავი ჰიმენესი, შოჯი ჯო (პეტერნაკი 82), კამინერო (ეუსებიო 67), როდრიგო, ვიქტორ ფერნანდესი (ტურიელი 90)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, დანჟუ, ბანგო, ონოპკო, კეიტა, პომპეი (ივან ანია 53), რუბენი (პინტო 53), გონსალესი (ივან იგლესიასი 42), ლოსადა, დელი ვალდესი
გაფრთხილება: სანტამარია, კეიტა
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

### ბილბაო 2:2 მალაგა

0:1 დარიო სილვა (23), 1:1 ურსაისი (37), 1:2 მოვილია (39 პ), 2:2 ტიკო (52
ბილბაო: ი. ეჩებერია, პაჩი ფერეირა, კარლოს გარსია, ლარასაბალი, ედუ ალონსო (ლაფუენტე 63), ი. გერერო, ტიკო, ურუტია, ლაკრუსი, ურსაისი (ესკერო 75), ხ. ეჩებერია (იესტე 36)
მალაგა: კონტრერასი, ისნატა (აგოსტინო 63), ბრავო, ლარაინსარი, ფერნანდო სანსი, ვალკარსე, როხასი, მოვილია (სანდრო 63), დე ლოს სანტოსი, დარიო სილვა, ედგარი
გაფრთხილება: ურუტია, ლარაინსარი, მოვილია, ტიკო, ლაკრუსი, დე ლოს სანტოსი, დარიო სილვა
გაძევება: ი. ეჩებერია (63), დარიო სილვა (90)
მსაჯი: მეია დავილა

### ნუმანსია 1:2 ვალენსია

0:1 მენდიეტა (4), 0:2 კლაუდიო ლოპესი (59), 1:2 სორია (77)
ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, სორია, მუნისი, ბელსუე, პაჩეტა, ნაგორე, კასტანიო, ბარბუ (რივერა 86), ოხედა, ინიაკი (რუბენ ნავარო 64)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ანგლომა, კარბონი, ფარინოსი, ხერარდი, მიია (ბიორკლუნდი 90), მენდიეტა, ხუან სანჩესი (ანგულო 73), კლაუდიო ლოპესი
გაფრთხილება: მუნისი, კლაუდიო ლოპესი, რუბენ ნავარო, ანგულო, ფარინოსი, ინიაკი, სორია, პაჩეტა
მსაჯი: დაუდენ იბანიესი



REUTERS მადრიდიდან

რეალი — ბარსელონა 3:0. მადრიდელმა ფერნანდო იერომ ბარსელონელ პატრიკ კლუივერტს ბურთი აართვა

# რეალი!

„სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდი ბრძოლა რომ შედგებოდა, უეჭველი იყო. გადაჭედილი ტრიბუნებიც ამის დასტურია. სტადიონზე, რომელიც ოფიციალურად 74309 კაცს იტევს, 80 ათასი ქომაგი მივიდა. ისინი არც შემცდარან.

თამაში პირველივე წამებიდან ძალიან სწრაფ ტემპში და ნერვიულად დაიწყო. ჯერ იყო და მოედნის ცენტრში ერთ-ერთი მადრიდელი ლუის ენრიკეს ისე ეძგერა, ეს უკანასკნელი ლამის ათიოდე მეტრზე გაგორდა. შემდეგ თამაშის წესი სტუმრებმაც დაარღვიეს. ჯარიმა „ბარსელონას" კარიდან დაახლოებით 35 მეტრში დაინიშნა. მანძილი საკმაოდ დიდია, მაგრამ ბურთთან რობერტო კარლოსი მივიდა, ეს კი ყოველთვის სახიფათოა. ფრანსისკო არნაუმ ცოცხალი კედელი კარის ახლო კუთხის გასწვრივ დააყენა და თავადაც იმ მხარეს დადგა. ტანმორჩილმა ბრაზილიელმა უმარტივესი გზა აირჩია — ბურთი შორეულ კუთხეში გაგზავნა. არნაუ თავგანწირვით გადახტა და ბურთს თითებით შესწვდა, თუმცა ყუმბარისებური დარტყმის მოსაგერიებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

პირველ გოლს მეორეც მოჰყვა. რობერტო კარლოსმა მარცხენა ფრთიდან მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა. კარში დარტყმა ჯერ გუტიმ, შემდეგ რაულმა სცადეს. არ გამოუვიდათ — მცველებმა და მეკარემ იყოჩაღეს, მაგრამ ბურთი ნიკოლა ანელკამ მიიღო და პრიმერა დივიზიონში თავისი პირველი გოლი შეაგდო.

მეორე ტაიმის დაწყებიდან შვიდი წუთი იყო გასული, როდესაც ფერნანდო მორიენტესმა მეტოქის ბურთი მიიღო, მას უკან მცველი ედგა. მორიენტესი მარჯვენა ფეხზე შემოტრიალდა და არნაუს ახლო კუთხეში გაუტანა. ესეც 3:0.

მატჩის შემდეგ ლუის ვან გაალი იტყვის: „0:2-ის შემდეგ თამაშის შემობრუნება კიდევ შეგვეძლო, მაგრამ მესამე გოლის გაშვებამ ეს შანსი მოგვისპო".

ცხადია, როცა ასეთი ანგარიშით იგებ, ცდილობ, ტემპი დააგდო და თამაში უფრო დააწყნარო. „რეალი" კი კვლავ უტევდა. მასპინძლები სხვაგვარად ვერც მოიქცეოდნენ — 80 ათასი ქომაგი ხომ „ბარსელონას" უბრალოდ დამარცხებას კი არა, განადგურებას ითხოვდა. მადრიდელებმა მეოთხეც გაიტანეს. რაული კარისკენ გაიჭრა და საჯარიმოს მისადგომიდან წინ გამოსულ არნაუს ბურთი თავზემოთ გადაუგდო. მაგრამ გულშემატკივართა სიხარული ხანმოკლე გამოდგა — მსაჯმა იქამდე თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

„ბარსელონასა" და მის შეტევებზე აქამდე არაფერი გვითქვამს. „რეალის" კარგმა თამაშმა კატალონიელი ვარსკვლავები დაჩრდილა, თუმცა რამდენჯერმე მათაც სახიფათოდ შეუტიეს. ოთხიოდე მომენტი დამამახსოვრდა. კასილიასის კარის მიმართულებით დანიშნული საჯარიმოს შესრულება რივალდომ ითავა და ბურთი ძელს გადაარტყა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, დარტყმა უფრო ზუსტიც რომ ყოფილიყო, „რეალის" მეკარეს ბურთის მოგერიება არ გაუჭირდებოდა. შემდეგ იმავე რივალდომ და ფიგუმ შექმნეს სახიფათო მომენტი. პორტუგალიელი საჯარიმოს მიუახლოვდა და მარცხენა ფლანგზე რივალდოს ჩააწოდა. ბრაზილიელმა მეურვე ლამაზი ფინტით ჩამოიცილა და ბურთი პარტნიორს უკან დაუბრუნა. ფიგუს დარტყმული კი კასილიასმა ნახტომშილა მოიგერია. რონალდ დე ბურიც ახლოს იყო მიზანთან. ფიგუს კუთხურიდან ჩამოწოდებულმა ბურთმა კასილიასის კარის ხაზს ჩაუარა. დე ბურს მხოლოდ ფეხის წარტყმა სჭირდებოდა... „ბარსელონას" შეტევებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი კი ის იყო, ჰოლანდიურ-ბრაზილიურ-ესპანურმა ტრიომ რომ განახორციელა. კლუივერტმა ბურთი მოედნის შუახაზიდან წამოიღო და მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოს მიუახლოვდა. აქ კლუივერტმა მარჯვნივ, ცენტრისკენ ჩააწოდა, სადაც რივალდო ეგულებოდა. რივალდომ თავის მხრივ კიდევ უფრო მარჯვნივ ლუის ენრიკე მოძებნა და ყოფილი რეალელი მეკარესთან პირისპირ დატოვა. თუმცა კასილიასი მეტოქეს ფეხებში ჩაუვარდა და კარისკენ არ დაარტყმევინა.

რაც აქ ჩამოვთვალეთ, ცალკეული მომენტები იყო, მთლიანობაში კი „ბარსელონა", როგორც ზემოთ ვთქვით, დაიჩრდილა. სტუმრებს ვერც გუტის გაძევება დაეხმარათ, რომელმაც წითელი ბარათი მატჩის მიწურულს მიიღო.

ტურის მიმოხილვისთვის განკუთვნილი ადგილი მთლიანად „რეალი" — „ბარსელონას" თამაშს დავუთმეთ, სხვაგვარად არც შეიძლებოდა. იქვე დავუმატოთ, რომ მოიგო „დეპორტივომაც" და ჩემპიონატს კვლავ ექვსქულიანი უპირატესობით ლიდერობს.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 26 | 15 | 4 | 7 | 46:32 | 14 | 49 | 13 | 11 | 0 | 2 | 32:15 | 17 | 33 | 13 | 4 | 4 | 5 | 14:17 | -3 | 16 |
| 2 | სარაგოსა | 26 | 11 | 10 | 5 | 44:28 | 16 | 43 | 14 | 9 | 5 | 0 | 31:13 | 18 | 32 | 12 | 2 | 5 | 5 | 13:15 | -2 | 11 |
| 3 | რეალი | 26 | 11 | 10 | 5 | 44:38 | 6 | 43 | 13 | 7 | 3 | 3 | 25:20 | 5 | 24 | 13 | 4 | 7 | 2 | 19:18 | 1 | 19 |
| 4 | ალავესი | 26 | 12 | 6 | 8 | 31:27 | 4 | 42 | 14 | 8 | 2 | 4 | 18:13 | 5 | 26 | 12 | 4 | 4 | 4 | 13:14 | -1 | 16 |
| 5 | ბარსელონა | 26 | 12 | 5 | 9 | 48:34 | 14 | 41 | 12 | 9 | 1 | 2 | 29:10 | 19 | 28 | 14 | 3 | 4 | 7 | 19:24 | -5 | 13 |
| 6 | ვალენსია | 26 | 10 | 8 | 8 | 35:27 | 8 | 38 | 12 | 6 | 3 | 3 | 21:11 | 10 | 21 | 14 | 4 | 5 | 5 | 14:16 | -2 | 17 |
| 7 | სელტა | 26 | 12 | 2 | 12 | 36:33 | 3 | 38 | 13 | 8 | 1 | 4 | 25:17 | 8 | 25 | 13 | 4 | 1 | 8 | 11:16 | -5 | 13 |
| 8 | ბილბაო | 26 | 9 | 10 | 7 | 37:39 | -2 | 37 | 13 | 6 | 6 | 1 | 22:16 | 6 | 24 | 13 | 3 | 4 | 6 | 15:23 | -8 | 13 |
| 9 | მალიორკა | 26 | 10 | 6 | 10 | 34:34 | 0 | 36 | 13 | 9 | 3 | 1 | 23:12 | 11 | 30 | 13 | 1 | 3 | 9 | 11:22 | -11 | 6 |
| 10 | რაიო | 26 | 10 | 4 | 12 | 35:40 | -5 | 34 | 13 | 6 | 2 | 5 | 20:17 | 3 | 20 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:23 | -8 | 14 |
| 11 | ნუმანსია | 26 | 9 | 7 | 10 | 35:41 | -6 | 34 | 13 | 7 | 5 | 1 | 21:11 | 10 | 26 | 13 | 2 | 2 | 9 | 14:30 | -16 | 8 |
| 12 | რასინგი | 26 | 8 | 9 | 9 | 39:36 | 3 | 33 | 14 | 3 | 9 | 2 | 22:18 | 4 | 18 | 12 | 5 | 0 | 7 | 17:18 | -1 | 15 |
| 13 | მალაგა | 26 | 8 | 9 | 9 | 38:36 | 2 | 33 | 12 | 4 | 5 | 3 | 18:11 | 7 | 17 | 14 | 4 | 4 | 6 | 20:25 | -5 | 16 |
| 14 | ესპანიოლი | 26 | 8 | 8 | 10 | 40:38 | 2 | 32 | 14 | 5 | 6 | 3 | 24:18 | 6 | 21 | 12 | 3 | 2 | 7 | 16:20 | -4 | 11 |
| 15 | ვალიადოლიდი | 26 | 8 | 8 | 10 | 24:31 | -7 | 32 | 13 | 7 | 2 | 4 | 19:14 | 5 | 23 | 13 | 1 | 6 | 6 | 5:17 | -12 | 9 |
| 16 | ბეტისი | 26 | 9 | 5 | 12 | 25:40 | -15 | 32 | 14 | 8 | 3 | 3 | 16:12 | 4 | 27 | 12 | 1 | 2 | 9 | 9:28 | -19 | 5 |
| 17 | ატლეტიკო | 26 | 8 | 6 | 12 | 38:42 | -4 | 30 | 13 | 5 | 4 | 4 | 21:16 | 5 | 19 | 13 | 3 | 2 | 8 | 17:26 | -9 | 11 |
| 18 | სოსიედადი | 26 | 6 | 11 | 9 | 28:34 | -6 | 29 | 13 | 6 | 4 | 3 | 19:15 | 4 | 22 | 13 | 0 | 7 | 6 | 9:19 | -10 | 7 |
| 19 | ოვიედო | 26 | 7 | 7 | 12 | 26:41 | -15 | 28 | 12 | 7 | 3 | 2 | 14:7 | 7 | 24 | 14 | 0 | 4 | 10 | 12:34 | -22 | 4 |
| 20 | სევილია | 26 | 4 | 11 | 11 | 29:41 | -12 | 23 | 12 | 4 | 6 | 2 | 15:11 | 4 | 18 | 14 | 0 | 5 | 9 | 14:30 | -16 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 21 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 21 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 19 |
| კატანია (მალაგა) | 16 |

### XXVII ტური

4 მარტი
ვალენსია — ბილბაო
5 მარტი
მალიორკა — სარაგოსა
სელტა — რასინგი
სოსიედადი — ესპანიოლი
რაიო — ალავესი
ატლეტიკო — ბეტისი
სევილია — ვალიადოლიდი
ოვიედო — რეალი
ბარსელონა — ნუმანსია
მალაგა — დეპორტივო

## მეორე დივიზიონი

### XXVIII ტური

### სპორტინგი 0:0 ბადახოსი

### ლეგანესი 0:0 ლას პალმასი

### მერიდა 0:0 ლეიდა

### ლევანტე 0:0 ეიბარი

### ატლეტიკო B 0:1 ლოგრონიესი

0:1 ლუკე (88)

### უელვა 3:3 ალბასეტე

0:1 ბასტი (10), 1:1 სოტო (22), 2:1 ტინოკო (34), 2:2 ვულევიჩი (44), 2:3 მელგარი (59პ), 3:3 მენდესი (75პ)

### კომპოსტელა 2:0 ესტრემადურა

1:0 გაბრეხო (10), 2:0 გუდელი (87)

### ოსასუნა 0:2 კორდობა

0:1 პუჩე (2), 0:2 რაფა ნავარო (84)

### ტოლედო 3:0 სალამანკა

1:0 დავიდი (59), 2:0 ესტებან ტორე (77), 3:0 მიგელ ანხელი (90)

### ტენერიფე 4:0 ხეტაფე

1:0 უგო მორალესი (6), 2:0 მისტა (36), 3:0 პიერი (42), 4:0 მისტა (68)

### ვილიარეალი 1:0 ელჩე

1:0 კრაიოვეანუ (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 28 | 14 | 7 | 7 | 42:30 | 49 |
| ლას პალმასი | 28 | 12 | 9 | 7 | 39:28 | 45 |
| ლევანტე | 28 | 12 | 9 | 7 | 41:36 | 45 |
| სპორტინგი | 28 | 13 | 5 | 10 | 38:33 | 44 |
| ესტრემადურა | 28 | 12 | 8 | 8 | 30:28 | 44 |
| ვილიარეალი | 28 | 12 | 7 | 9 | 40:30 | 43 |
| ლეიდა | 28 | 11 | 7 | 10 | 45:38 | 40 |
| ბადახოსი | 28 | 8 | 16 | 4 | 26:21 | 40 |
| ტენერიფე | 28 | 11 | 7 | 10 | 39:35 | 40 |
| ოსასუნა | 28 | 12 | 4 | 12 | 27:27 | 40 |
| კორდობა | 28 | 10 | 9 | 9 | 34:30 | 39 |
| ეიბარი | 28 | 10 | 9 | 9 | 36:38 | 39 |
| ლეგანესი | 28 | 9 | 9 | 10 | 32:36 | 36 |
| მერიდა | 28 | 9 | 9 | 10 | 27:30 | 36 |
| კომპოსტელა | 28 | 8 | 11 | 9 | 35:36 | 35 |
| ალბასეტე | 28 | 8 | 10 | 10 | 32:39 | 34 |
| ატლეტიკო B | 28 | 9 | 7 | 12 | 32:37 | 34 |
| ელჩე | 28 | 7 | 12 | 9 | 31:37 | 33 |
| ლოგრონიესი | 28 | 8 | 8 | 12 | 39:41 | 32 |
| ხეტაფე | 28 | 8 | 6 | 14 | 24:34 | 30 |
| უელვა | 28 | 8 | 6 | 14 | 29:38 | 30 |
| ტოლედო | 28 | 6 | 7 | 15 | 21:37 | 25 |



REUTERS

სტრასბური — მონაკო 3:2. სტრასბურელი ჟოზე სირილი და მონაკოელი დავიდ ტრეზეგე (მარჯვნივ) ბურთისთვის იბრძვიან

## საფრანგეთი

XXVII ტური

**სტრასბური 3:2 მონაკო**

1:0 ეშუაფნი (16), 1:1, 1:2 ტრეზეგე (22, 30), 2:2 ბერტინი (39), 3:2 ჰემდანი (62)

**ლიონი 2:0 მარსელი**

1:0 ვერელი (28), 2:0 ანდერსონი (53)

**ბასტია 2:0 ოსერი**

1:0, 2:0 ანდრე (49, 90)

**ბორდო 3:0 ნანტი**

1:0 საველიჩი (73), 2:0 ლეგვინსკი (85), 3:0 მიკუ (88)

**მონპელიე 1:1 ლანსი**

0:1 სახო (65), 1:1 რუი პატაკა (68)

**რენი 2:1 ლე ავრი**

0:1 ბეჩანოვიჩი (31), 1:1 ნდიაე (45), 2:1 ლე ბრისი (86)

**პსჟ 1:1 ნანსი**

0:1 კასკარინო (85პ), 1:1 რაბესანდრატანა (90)

**ტრუა 0:1 სენტ ეტიენი**

0:1 პოტილიონი (4)

**მეცი 1:1 სედანი**

1:0 მეირო (35პ), 1:1 კუინტი (82პ)

„ლიონმა" შაბათს მარსელის „ოლიმპიკს" უმასპინძლა, ტონი ვერელისა და სონი ანდერსონის გოლების წყალობით 2:0 მოუგო და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ლიდერი „მონაკო" კი სტუმრად „სტრასბურთან" დამარცხდა 2:3 და „ლიონმა" მასთან ქულათა სხვაობა ათამდე შეამცირა. თუმცა კვლავ ძნელი წარმოსადგენია, დარჩენილ 7 ტურში „მონაკომ" პირველობა სხვა გუნდს დაუთმოს.

ტონი ვერელმა „ლიონი" 28-ე წუთზე დააწინაურა, თამაშგარე მდგომარეობის ზღვარზე ზუსტი პასი მიიღო და მარსელელთა მეკარე სტეფან ტრევისანს ბურთი თავზე გადაუგდო. 7 წუთის შემდეგ ოლიმპიკელი რობერ პირესის წაქცევისთვის ლიონელი ნახევარმცველი ფილიპ ვიოლუ მოედნიდან გააძევეს, მაგრამ სტუმრებმა რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენეს, უფრო მეტიც, 53-ე წუთზე კიდევ ერთი ბურთი გაუშვეს და საბოლოოდ დამარცხდნენ. მეორე გოლი სონი ანდერსონმა გაიტანა, მან მეტოქე მცველების — პიერ ისასა და ჟაკ აბარდონადოს შეუთანხმებლობით ისარგებლა და მიმდინარე სეზონში მეთვრამეტედ გამოიჩინა თავი.

72-ე წუთზე „ოლიმპიკიც" ათი კაცით დარჩა. იანიკ ფიშერი ლიონელ ვიკაშ დორასოს ეუხეშა და წითელი ბარათი დაიმსახურა. თუმც ამას საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია და „ლიონმაც" მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვა. „მეტოქეს რამდენჯერმე საჩუქარი გავუკეთეთ. როდესაც ასეთ შეცდომებს უშვებ, გრძნობ, რომ თამაშს ველარ მოიგებ" — განაცხადა მატჩის შემდეგ მარსელელმა რობერ პირესმა, რომლის გუნდსაც სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსისთან" მატჩი ელის.

„მონაკოს" კიდევ ერთი მდევარი — პსჟ საკუთარ კედლებში, „პარკ დე პრენსზე", ერთ-ერთ აუტსაიდერ „ნანსისთან" წაგებას ძლივს გადაურჩა. საფინალო სასტვენამდე 10 წამით ადრე პარიზელმა მცველმა ერიკ რაბესანდრატანამ ბრაზილიელი კრისტიანის საგოლე გარღვევა თავური დარტყმით დააგვირგვინა, ანგარიში გაათანაბრა და თავის გუნდს ქულა მოუპოვა. „ნანსი" ხუთი წუთით ადრე ირლანდიელმა ვეტერანმა ტონი კასკარინომ დააწინაურა, როდესაც მიმდინარე სეზონში თავისი მეხუთე პენალტი გამოიყენა. მაგრამ მისმა გუნდმა ანგარიში ვერ შეინარჩუნა და ფრეს დასჯერდა. ერთი თერთმეტმეტრიანი შეხვედრის პირველ ტაიმში, 36-ე წუთზე „ნანსის" კარშიც დაინიშნა, თუმცა კრისტიანის დარტყმული მეკარე ბერტრან ლაკემ მოიგერია.

მიღწეული ფრით პსჟ-მ 43 ქულა დააგროვა, მესამე პოზიციაზე დამკვიდრდა და ლიდერ „მონაკოსთან" 12 ქულა აშორებს.

პსჟ-ს ქულით ჩამორჩებიან „სედანი" და „ოსერი". ორივემ მორიგ ტურში სტუმრად ითამაშა. „ოსერი" „ბასტიასთან" დამარცხდა 0:2, ხოლო „სედანი" „მეცს" დაუზავდა — 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 27 | 17 | 4 | 6 | 54:25 | 55 |
| ლიონი | 27 | 13 | 6 | 8 | 35:34 | 45 |
| პსჟ | 27 | 12 | 7 | 8 | 39:33 | 43 |
| სედანი | 27 | 12 | 6 | 9 | 37:35 | 42 |
| ოსერი | 27 | 12 | 6 | 9 | 30:28 | 42 |
| ბორდო | 27 | 10 | 8 | 9 | 40:35 | 38 |
| ბასტია | 27 | 9 | 10 | 8 | 34:30 | 37 |
| ლანსი | 27 | 10 | 7 | 10 | 31:29 | 37 |
| რენი | 27 | 10 | 7 | 10 | 36:35 | 37 |
| მეცი | 27 | 7 | 15 | 5 | 32:26 | 36 |
| სენტ ეტიენი | 27 | 10 | 6 | 11 | 38:42 | 36 |
| სტრასბური | 27 | 10 | 6 | 11 | 33:41 | 36 |
| მარსელი | 27 | 8 | 11 | 8 | 34:32 | 35 |
| ნანტი | 27 | 9 | 5 | 13 | 32:34 | 32 |
| ნანსი | 27 | 8 | 7 | 12 | 31:35 | 31 |
| ლე ავრი | 27 | 8 | 7 | 12 | 26:39 | 31 |
| ტრუა | 27 | 9 | 2 | 16 | 26:45 | 29 |
| მონპელიე | 27 | 5 | 8 | 14 | 30:40 | 23 |

### მეორე დივიზიონი

XXVIII ტური. კაენი — სოშო 1:2; ნიორი — ამიენი 1:2; ლე მანი — ლილი 1:1; ტულუზი — ლავალი 0:2; კანი — გენიონი 1:1; კრეტეი — აიაჩო 1:1; ლუანი — ნიმი 1:0; ვალანსი — ლორიანი 0:1; შატორუ — ნიცა 3:0; ვასკეალი — გენგამი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 28 | 20 | 4 | 4 | 40:16 | 64 |
| გენგამი | 28 | 14 | 8 | 6 | 50:34 | 50 |
| ტულუზი | 28 | 14 | 6 | 8 | 41:21 | 48 |
| ლე მანი | 28 | 10 | 12 | 6 | 35:30 | 42 |
| ლავალი | 28 | 10 | 11 | 7 | 30:27 | 41 |
| აიაჩო | 28 | 12 | 5 | 11 | 28:29 | 41 |
| კაენი | 27 | 9 | 13 | 5 | 32:21 | 40 |
| სოშო | 28 | 11 | 6 | 11 | 34:34 | 39 |
| ლორიანი | 28 | 10 | 7 | 11 | 25:28 | 37 |
| გენიონი | 27 | 7 | 14 | 6 | 31:26 | 35 |
| შატორუ | 28 | 8 | 11 | 9 | 29:31 | 35 |
| კანი | 28 | 8 | 11 | 9 | 22:25 | 35 |
| ნიმი | 28 | 8 | 10 | 10 | 31:32 | 34 |
| კრეტეი | 28 | 8 | 9 | 11 | 26:33 | 33 |
| ამიენი | 28 | 6 | 13 | 9 | 26:30 | 31 |
| ნიცა | 28 | 5 | 16 | 7 | 18:26 | 31 |
| ნიორი | 28 | 6 | 12 | 10 | 25:33 | 30 |
| ვასკეალი | 28 | 5 | 12 | 11 | 22:32 | 27 |
| ლუანი | 28 | 5 | 8 | 15 | 22:44 | 23 |
| ვალანსი | 28 | 3 | 12 | 13 | 24:39 | 21 |

## შოტლანდია

XXIV ტური

**აბერდინი 4:0 ჰიბერნიანი**

1:0 სტავრუმი (18), 2:0 ჟუნვეტი (30), 3:0 ანდერსონი (44), 4:0 სტავრუმი (46)

**ჰართსი 0:0 კილმარნოკი**

**სენტ ჯონსტონი 2:0 დანდი იუნ.**

1:0 გრიფინი (51), 2:0 ლოუნდსი (90)

**დანდი 1:7 რეინჯერსი**

0:1 უოლესი (2), 0:2 ვიდმარი (23), 1:2 ტვიდი (27), 1:3, 1:4 უოლესი (30, 33), 1:5 ალბერტცი (39), 1:6 როზენტალი (45), 1:7 ვიდმარი (86)

ლიდერ „რეინჯერსს" მორიგ ტურში ბდღვნად არ ეყო ბოლოდან მესამე ადგილზე მყოფი „დანდი". გლაზგოელებმა მეტოქე სტუმრად 7:1 გაანადგურეს და პირველობა კიდევ უფრო გაიმყარეს. თანაქალაქელი „სელტიკი" მათ უკვე 11 ქულით ჩამორჩება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ გუნდმა შეხვედრით ნაკლები ჩაატარა.

„რეინჯერსის" მიერ „დანდის" კარში გატანილი 7 გოლიდან 3 როდ უოლესის ანგარიშზეა. მან მიმდინარე სეზონში უკვე 13-ჯერ გამოიჩინა თავი.

თითქმის ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა გლაზგოელთა ჩილელი თავდამსხმელი სებასტიან როზენტალი, რომელსაც მუხლის ტრავმის მოსაშუშებლად რამდენიმე ოპერაციაც კი დასჭირდა. შეგახსენებთ, რომ იგი „რეინჯერსში 1997 წელს „უნივერსიდად კათოლიკადან" 6,4 მილიონ დოლარად გადაბარგდა.

„დანდის" კარში როზენტალმა გოლი გაიტანა და თავისი დაბრუნება ამგვარად აღნიშნა — პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ეფექტური გარღვევა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა და პირველი ნახევარი ანგარიშით 1:6 დაასრულა.

როზენტალის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა „რეინჯერსის" თავკაცმა დიკ ადვოკაატმა: „ჩვეული ფორმიდან იგი ჯერ კიდევ შორსაა. მართალია, მატჩი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა და გოლიც გაიტანა, რამაც ძალიან გამახარა, მაგრამ კიდევ უნდა მომჯობინდეს. ისე, კმაყოფილი ვარ, სებასტიანმა მეტოქე მცველებს თავსა-ტეხი გაუჩინა და გოლიც კი გაიტანა.

„დანდი" „რეინჯერსის" [illegible] ნამდვილად ემსხვერპლა, არასაფეხბურთო ანგარიშით გაანადგურა და სატურნირო მდგომარეობა გაირთულა. „რეინჯერსმა" კი პირიქით, ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 22 | 17 | 4 | 1 | 64:18 | 55 |
| სელტიკი | 21 | 14 | 2 | 5 | 59:20 | 44 |
| მოზერუელი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:39 | 32 |
| დანდი იუნ. | 22 | 9 | 4 | 9 | 25:35 | 31 |
| სტ. ჯონსტონი | 23 | 7 | 7 | 9 | 24:27 | 28 |
| ჰართსი | 21 | 7 | 6 | 8 | 31:30 | 27 |
| ჰიბერნიანი | 24 | 6 | 9 | 9 | 34:42 | 27 |
| დანდი | 23 | 7 | 2 | 14 | 26:43 | 23 |
| აბერდინი | 23 | 6 | 4 | 13 | 30:63 | 22 |
| კილმარნოკი | 23 | 3 | 10 | 10 | 23:31 | 19 |

### თასის მერვედფინალის გადათამაშება

**მოზერუელი 3:4 ეირი**

0:1 ტილი (8), 1:1 მაკკალოპი (22), 2:2 გუდმენი (25), 2:2 ტილი (31პ), 3:2 ბრანანი (35პ), 3:3, 3:4 ტარანტი (39, 59)

## ჩეხეთი

XVIII ტური. იაბლონეცი — სპარტა 0:2; ბლშანი — ლიბერეცი 1:0; ვიქტორია — ბრნო 1:0; დუკლა — ტეპლიცე 3:0; ოპავა — ბუდეიოვიცე 3:2; სიგმა — ბანიკი 4:1; სლავია — ჰ. კრალოვე 3:0; დრნოვიცე — ბოჰემიანსი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 18 | 14 | 4 | 0 | 33:8 | 46 |
| სპარტა | 18 | 13 | 3 | 2 | 46:15 | 42 |
| დრნოვიცე | 18 | 10 | 3 | 5 | 26:16 | 33 |
| ბოჰემიანსი | 18 | 6 | 6 | 6 | 16:17 | 24 |
| ბუდეიოვიცე | 18 | 7 | 3 | 8 | 23:25 | 24 |
| ტეპლიცე | 18 | 6 | 6 | 6 | 23:26 | 24 |
| დუკლა | 18 | 6 | 6 | 6 | 19:22 | 24 |
| ბლშანი | 18 | 7 | 3 | 8 | 18:29 | 24 |
| ლიბერეცი | 18 | 5 | 7 | 6 | 12:14 | 22 |
| ბანიკი | 18 | 5 | 6 | 7 | 22:26 | 21 |
| სიგმა | 18 | 4 | 9 | 5 | 23:26 | 21 |
| ოპავა | 18 | 5 | 5 | 8 | 24:25 | 20 |
| ბრნო | 18 | 5 | 4 | 9 | 20:24 | 19 |
| ვიქტორია | 18 | 4 | 5 | 9 | 25:35 | 17 |
| იაბლონეცი | 18 | 4 | 4 | 10 | 15:29 | 16 |
| ჰ. კრალოვე | 18 | 3 | 6 | 9 | 17:27 | 15 |

## საბერძნეთი

XXI ტური. პანაჰაიკი — ქსანტი 1:1; ეთნიკოსი — პაოკ 1:1; პრუდეფტიკი — ოფი 0:0; პანილიაკოსი — ტრიკალა 1:3; აპოლონი — იონიკოსი 0:2; ოლიმპიაკოსი — კავალა 5:0; პანიონიოსი — არისი 1:3; ირაკლისი — აეკ 3:1; კალამატა — პანათინაიკოსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 21 | 19 | 0 | 2 | 60:14 | 57 |
| პანათინაიკოსი | 21 | 17 | 3 | 1 | 52:14 | 54 |
| ოფი | 21 | 13 | 6 | 2 | 37:23 | 45 |
| ირაკლისი | 21 | 11 | 3 | 7 | 39:31 | 36 |
| არისი | 21 | 10 | 5 | 6 | 31:23 | 35 |
| აეკ | 21 | 10 | 4 | 7 | 37:27 | 34 |
| პაოკ | 21 | 7 | 8 | 6 | 32:28 | 29 |
| ქსანტი | 21 | 7 | 8 | 6 | 22:23 | 29 |
| პანილიაკოსი | 21 | 8 | 4 | 9 | 28:25 | 28 |
| პანიონიოსი | 21 | 9 | 1 | 11 | 31:42 | 28 |
| იონიკოსი | 21 | 5 | 10 | 6 | 22:25 | 25 |
| ეთნიკოსი | 21 | 7 | 3 | 11 | 19:29 | 24 |
| პანაჰაიკი | 21 | 4 | 7 | 10 | 20:30 | 19 |
| კავალა | 21 | 5 | 4 | 12 | 21:39 | 19 |
| ტრიკალა | 21 | 4 | 4 | 13 | 19:40 | 16 |
| კალამატა | 21 | 3 | 7 | 11 | 19:40 | 16 |
| პრუდეფტიკი | 21 | 3 | 6 | 12 | 13:31 | 15 |
| აპოლონი | 21 | 3 | 5 | 13 | 14:32 | 14 |

## თურქეთი

XXI ტური. გალათასარაი — სამსუნი 3:1; ქოჯაელი — ბეშიქთაში 1:2; ტრაბზონი — გიოზთეფე 2:0; ანკარაგიუჯიუ — ბურსა 2:1; ადანა — ანთალია 1:2; ალთაი — გენჩლერბირლიგი 0:2; ვანი — დენიზლი 2:3; ისთანბული — ერზურუმი 1:1; გაზიანთეფი — ფენერბაჰჩე 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 22 | 18 | 3 | 1 | 48:15 | 57 |
| ბეშიქთაში | 22 | 14 | 4 | 4 | 43:14 | 46 |
| ფენერბაჰჩე | 22 | 10 | 9 | 3 | 37:27 | 39 |
| გაზიანთეფი | 22 | 10 | 8 | 4 | 31:16 | 38 |
| ტრაბზონი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:22 | 34 |
| გენჩლერბირ. | 22 | 9 | 6 | 7 | 30:30 | 33 |
| დენიზლი | 22 | 9 | 6 | 7 | 37:39 | 33 |
| სამსუნი | 22 | 9 | 3 | 10 | 30:30 | 30 |
| ანთალია | 22 | 8 | 6 | 8 | 26:34 | 30 |
| ალთაი | 22 | 8 | 5 | 9 | 27:26 | 29 |
| ანკარაგიუჯიუ | 22 | 7 | 6 | 9 | 30:36 | 27 |
| ადანა | 22 | 7 | 5 | 10 | 29:35 | 26 |
| ისთანბული | 22 | 5 | 9 | 8 | 23:27 | 24 |
| ერზურუმი | 22 | 6 | 6 | 10 | 24:36 | 24 |
| ბურსა | 22 | 6 | 5 | 11 | 28:33 | 23 |
| ქოჯაელი | 22 | 5 | 5 | 12 | 26:40 | 20 |
| გიოზთეფე | 22 | 4 | 5 | 13 | 15:32 | 17 |
| ვანი | 22 | 3 | 4 | 15 | 24:45 | 13 |

## ჰოლანდია

XXIII ტური

**ვალვაიკი 1:1 ვიტესი**

1:0 პეტროვი (31), 1:1 ვან ჰოიდონკი (43პ)

**უტრეხტი 3:3 ალკმარი**

1:0 გრუნენდიკი (32), 1:1 ბოსმანი (33), 2:1 გრუნენდიკი (42), 2:2 რიკსენი (45), 3:2 ვან დენ ბერგი (59ს.კ.), 3:3 ფერტუტი (62)

**სპარტა 1:0 ნაიმეგენი**

1:0 ნილსენი (28)

**ტვენტე 2:0 ჰერენვენი**

1:0 დე ვიტი (39), 2:0 ტერ ავსტი (79)

**სიტარდი 2:0 ტილბურგი**

1:0 გერიტსენი (26), 2:0 ვან დერ შააფი (75)

**ფეიენოორდი 3:0 მაასტრიხტი**

1:0 დალ ტომასონი (12), 2:0 ხულიო კრუზი (60პ), 3:0 კორნეევი (75)

**როდა 1:2 პსვ**

0:1 ვან ნისტელროი (4), 1:1 ვალგაერენი (56), 1:2 ბრუგინკი (70)

**დენ ბოსხი — აიაქსი**

გადაიდო

„ფეიენოორდმა" „მაასტრიხტს" 3:0 მოუგო. მე-12 წუთზე იონ დალ ტომასონმა მეტოქე მცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მეორე გოლში თავისი „წვლილი" შეიტანა მაასტრიხტელმა კოჩიშმა. მან საკუთარ საჯარიმოში თამაშის წესი დაარღვია და ხულიო კრუზმა პენალტი ზუსტად დაარტყა. მესამე შემთხვევაშიც მცველები შეცდნენ და ამჯერად რუსმა იგორ კორნეევმა დალაშქრა მეტოქის კარი.

ამ გამარჯვებამ „ფეიენოორდი" მესამე ადგილზე გადაიყვანა და ჩემპიონობის შანსი შეუნარჩუნა. როტერდამელები ლიდერს ათი ქულით ჩამორჩებიან, თუმცა ერთი თამაში მარაგში აქვთ. აღსანიშნავია, რომ „ფეიენოორდს" დღეს მეტად მძიმე გამოცდა ელის. არდადეგების შემდეგ ჩემპიონთა ლიგა განახლდა და ჰოლანდიელები რომში „ლაციოს" ხვდებიან.

მოიგო პსვ-მაც. ეინდჰოვენელთა მორიგი მსხვერპლი „როდა" გახდა. როგორ იქნებოდა, რუუდ ვან ნისტელროის არ შეეგდო. მან ამ შეხვედრაში სეზონში 29-ე გოლი გაიტანა. ეს მატჩის მე-4 წუთზე მოხდა. ვილფორდ ბომასგან ჩაწოდებული ბურთი ბომბარდირმა კარის სიახლოვეს მიიღო, ვან ნისტელროოი კი ასეთ შანსს ხელიდან არ უშვებს. შემდგომში მოვლენები დრამატულად წარიმართა. როდელთა ერთ-ერთი შეტევის დროს იური ნიკიფოროვს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა. მასპინძლები მსაჯს მისცვივდნენ — პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ, მაგრამ არბიტრმა წესების დარღვევა ვერ შენიშნა. ამ შემთხვევამ „როდა" უფრო მობილიზებული გახადა და საპასუხო გოლმაც არ დააყოვნა. იური ნიკიფოროვმა საკუთარი კარის სიახლოვეს ბურთი დიდხანს დააყოვნა. მას უკნიდან რამონ ვან ჰასენი მიეპარა და ბურთი აართვა. შემდეგ ვან ჰასენმა დე გუს ვალგერენს ჩააწოდა და ამ უკანასკნელმაც დაუფასა გარჯა. ამ გოლმა უკვე პსვ გამოაფხიზლა და მისმა ფეხბურთელებმა როდელები საჯარიმოს მიაჯაჭვეს. 70-ე წუთზე იონას კოლკას პასი არნოლდ ბრუგინკმა გამოიყენა ჩინებულად. ეს უკვე გამარჯვება იყო.

მეტად დაძაბულ ბრძოლაში „ტვენტემ" „ჰერენვენს" 2:0 სძლია. აღსანიშნავია, რომ რონალდ კუმანის შეგირდებს აგერ უკვე 13 თვეა, შინ თამაში არ წაუგიათ. ამ მოგებამ კი „ტვენტე" მეოთხე ადგილზე გაიყვანა და გუნდს გაისად უეფას თასზე მოხვედრის დიდი იმედი აქვს.

მესამეზეა „აიაქსი". ამსტერდამელები აუტსაიდერ „დენ ბოსხს" უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ თამაში გადაიდო. მიზეზი ხულიგანთა შემოტევა გახდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 24 | 18 | 2 | 4 | 73:20 | 56 |
| აიაქსი | 22 | 14 | 4 | 4 | 56:32 | 46 |
| ფეიენოორდი | 23 | 13 | 7 | 3 | 46:26 | 46 |
| ტვენტე | 22 | 12 | 8 | 2 | 38:19 | 44 |
| ჰერენვენი | 23 | 13 | 3 | 7 | 41:27 | 42 |
| ალკმარი | 24 | 13 | 3 | 8 | 50:39 | 42 |
| ვიტესი | 24 | 11 | 8 | 5 | 46:36 | 41 |
| ტილბურგი | 23 | 11 | 4 | 8 | 37:41 | 37 |
| როდა | 22 | 10 | 4 | 8 | 36:31 | 34 |
| ვალვაიკი | 23 | 10 | 3 | 10 | 33:43 | 33 |
| უტრეხტი | 23 | 9 | 3 | 11 | 39:44 | 30 |
| სპარტა | 23 | 8 | 3 | 12 | 32:46 | 27 |
| გრააფსხაპი | 23 | 4 | 8 | 11 | 27:38 | 20 |
| ნაიმეგენი | 23 | 5 | 4 | 14 | 28:45 | 19 |
| სიტარდი | 22 | 4 | 6 | 12 | 27:36 | 18 |
| მაასტრიხტი | 23 | 4 | 5 | 14 | 29:50 | 17 |
| დენ ბოსხი | 23 | 2 | 6 | 15 | 22:58 | 12 |
| კამბური | 22 | 2 | 5 | 15 | 17:46 | 11 |



ფეიენოორდი — მაასტრიხტი 3:0. როტერდამელი საშარჯიძი (მარჯვნივ) და მაასტრიხტელი კოჩიში ერთმანეთს ეჯახებიან

# ლესტერი ევროპაში



REUTERS ლონდონიდან

ლესტერელ მეტ ელიოტს მეტოქის კარში მეორე გოლი გააქვს

## ინგლისი

### ლიგის თასის ფინალი

**ლესტერი 2:1 ტრანმერი**

1:0 ელიოტი (29), 1:1 კელი (78), 2:1 ელიოტი (81)

ლესტერი: ფლაუერსი, ფ. სინკლერი, ტაგარტი, ელიოტი, გაპი, ოუკსი (იმპი 77), ლენონი, იზეტი, სევიჯი, კოტი (მარშალი 89), ჰესკი

ტრანმერი: მერფი, ჰაზელი, რობერტსი, ჰილი, ჩელინორი, პარკინსონი (იეტსი 66), ჯონსი, ჰენრი, მაჰონი, ტეილორი, დ. კელი

გაძევება: ჰილი (64)

მსაჯი: უილკი (რიჩარდი 57)

„უემბლიზე" ლიგის თასის ფინალში, პრემიერლიგის კლასიკური საშუალო კლუბი „ლესტერი" პირველი დივიზიონის საშუალო „ტრანმერს" შეხვდა და მეტ ელიოტისა და ემილ ჰესკის თავურებით დაამარცხა ისინი. ამ შეხვედრაში ბევრი საინტერესო რამ მოხდა — პირველი რომ გვერდით მსაჯად ქალი იყო, ვენდი ტომსი. მეორე რომ 57-ე წუთზე მსაჯ ალან უილკის კუნთი დაეჭიმა და ის ფილ რიჩარდმა შეცვალა. მესამე რომ „ტრანმერს" ორი ყვითლით გაუძევეს კლინტ ჰილი, მეოთხე, რომ „ტრანმერის" მენეჯერმა, წარსულის ვარსკვლავმა ჯონ ოლდრიჯმა თქვა, ლესტერისთვის ორი კაცი უნდა გაეძევებინათო, მეხუთე ის, რომ 78-ე წუთზე არაფრისგან გოლი იშვა და „ტრანმერმა" ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მეექვსე კიდევ ის, რომ სულ ბოლო წამს ლესტერელთა მეკარე ტიმ ფლაუერსმა დიდი გაჭირვებით მოიგერია კარისკენ მიმქროლავი ბურთი და... გაისად „ლესტერი" უეფას თასზე ითამაშებს.

# სად მიდიხარ, ალან...

„ნიუკასლმა" შაბათს „შეფილდ უენსდის" სტუმრად 2:0 მოუგო. პირველი გოლი ალან შირერმა გაიტანა. შირერის გოლებს ჩვეულნი ვართ და გასაკვირი აქ არაფერია. უცნაური და მოულოდნელი კი ის განცხადებაა, ფეხბურთელმა მატჩის შემდეგ რომ გააკეთა.

„თუ მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებ, შემდეგ კი ნაკრებიდან წავალ. ვფიქრობ, ახალგაზრდებს უნდა დავუთმო ასპარეზი, რათა მომავალ მსოფლიოს პირველობაზე ინგლისი სრული მზადყოფნით წარდგეს".

ფეხბურთელს ამ საკითხზე თავის დამრიგებლებთან — ბობი რობსონთან და კევინ კიგანთანაც უსაუბრია. ორივე მწვრთნელი შირერის გადაწყვეტილებას გაგებით შეხვდა, თუმცა კიგანი კმაყოფილი სულაც არ არის. ის ნაკრების კაპიტნის გადარწმუნებსაც შეეცადა და საბოლოოდ ასე შეთანხმდნენ, თუ რომელიმე პრინციპულ მატჩისთვის შირერის ღირსეული შემცვლელი არ გამოჩნდება, მწვრთნელი კვლავაც ნიუკასლელს მიიწვევს.

კიგანსა და შირერს შორის ეს საუბარი ინგლისი — არგენტინის მატჩის წინ შემდგარა. თუმცა ფეხბურთელი ახლა ამბობს, გადაწყვეტილებას ვერავინ შემაცვლევინებს, ბოლო სანაკრებო მატჩს ევრო 2000-ზე ვითამაშებო. ისიც დაუმატებია, ინგლისი ჩემპიონი გახდება, მე კი ბომბარდირიო.

ზემოაღნიშნულის გარდა შირერის წასვლის ერთი მიზეზიც არსებობს. მისი მეუღლე მესამე შვილს ელოდება და ფეხბურთელს სურს, ოჯახურ გარემოში მეტი დრო გაატაროს.

## ბელგია

### გადადებული მატჩი

**ბრიუგე 0:2 ანდერლეხტი**

0:1 გოორი (74), 0:2 სტოიკა (86)

„ბრიუგეს" მლევით „ანდერლეხტმა" პოზიცია განიმტკიცა და გათამაშების ცხრილს ათქულიანი უპირატესობით ლიდერობს.

შეხვედრის პირველი ნახევარი საკმაოდ უინტერესოდ წარიმართა. ხშირი იყო ჯარიმები და უზუსტო პასები. ფეხბურთელებიც ცუდად უგებდნენ ერთმანეთს. „ანდერლეხტმა" მხოლოდ ერთი დასამახსოვრებელი მომენტი შექმნა, იანის ანასტასიუმ სახიფათოდ დაარტყა, თუმცა ბურთი ოდნავ ასცდა კარს. ორიოდე სახიფათო შეტევა მასპინძლებმაც — კალილუ ფადიგამ და სანდი მარტენსმა განახორციელეს. აღსანიშნავია, რომ ანდერლეხტელი მეკარე ფილიპ დე ვილდე ბრიუგელ თავდამსხმელს, იოხენ იენსენს უხეშად ეთამაშა, რისთვისაც არბიტრმა მოედნიდან გააძევა.

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო გამოდგა. უმეტესწილად მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ გოლი არა და არ ჩანდა. ამ დროს კი მოხდა ის, რაც ხშირად გვინახავს — შემტევი გუნდი მეტოქემ კონტრიერიშზე გამოიჭირა და 74-ე წუთზე ბარტ გოორმა მეკარე დანი ვერლინდენს პირველი გოლი შეუგდო. გოორს ასისტენტობა ვალტერ ბასეჯიომ გაუწია. შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ბასეჯიომ ამჯერად შეცვლაზე შესული ალინ სტოიკა გაიყვანა კარგ პოზიციაზე და მეორე გოლიც გავიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 24 | 17 | 6 | 1 | 64:23 | 57 |
| სტანდარდი | 24 | 15 | 2 | 7 | 55:36 | 47 |
| ბრიუგე | 24 | 13 | 4 | 7 | 52:25 | 43 |
| გენტი | 24 | 14 | 1 | 9 | 58:44 | 43 |
| გენკი | 24 | 12 | 6 | 6 | 51:37 | 42 |
| ლიერსი | 24 | 12 | 5 | 7 | 48:31 | 41 |
| ბეერსხოტი | 23 | 12 | 5 | 6 | 42:33 | 41 |
| მუსკრონი | 24 | 12 | 4 | 8 | 51:36 | 40 |
| ვესტერლო | 24 | 10 | 6 | 8 | 45:53 | 36 |
| მეხელენი | 24 | 10 | 3 | 11 | 39:53 | 33 |
| აალსტი | 24 | 9 | 2 | 13 | 43:50 | 29 |
| ლოკერენი | 23 | 8 | 5 | 10 | 42:50 | 29 |
| ჰარელბეკე | 24 | 8 | 4 | 12 | 48:48 | 28 |
| ბევერენი | 24 | 5 | 6 | 13 | 33:52 | 21 |
| შარლერუა | 24 | 5 | 6 | 13 | 28:48 | 21 |
| სტ. ტრუიდენი | 24 | 5 | 4 | 15 | 24:52 | 19 |
| გელი | 24 | 3 | 9 | 12 | 19:43 | 18 |
| ლომელი | 24 | 1 | 10 | 13 | 22:50 | 13 |

### თასის მეოთხედფინალი

**გენკი 3:1 გენტი**

1:0 გუდიონსონი (303), 2:0 ჰენდრიქსი (35), 2:1 იოლი (58), 3:1 გუდიონსონი (65)

**ლიერსი 1:0 ლოკერენი**

1:0 სნოექსი (40)

**სენტ ტრუიდენი 2:1 აალსტი**

1:0 ფიერსი (29), 1:1 კლაისი (47), 2:1 ტეპერსი (82)

**სტანდარდი 1:0 მონსი**

1:0 მორნარი (32)

# შეგირდებს ტაისონითაც ვერ დააშინებ

CHAMPIONS LEAGUE

**ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. III ტური**

### C ჯგუფი

**რეალი — ბაიერნი**

„ბარსელონასთან" 3:0 გამარჯვებით ფრთაშესხმული მადრიდის „რეალი" შეუძლებელია ჩემპიონთა ლიგის გათამაშების განახლებას იმედით არ ელოდეს — მას მიუნხენის „ბაიერნი" სტუმრობს.

კიევის „დინამოსა" და „რუსენბორგის" ძლევათა შემდეგ მადრიდელები ლიდერობენ და თუ „ბაიერნთანაც" გაუმართლებთ, მეოთხედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამენ.

მეორე მხრივ, უგუნებოდ არც ბავარიელები გახლავან. მათ ბუნდესლიგის ბოლო ტურში ფრანკფურტის „აინტრახტს" 4:1 მოუგეს და „ბარსელონასთან" ბრძოლით გადაღლილ „რეალს", ცხადია, იოლად არაფერს დაუთმობენ.

და მაინც, მასპინძლები, რომლებმაც „სანტიაგო ბერნაბეუ" შაბათს 80 ათასი ადამიანის სიხარულის ვულკანად აქციეს, ზედიზედ მეორე დიდ გამარჯვებას ელიან.

„გერმანელები ნახავენ, რომ დიდებულ ფორმაში ვართ და საკუთარი ძალებისა გვწამს. იმან, რაც ჩვენ შაბათს ჩავიდინეთ, ისინი, ეჭვი არაა, დააფრთხო" — ტრაბახობს კამერუნელი ნახევარმცველი ხერემი ჯიტაპი.

მოსალოდნელია, რომ მასპინძლები „ბაიერნთან" იმავე შემადგენლობას ათამაშებენ, რომელმაც „ბარსელონას" მოუგო. თავდასხმაში კვლავ გამოჩნდება ტრიო: რაული, ფერნანდო მორიენტესი და ნიკოლა ანელკა.

„ბაიერნს" „რეალისგან" განსხვავებით ტრავმირებულები და დასჯილები ჰყავს. არ იქნებიან ნახევარდაცვის ძრავი იენს იერემისი, რომელიც დისკვალიფიკაციის გამო შემდეგ კვირაში საპასუხო მატჩსაც გამოსტოვებს და დაშავებული კარსტენ იანკერი.

თუმცა, „აინტრახტთან" ნაჩვენები თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბავარიელები ნებისმიერი შემადგენლობით ძალიან ძლიერად თამაშობენ.

„თუ შემდეგ ორ შეხვედრას მოვიგებთ (კვლავ „რეალთან" და „რუსენბორგთან"), მაშინ ამ მატჩში ფრეც ხელს გვაძლევს" — ბრძანა „ბაიერნის" კომერციულმა მენეჯერმა, ული ჰიონესმა.

გაფრთხილებულნი

რეალი: ჟულიო სეზარი (2), გუტი, ივან ელგერა, იერო, ივან კამპო, კარემბუ
ბაიერნი: ბაბელი (2), მათეუსი (2), ელბერი, კუფური, იანკერი, შოლი, შტრუნცი, ტარნატი

დისკვალიფიცირებულნი

რეალი: არავინ
ბაიერნი: იერემისი (3 ან 4 მატჩი)

**დინამო — რუსენბორგი**

უკრაინის ჩემპიონი ტრონჰეიმელებს მასპინძლობს და პირველი ქულის ან ქულების იმედი აქვს, მაგრამ მთლად საუკეთესო შემადგენლობას მოედანზე ნამდვილად ვერ გაიყვანს, რადგან რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის სერგეი რებროვი, დაშავებული ჰყავს.

კიევში აქილევსის მყესნატკენი ფორვარდის გამოჯანმრთელებას ყოველდღე ელიან, მაგრამ ექიმები გადაჭრით მაინც ვერაფერს ამბობენ.

„რუსენბორგი" სრული შემადგენლობითაა, მისი მწვრთნელი მაინც შიშობს, რადგან დეკემბერში, ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად ნათამაშევი მატჩის შემდეგ უცხოთა მოედანზე, ფაქტობრივად, არ უთამაშია.

მასპინძლებს გასული სეზონისგან განსხვავებით — 1999 წელს ნახევარფინალში გავიდა — ერთობ უფერულად აქვთ საქმე, ერთი ქულაც ვერ მოუპოვებიათ. რაც შეეხება „რუსენბორგს", მას „ბაიერნთან" ნათამაშევი ფრის გამო ერთი ქულა უმაგრებს გულს.

ორივე გუნდს ზამთრის არდადეგები უდგას, თუმცა კიეველებმა, მოგეხსენებათ, ამას წინათ, „მილანთან" ითამაშეს, „სან სიროზე", და გიორგი დემეტრაძის გადამწყვეტი გოლის წყალობით 2:1 მოიგეს.

„ჩემი ფეხბურთელების ინდივიდუალური ფორმა გაცილებით უკეთესია, ვიდრე დეკემბერში, „რეალთან" თამაშის დროს, მაგრამ გუნდური მოქმედებისა მეეჭვება" — განაცხადა ტრონჰეიმელთა მწვრთნელმა ნილს არნე ეგენმა.

„რუსენბორგმა" ცოტა ხნის წინ ესპანეთში გამართულ არაოფიციალურ ტურნირზე ფინალში დანიურ „ბრონდბიუსთან" 0:2 წააგო.

გაფრთხილებულნი

დინამო: კოსოვსკი (2), შაცკიხი (2), გერასიმენკო, გოლოვკო, გუსინი, იაშკინი, კალაძე, კარდაში, ხაცკევიჩი, კორმილცევი, რებროვი, ვაშჩუკი
რუსენბორგი: ბერგდოლმო (2), ბრაგსტადი (2), მინი იაკობსენი (2), ვინსნესი (2), ბერგი, კარეუ, იამტფალი, სორენსენი

დისკვალიფიცირებულნი

დინამო: არავინ
რუსენბორგი: არავინ

### D ჯგუფი

**ლაციო — ფეიენოორდი**

როტერდამელთა მასპინძელს იმედი აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგაში, იტალიის პირველობასა და თასზე წარმატებულ სვლას განაგრძობს.

ეროვნულ პირველობაზე „ლაციო" მეორე ადგილზეა — ბოლო ტურში „უდინეზეს" 2:1 მოუგო. თასზე, აპრილში, „ინტერთან" აქვს ფინალი სათამაშო, ხოლო ლიგაში, რომლის ამბებსაც ახლა მიმოვიხილავთ, ჯგუფში მეორეა, ლიდერს „ჩელსის" მსგავსად 4 ქულა აქვს.

როგორც გასული სეზონის ყველაფრისმფლობელს, „მანჩესტერ იუნაიტედს", „ლაციოსაც" უამრავი ფეხბურთელი ჰყავს და, შესაბამისად, ჰოლანდიელების წინააღმდეგ, ბუნებრივია, ვარსკვლავების ერთ ნაწილს დაასვენებს. როგორც ამბობენ, არგენტინელი გამთამაშებელი, ხუან ვერონი სათადარიგოთა სკამზე იჯდება, ხოლო ვეტერან რობერტო მანჩინის სასტარტო შემადგენლობაში ვიხილავთ. დაისვენებს ჩილელი ფორვარდი მარსელო სალასიც ანუ რომაელთა თავდასხმაში სიმონე ინძაგისა და ალენ ბოკშიჩის წყვილი ითამაშებს. კიდევ, მცველის, ალესანდრო ნესტას ნაცვლად პორტუგალიელი ფერნანდო კოუტუ გავა — ნესტა ოჯახური მიზეზით დაეთხოვა.

მოკლედ, ასეა თუ ისე, „ლაციო" ძალიან ძლიერი გუნდია, თუმცა „ფეიენოორდის" მწვრთნელის თანაშემწე, მარიო ბეენი არ შიშობს.

„თუ იღბალმა ჩვენ გაგვიღიმა, „ლაციოს" კი ზურგი აქცია, შანსი გვექნება. მეტიც, მაიკ ტაისონთან რომ გვქონდეს საჩხუბარი, შეგირდებს ვერ დავაშინებ, ერთი დარტყმით გაგთიშავთ-მეთქი".

გაფრთხილებულნი

ლაციო: ალმეიდა (3), ვერონი (2), ფავალი, მარკეჯანი, ნედვედი, ნეგრო, ნესტა, სენსინი
ფეიენოორდი: ბოსველტი (3), დე ვისერი (2), კალუ (2), პაუვე (2), ვან გასტელი (2), ხულიო კრუზი, დუდეკი, კორნეევი, ვან გობელი, ვან ფოსენი

დისკვალიფიცირებულნი

ლაციო: არავინ
ფეიენოორდი: ვან ვონდერენი (1 მატჩი)

**მარსელი — ჩელსი**

თუ მარსელში, „სტად ველოდრომზე", ლონდონელები მასპინძლებს მაგრად დაუდგებიან, ჯერ ერთი მეოთხედფინალისკენ მორიგ, სერიოზულ ნაბიჯს გადადგამენ და მეორეც, წაუგებელ შეხვედრათა სერიას 14-მდე გაზრდიან.

შაბათს, პრემიერლიგის შეხვედრაში, მართალია, აუტსაიდერმა „უოტფორდმა" ერთობ გააწვალა, მაგრამ „ჩელსიმ" მაინც გაიმარჯვა 2:1, ხოლო მარსელში, სავარაუდოდ, დენის უაიზით, ფრანკ ლებეფით და სელესტინ ბაბაიაროთი გაძლიერდება.

ლონდონელთა შემადგენლობაში იქნებიან „ოლიმპიკის" ყოფილი მოთამაშეებიც, მარსელ დესაი და დიდიე დეშამპი.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, ლიგაში „ლაციოსა" და „ფეიენოორდთან" დამარცხების შემდეგ, შანსისთვის აქვთ საბრძოლველი. თუ ამჯერადაც წააგებენ, ფაქტობრივად, ქუდს იხურავენ და ევროპულ შეჯიბრებას ემშვიდობებიან.

„მეოთხედფინალში გასვლა ჩვ[illegible]ს ნამდვილი სასწაული იქნება, [illegible]ცა ფეხბურთში დანამდვილებით ვერასდროს ვერაფერს იტყვი" — ამბობს „მარსელის" ნახევარმცველი სტეფან დალმა.

„მე კი მგონია, რომ ჩემპიონთა ლიგაში უმომავლოდ არ ვართ. „მარსელს" ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია შეჯიბრება. მთავარია, ისე ცუდად არ ვითამაშოთ, როგორც საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ლიონთან", სადაც 0:2 წავაგეთ და შეცდომა შეცდომაზე დავუშვით" — ეს სიტყვები კი გუნდის კაპიტანმა პატრიკ ბლონდომ თქვა.

**მარსელი — ჩელსი**

გაფრთხილებულნი

მარსელი: ბერიზო (2), დალმა, ლუქსენი, მორისი, პორატო
ჩელსი: ფერერი (2), ბაბაიარო, დესაი, ლებეფი, უაიზი, ძოლა

დისკვალიფიცირებულნი

მარსელი: ფიშერი (1 მატჩი), პერესი (1 მატჩი)
ჩელსი: არავინ



REUTERS მადრიდიდან

ფერნანდო მორიენტესი და მადრიდის „რეალი" „ბაიერნის" დამარცხებასაც შეეცდებიან

## პორტუგალია

XXIII ტური

**ამადორა 3:0 ბენფიკა**

1:0, 2:0 გაუჩო გომეში (17, 75), 3:0 კენედი (83)

**რიუ ავე 1:0 კამპომაიორენსე**

1:0 მიგელიტო (86)

**ალვერკა 2:1 გიმარაეში**

1:0 რუი ბორდესი (12), 2:0 გასპარი (63), 2:1 ედმილსონ ლუსენა (81)

**ჟილ ვისენტე 5:1 მარიტიმუ**

0:1 ტოდტლი (6), 1:1 გუგა (24), 2:1 პედრო სანტოსი (36), 3:1 კუკი (81, 4:1 პედრო სანტოსი (84), 5:1 კარლოს სუარეში (88)

**ფარენსე 3:2 სალგეირუში**

1:0 მარინესკუ (34), 1:1 პედრო რეისი (67), 1:2 ფეერი (72), 2:2 ნადერი (78), 3:2 ლუნარი (89)

**სეტუბალი 1:0 სანტა კლარა**

1:0 ჩიკუინო კონდე (45)

**პორტუ 2:1 ბელენენსეში**

1:0 დრულოვიჩი (12), 2:0 დომინგუში (30), 2:1 ვიდიგალი (43)

**ბრაგა 0:2 ლეირია**

0:1, 0:2 კრპანი (25, 84)

**ბოავიშტა — სპორტინგი**

წუხელ გვიან გაიმართა

**ჩემპიონობის** ერთ-ერთი პრეტენდენტი ლისაბონის „ბენფიკა" სტუმრად ცხრილის შუაადგილოსან „ამადორასთან" დამარცხდა 0:3 და ლიდერ „პორტუს", რომელმაც მორიგ ტურში შინ „ბელენენსეში" დაამარცხა 2:1, უკვე 4 ქულით ჩამორჩა. პირველობისათვის მებრძოლმა კიდევ ერთმა ლისაბონურმა გუნდმა — „სპორტინგმა" „ბოავიშტასთან" შეხვედრა სტუმრად გუშინ გვიან ღამით ჩაატარა, წარმატების შემთხვევაში ისიც 51 ქულას [illegible]ოვებდა და „პორტუს" ეწეოდა.

ლიდერი ტრიოს გარდა ჩემპიონობისთვის ალბათ ველარავინ იბრძოლებს, ხოლო თავად სამეულში ვითარება ერთობ გაურკვეველია, რაც ჩემპიონატს დამატებით ინტრიგას მატებს.

დავუბრუნდეთ „ამადორა" — „ბენფიკას" შეხვედრას. ლისაბონელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა არგენტინელ მეკარე კარლოს ბოსიოს, ხოლო გუნდის გერმანელმა მცველმა რობერტ ენკემ მატჩი ერთობ სუსტად ჩაატარა. ორი გაშვებული გოლიც მის აშკარა შეცდომებს მოჰყვა.

„ამადორა" შეხვედრის მე-17 წუთზე დაწინაურდა. ახლო მანძილიდან თავური დარტყმით გოლი ბრაზილიელმა გაუჩო გომეშმა გაიტანა. 75-ე წუთზე მანვე დუბლი შეასრულა. ხოლო მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე „ბენფიკამ" მესამე გოლიც გაუშვა, რომელიც ამადორელი მცველის, ჟოზე კენედის ანგარიშზეა.

საუკეთესო ბომბარდირის, მარიო ჟარდელის გარეშე დარჩენილმა პორტუმ კი „ბელენენსეშს" სძლია 2:1. თავდამსხმელმა მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. მის არყოფნაში ლიუბინკო დრულოვიჩმა და დომინგუშ ოლივეირამ იმარჯვეს და მეტოქეს თითო-თითო გოლი გაუტანეს. „ბელენენსეშმა" (ჟოსე ვიდიგალმა) მხოლოდ ერთით უპასუხა და საბოლოოდ დამარცხდა — 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 23 | 15 | 6 | 2 | 46:13 | 51 |
| სპორტინგი | 22 | 14 | 6 | 2 | 38:18 | 48 |
| ბენფიკა | 23 | 14 | 5 | 4 | 35:19 | 47 |
| გიმარაეში | 23 | 12 | 4 | 7 | 36:24 | 40 |
| ჟილ ვისენტე | 23 | 9 | 7 | 7 | 31:24 | 34 |
| მარიტიმუ | 23 | 9 | 7 | 7 | 26:23 | 34 |
| ბოავიშტა | 22 | 10 | 4 | 8 | 22:19 | 34 |
| ამადორა | 23 | 7 | 10 | 6 | 26:23 | 31 |
| ბელენენსეში | 23 | 6 | 11 | 6 | 25:23 | 29 |
| ალვერკა | 23 | 8 | 5 | 10 | 25:32 | 29 |
| ბრაგა | 23 | 8 | 3 | 12 | 29:32 | 27 |
| ლეირია | 23 | 6 | 8 | 9 | 23:25 | 26 |
| რიუ ავე | 23 | 6 | 7 | 10 | 25:33 | 25 |
| სალგეირუში | 23 | 7 | 4 | 12 | 19:29 | 25 |
| კამპომაიორ. | 23 | 6 | 6 | 11 | 19:31 | 24 |
| ფარენსე | 23 | 5 | 8 | 10 | 21:45 | 23 |
| სანტა კლარა | 23 | 4 | 8 | 11 | 22:32 | 20 |
| სეტუბალი | 23 | 3 | 5 | 15 | 15:38 | 14 |

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „პერუჯას" მეკარე ანჯელო პაგოტოს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. შარშან, 21 ნოემბერს, (როცა „პერუჯა" „ფიორენტინას" ხვდებოდა) ფეხბურთელს სისხლში კოკაინის შემცველობა აღმოაჩნდა. მისი ანალიზები გამოსაკვლევად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გადააგზავნეს, სადაც პაგოტოს ნარკოტიკების გამოყენება საბოლოოდ დაუმტკიცდა. სასჯელიც მეტად მკაცრი გამოდგა, თუმც „სამპდორიასა" და „მილანის" ყოფილი მეკარე კოკაინის მოხმარებას უარყოფს.

**შვედეთის ნაკრების მეკარე მაგნუს ჰედმანმა „ქოვენთრისთან" მიმდინარე კონტრაქტი 4 წლით გაახანგრძლივა. ამით მან საბოლოოდ გააქარწყლა მოსაზრება მისი „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შესახებ. გუნდიდან ლეგენდარული პიტერ შმაიხელის წასვლის შემდეგ ინგლისის ჩემპიონები თითქოს ჰედმანის გადაბირებას აპირებდნენ, მაგრამ მაშინ შეთანხმება ვერ მოხერხდა.**

**თურქული** „გალათასარაის" რუმინელმა მცველმა გეორგე პოპესკუმ კუნთი დაიჭიმა და ორ კვირას ვერ ითამაშებს. ფეხბურთელს მომავალ ხუთშაბათს უეფას თასზე დორტმუნდის „ბორუსიას" წინააღმდეგ პირველი მატჩის გამოტოვება მოუწევს. „გალათასარაის" პრესატაშეს ცნობით, პოპესკუ თურქეთის ჩემპიონატზე „სამსუნის" წინააღმდეგ შეხვედრაში დაშავდა.

**ინგლისურმა „არსენალმა" ნიგერიელი კანუ უდისციპლინობის გამო 25 ათასი გირვანქით დააჯარიმა. აფრიკის თასზე ასპარეზობის შემდეგ ფეხბურთელი გუნდში დროზე არ დაბრუნდა, მართალია, მატჩი არ გამოუტოვებია, მაგრამ „არსენალის" რამდენიმე ვარჯიშს ვერ დაესწრო. მსგავსი მიზეზის გამო შესაძლოა „ჩელსიში" მოთამაშე სელესტინ ბაბაიაროც დაჯარიმდეს, რომელმაც მთელი ცხრა დღე დააგვიანა. თუმც ლონდონურ კლუბს ჯერჯერობით დამსჯელი ზომები არ მიუღია.**

**ნიგერიელმა** ვეტერანმა თავდმსხმელმა რაშიდ იეკინიმ კოტ დიუვარულ „აფრიკა სპორტთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 36 წლის მოთამაშე ამ გუნდის ღირსებას 1986-დან 1989 წლამდე იცავდა, ამის შემდეგ ევროპაში გადაბარგდა, ხოლო მოგვიანებით საუდის არაბეთის „ალ შაბაბში" ჩაირიცხა. „იეკინი გამოცდილი ფეხბურთელია და მისგან ბევრს ველით. გუნდმა აფრიკის ჩემპიონთა ლიგის 2000 წლის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა დაისახა მიზნად" — ამბობს „აფრიკა სპორტის" გენერალური მდივანი კაბა რონე.

**გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ ანდრეას კოოპკემ, რომელიც ამჟამად მეორე ბუნდესლიგის გუნდ „ნიურნბერგში" თამაშობს, სეზონის ბოლოს კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა. „მე ყველანაირად ვცდილობ, რაიმე გავაკეთო, გუნდს კი ყოველი ქულისთვის ბრძოლა უწევს, სეზონის ბოლოს „ნიურნბერგს", ალბათ, დავტოვებ და სხვაგან გადავალ, თუ სად, ეს ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია" — განუცხადა 37 წლის მეკარემ ერთ-ერთ გაზეთს. 1996 წლის ევროპის ჩემპიონმა კოოპკემ სანაკრებო კარიერა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა, ეროვნულ გუნდში კი სულ 59 შეხვედრა ჩაატარა.**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. მე-3 ტური

29 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | დინამო-რუსენბორგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 502 | რეალი-ბაიერნი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 503 | ლაციო-ფეიენოორდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 504 | ლაციო-ფეიენოორდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 505 | მარსელი-ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 1 მარტი | | | |
| 506 | ბარსელონა-პორტუ | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 507 | ჰერტა-სპარტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 508 | ფიორენტინა-ვალენსია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 509 | მანჩესტერი-ბორდო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 510 | მანჩესტერი-ბორდო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები

29 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 511 | სლავია-უდინეზე | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 512 | პარმა-ვერდერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 513 | პარმა-ვერდერი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 2 მარტი | | | |
| 514 | რომა-ლიდსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 515 | დორტმუნდი-გალათასარაი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 516 | ატლეტიკო-ლანსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 517 | იუვენტუსი-სელტა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 518 | იუვენტუსი-სელტა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 519 | არსენალი-დეპორტივო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 520 | მალიორკა-მონაკო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

გერმანია. II ბუნდესლიგა

2 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | კიკერსი-კარლსრუე | 2,0 | 2,9 | 3,4 |

ინგლისი. I დივიზიონი

29 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 002 | ბლექბერნი-ნორვიჩი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 1 მარტი | | | |
| 003 | პორტსმუთი-ტრანმერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

საფრანგეთი. II დივიზიონი

29 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | გენიონი-კაენი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

ჰოლანდია

29 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 005 | როდა-კამბური | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 006 | როდა-კამბური 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

ბელგია

1 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 007 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

შოტლანდია

1 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 008 | სელტიკი-დანდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 009 | სელტიკი-დანდი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 010 | მოზერუელი-ჰართსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

კალათბურთი

29 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ფილადელფია-დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 802 | ორლანდო-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 803 | ტორონტო-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 804 | კლივლენდი-ფინიქსი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 805 | ინდიანა-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 806 | მინესოტა-შარლოტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 807 | სან ანტონიო-მაიამი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 808 | საკრამენტო-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 809 | პორტლენდი-ლეიკერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | 1 მარტი | | | |
| 810 | ბოსტონი-ტორონტო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 811 | ატლანტა-ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 812 | დეტროიტი-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 813 | დენვერი-ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 814 | ლეიკერსი-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | 2 მარტი | | | |
| 815 | ნიუ იორკი-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 816 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 817 | ორლანდო-შარლოტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 818 | მაიამი-სიეტლი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 819 | ჩიკაგო-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 820 | დალასი-ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 821 | ჰიუსტონი-საკრამენტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 822 | სან ანტონიო-მინესოტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 823 | ფინიქსი-ინდიანა | 1,6 | 12,0 | 1,8 |

კალათბურთი. ევროლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები

29 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 826 | ცსკა-ციბონა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 828 | ეფესი-ალბა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 829 | პანათინაიკოსი-ბუდუჩნოსტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 831 | მაკაბი-პაოკ | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 824 | ბარსელონა-ულქერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 825 | ვილერბანი-რეალი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 827 | ფორტიტუდო-ბენეტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 830 | ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

ჰოკეი

29 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 832 | ბოსტონი-ოტავა | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 833 | ატლანტა-ტორონტო | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 834 | სენტ ლუისი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 835 | ნეშვილი-ნიუ ჯერსი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 836 | კოლორადო-ედმონტონი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 837 | ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 838 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | 1 მარტი | | | |
| 839 | რეინჯერსი-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 840 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 841 | ფლორიდა-ტორონტო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 842 | ჩიკაგო-მონრეალი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 843 | დალასი-ფილადელფია | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 844 | კალგარი-პიტსბურგი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 845 | ფინიქსი-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| | 2 მარტი | | | |
| 846 | აილენდერსი-ოტავა | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 847 | ატლანტა-სენტ ლუისი | 3,0 | 4,0 | 1,5 |
| 848 | კოლორადო-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 849 | ვანკუვერი-ანაჰაიმი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 850 | ლოს ანჯელესი-კაროლინა | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 851 | სან ხოსე-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,0 |

უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

701 პარმა (1,15)-ვერდერი (4,0)
702 სლავია (3,1)-უდინეზე (1,25)
703 იუვენტუსი (1,1)-სელტა (5,0)
704 რომა (1,35)-ლიდსი (2,5)
705 მალიორკა (1,8)-მონაკო (1,6)
706 დორტმუნდი (1,5)-გალათასარაი (2,0)
707 ატლეტიკო (1,35)-ლანსი (2,5)
708 არსენალი (1,45)-დეპორტივო (2,1)

გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლისას მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე (წყვილის სრულად დაწერა საჭირო არ არის)

### სიახლე!!!

**არ გადაყაროთ წაგებული ქვითრები!**

ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშებათა მატჩების განახლებასთან დაკავშირებით „კროკო" სიურპრიზს გთავაზობთ.
მათ, ვინც ფსონს „კროკოს" მთავარ ოფისში (ფურცელაძის ქუჩა) შეიტანს და ვერ მოიგებს, დამატებითი შანსი ეძლევათ!
ის წაგებული ბილეთები, რომელთა ფსონი მინიმუმ 10 ლარს შეადგენს, მონაწილეობს გათამაშებაში, რომლის შედეგადაც 5 ბილეთის იღბლიან მფლობელს საშუალება ეძლევა წაგებული ფსონის შასაბამისი თანხით ახალი ქვითარი შეავსოს.
(დეტალურ ინფორმაციას ადგილზე გაეცნობით)

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# თსუ თუ მაკაბი? გასარკვევი, აი, მსღაა!



სტუ — მაკაბი 82:81. უნგრეთიდან დაბრუნებულ მაკაბელ კახა შენგელიას (ბურთით) ვასილ ოთიურიძე მეურვეობს

**საქართველოს ჩემპიონატი. 19 ტური**

ვერის ბალი. 27 თებერვალი

**დინამო 95:104 ვითა**

I ტაიმი 39:48
**დინამო:** ნიკოლაძე (38), ორდენიძე (12), ბათხაძე (11), ყველაშვილი (13), ზერეკიძე (4); მეგრელიშვილი (17), ნიკურაძე
**ვითა:** უსტიაშვილი (9), ტურაშვილი (28), შანიძე (26), კოკოლიშვილი (13), ახალკაცი (20); გ. გაგნიძე (1), ქევხიშვილი (7)
**მსაჯები:** დავით ანდრიაძე, თემურ სალდგობელაშვილი
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**საქართველოს ჩემპიონატი. 19 ტური**

ვერის ბალი. 27 თებერვალი

**სტუ 82:81 მაკაბი**

I ტაიმი 38:47
**სტუ:** თორთლაძე (20), მიქაძე (3), ჩუბინიძე (5), ორმოცაძე (18), კორძაძე; ტუღუში, ოთიურიძე (8), ლოსაბერიძე (10), მინაშვილი (18)
**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (23), ი. ბერიშვილი (16), ტალაბაძე (7), ფერიაშვილი (12), შენგელია (13); ბ. ნოზაძე (9), კრიხელი (1), მჭედლიშვილი
**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

**გიორგი ბიკაშვილი**

თბილისურ „მაკაბის" ერთთავად ექვსეულისკენ უჭირავს თვალი. ეს იმაშიც გამოჩნდა, რომ უნგრულ „ფალკოსთან" კონტრაქტდარღვეული კახა შენგელია ხეირიანად არც კი ჩამოსულიყო, უმალ მოედანზე ამოყო თავი და „მაკაბისათვის" ძალიან პრინციპულ მატჩშიც ითამაშა სტუ-ს წინააღმდეგ. შენგელია, თუნდაც ოთხი დღის ნამგზავრი (მართლა ასე იყო), დამეთანხმებით, სოლიდური ძალაა ნებისმიერი ქართული კლუბისთვის და რა გასაკვირია, რომ ფავორიტად მიჩნეულ სტუ-სთან შეხვედრამდეც საბრძოლოდ შეიმართა „მაკაბი".

შენგელიას სათამაშო ფორმაზე საუბარი სადღეისოდ უადგილოა. ჯერ ერთი, დაქანცული იყო კახა, თანაც პირველ მატჩს ატარებდა თავის ახალ გუნდში. მიუხედავად ამისა, ვერ გეტყვით, რომ მას უცნობ პარტნიორებთან ერთად უჭირდა თამაში. ფერიაშვილის და ტალაბაძის გვერდიგვერდ თავის დროზე „დინამოსთვის" გარჯილა შენგელია და ეს სამეული მთავარი დამრტყმელი ძალაც გახლდათ ლევან მოსეშვილის იმდროინდელი გუნდისა.

„მაკაბის" ახალწვეულზე საუბარს კიდევ დაუბრუნდებით, ახლა ის ვთქვათ, თუ რატომ იყო ამ გუნდისთვის სტუ-სთან შეხვედრა ესოდენ მნიშვნელოვანი. ექვსეულში შესაღწევად მისი უშუალო მეტოქე თსუ წინა დღეს სდასუ-სთან დამარცხდა და თუ კვირას „მაკაბი" ტექნიკოსთან წინააღმდეგობას დასძლევდა, ქულებით გაუტოლდებოდა ნოდარ ქორქიას საუნივერსიტეტო კლუბს. გამოდის, რომ ერთ ნაბიჯს გადადგამდა შინაური კალათბურთის ელიტისკენ, ექვსეულს რომ ვეძახით.

სხვისი რა გითხრათ და მე კი ისეთი აზრი შემექმნა, რომ „მაკაბი" მეტად იმსახურებდა გამარჯვებას, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე სტუ. სხვა თუ არაფერი, მთელი შეხვედრის განმავლობაში ლიდერობდნენ მაკაბელები, თანაც ისეთ მეტოქესთან თამაშში, რომელსაც საჩემპიონო ამბიცია აქვს და ამას არც მალავს. საქმესაც ისეთი პირი უჩანდა, რომ წლეულს „ვითასა" და „აზოტის" დამმარცხებელი „მაკაბი" კიდევ ერთ ბოლას შეიწირავდა, მაგრამ...

გამოცდილმა დავით თორთლაძემ მატჩის დამთავრებამდე სამი წამით ადრე ორი საჯარიმო სროლის უფლება მოიპოვა, ორივე გამოიყენა და ქულით დააწინაურა თავისიანები. შეხვედრაც ასე დასრულდა. მსაჯ მაკა კუპატაძის გადაწყვეტილებით, თორთლაძის წინააღმდეგ დავით ტალაბაძემ დაარღვია თამაშის წესი, რასაც ნამატჩევს აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. დანამდვილებით შეუძლებელია იმის თქმა, მართლა იუხეშა თუ არა ტალაბაძემ, თუმც არბიტრი ბოლომდე შეუვალი აღმოჩნდა, რითაც მრავალთა გულისწყრომა დაიმსახურა.

საწყის წუთებშივე „მაკაბიმ" იძალა, დაცვაში გუნდი ზონურად განლაგდა, რაც გამართლებული იყო, რადგან ტანმაღალ მაკაბელთა ფარქვეშ შეღწევა მეტოქისგან ასე უფრო დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. სტუ-მ შორიდანაც ვერ ააწყო სროლები — ტყუპი ბერიშვილები კარგად აკონტროლებდნენ სივრცეებს და ერთმანეთსაც დროულად აზღვევდნენ. ფერიაშვილის ზუსტად ნასროლს ირაკლი ბერიშვილმა ზედიზედ ხუთი ქულა მიაყოლა, შუალედში ამრიგი ორმოცაძემ უპასუხა „მაკაბის", თუმც სტუდენტთა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა ეს არასაკმარისად ჩათვალა და წუთშესვენებით ისარგებლა. მალე ჭეიშვილმა ერთი გადაადგილებაც მოახდინა, ჩინებულად მოთამაშე ირაკლი ბერიშვილს მიქაძის ნაცვლად ტუღუში მიუჩინა მეურვედ, მანამდე მსროლელად გამწესებული თორთლაძე კი ჩვეულ ამპლუაში, გამთამაშებლად დააბრუნა. ამან ნაყოფი გამოიღო და თორთლაძის ზუსტი სამიანის შემდეგ სტუ-მ მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა — 9:10, თუმც მერე მაკაბელთა ფარზე უპირატესობა გამოიკვეთა, რამაც მეტოქის შეთანხმებული ქმედება ხელახლა არია. ამ დროს გამოირჩა დავით ბერიშვილიც, რომელიც ტყუპისცალს არ ჩამორჩა და ზედიზედ ორჯერ შორი მანძილიდან ივარგა. მანვე რამდენიმე ჩაჭრაც გაახერხა, რამაც თორთლაძე აანერვიულა, იმდენად, რომ მალე ტექნიკური შენიშვნა დასტყუა მსაჯებს. თავიანთი ლიდერის აღელვება თანაგუნდელებსაც გადაედოთ, რაც „მაკაბიმ" კარგად შეიშნო და შუაგული ტაიმისთვის ცამეტი ქულით (22:9) ჩამოიტოვა მეტოქე. ჭეიშვილი შემადგენლობის ძიებას შეუდგა და ოთიურიძე და ლოსაბერიძე ჩართო თამაშში. ამ გადაადგილებებმა გარკვეული დრო წაიღო, რამაც წყალი კვლავ მაკაბელთა წისქვილზე დაასხა და ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სხვაობა თვალშისაცემი გახდა — 37:19.

ჭეიშვილმა კიდევ ერთ ექსპერიმენტს მიმართა, მოედანზე ვახტანგ მინაშვილი შეუშვა და გუნდის დაცვითი თამაში პერსონალურიდან ზონურზე გადააწყო. ერთმაც გაამართლა და მეორემაც, დაცვის ახლებური სისტემა შეუვალი აღმოჩნდა „მაკაბისთვის", მინაშვილიც კარგად ჩაება თამაშში და საფუძველი დაუდო სტუ-სთვის საუკეთესო სამწუთიან მონაკვეთს, როცა ტექნიკოსებმა 13:0 მოიგეს და სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირეს — 32:37.

მაკაბელთაგან პირველი დავით ბერიშვილი გამოერკვა, რომელმაც ორმოც წამში ორი სამიანი მოათავსა მოწინააღმდეგის კალათში და თანაგუნდელებიც დაიმედებული გაუშვა შესვენებაზე.

სტუ-მ, როგორც წესი, კარგად დაიწყო მეორე ნახევარი და ექვსი წუთის შემდეგ თორთლაძის ზუსტი სამიანით პირველად აღდგა თანაფარდობა — 54:54. მაკაბელთათვის ის უფრო საგანგაშო გახლდათ, რომ ამ დროისთვის ორივე ბერიშვილს ოთხ-ოთხი პერსონალური ჰქონდა მიღებული, მათი ღირსეული შემცვლელი კი მწვრთნელებს სათადარიგოებში არ ეგულებოდათ.

აქედან მოყოლებული, სტუ-მ დაწინაურების არაერთი შანსი გაუშვა ხელიდან, მოგვიანებით კი მაინც მიაღწია თავისას. ეს მაშინ, როცა ირაკლი ბერიშვილს ხუთი პერსონალური ჯარიმით მოედანი დაეტოვებინა. ირაკლის ძმაც მალე მიჰყვა, დათომ ლოსაბერიძის წინააღმდეგ თამაშის წესი დაარღვია და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ფაქტობრივად უკანახაზელების გარეშე დარჩენილი „მაკაბი" საბოლოოდ გატყდებოდა. მან კი მოახერხა და ექვსქულიანი ჩამორჩენა ორ ქულამდე დაიყვანა. ამის მიუხედავად, მშვიდად მოქმედებდნენ საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული ტექნიკოსები, რისთვისაც კინაღამ დაისაჯნენ კიდეც, ხიფათი იქიდან გამოუხტათ, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ.

მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მოედანზე ახალშესულმა ბექა ნოზაძემ ორი საჯარიმოდან ორივე გამოიყენა, მოგვიანებით რთული პოზიციიდან, ნახევარბრუნში ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა 76:76. ეგ კიდევ არაფერი, საფინალო სირენამდე ორმოცდათექვსმეტი წამით ადრე ბექამ სამქულიანი ხაზიდანაც ივარგა და მისმა ყოფილმა კლუბმა წაგებას თვალებში ჩახედა.

თორთლაძემ უმალ შეუტია და წინ გაქცეულ ლოსაბერიძეს პასი მიაწოდა, თუმცა იგი სხვაგან იყურებოდა და ბურთიც დაიკარგა. მაკაბელთა საპასუხო შეტევისას კი ორმოცაძე დაჯარიმდა ფერიაშვილზე, რომელმაც ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა. 80:76 — წინ „მაკაბია". რამდენიმე წამში ორმოცაძემ ისროლა საჯარიმოები და ფერიაშვილისგან განსხვავებით, ორივე ჩააგდო, რითაც სხვაობა ორქულიანი გახადა.

„მაკაბიმ" ბურთი შემოიტანა, თუმც შენგელიას კარგად ჩაუსაფრდა დავით თორთლაძე, რომელმაც კახას გადაცემა ჩაჭრა, თავადვე შეუტია და... 80:80.

სულ ოციოდ წამიღა რჩებოდა, როცა ნოზაძე დადგა პერსონალურის ხაზთან — ორიდან ერთი მოათავსა კალათში. თორთლაძემ ინდივიდუალურად ათამაშა ბურთი, სხვა გზა რომ აღარ იყო, შეტევის დაგვირგვინება განიზრახა, ის იყო, დაიძრა და... მსაჯმა კუპატაძემ ტალაბაძე თამაშის წესის დარღვევაში დაადანაშაულა. გამოცდილ თორთლაძეს არც კი აჰკანკალებია ხელი...

„დინამო" — „ვითას" დაპირისპირებაშიც გამოცდილებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ფავორიტად მიჩნეულ ჩემპიონს ერთი შეხედვით არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ნიკოლაძემ და კომპანიამ იმდენი მოახერხეს, რომ შეხვედრის დამთავრებამდე ექვსიოდ წუთით ადრე ორ ქულამდე შეამცირეს სხვაობა — 84:86. გამოცდილება კი ტყუილად არ მიხსენებია. გუნდისთვის კრიტიკულ სიტუაციაში დავით უსტიაშვილმა ივარგა, თანაგუნდელები დაამშვიდა, თამაში დაალაგა, საჭირო სამიანიც ჩააგდო და სენსაციების მოყვარულ გულშემატკივარს იმედიც გაუცრუა.

**საქართველოს ჩემპიონატი. 19 ტური**

ვერის ბალი. 26 თებერვალი

**თსუ 72:80 სდასუ**

I ტაიმი 30:45
**თსუ:** ვეფხვაძე (5), წოწელია (16), გ. მარკოიშვილი (9), არსიაშვილი (6), გ. ბერუაშვილი (13); მშვილდაძე (2), გელაშვილი, მგალობლიშვილი (19), ვ. აბულაძე (2)
**სდასუ:** ხოშტარია (43), გ. ჩხეიძე (6), უძილაური (14), ლ. აბულაძე, მაჭარაძე (12); გვრიტიშვილი, ნ. ნოზაძე (5)
**მსაჯები:** მურმან ქურიძე, ზურაბ აბაშიძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**საქართველოს ჩემპიონატი. 19 ტური**

ვერის ბალი. 26 თებერვალი

**გორი 57:78 შევარდენი**

I ტაიმი 27:34
**გორი:** ნინოშვილი (20), დ. იაშვილი (12), გრძელიშვილი, ფსუტური (11), მანველიშვილი (11); ცაცებაშვილი, კურტანიძე, ჭოველიძე (3)
**შევარდენი:** ორჯონიკიძე (11), შ. გაგნიძე (6), კაზანჯიანი (11), გიგაური (31), ნუცუბიძე (14); ალავიძე (2), აკოლაშვილი (3)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**როლანდ ლაბუჩიძე**

მას შემდეგ, რაც „შევარდენის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გივი კოშკელოვი გაათავისუფლეს, კლუბის თავმჯდომარემ სოსო საბაშვილმა აღნიშნა: კოშკელოვი კვლავაც „შევარდენში" იმუშავებს, ოღონდ ახალი მთავარი მწვრთნელის, სერგო იშხნელის თანაშემწედ და კალათბურთელთა ძველ შემადგენლობასაც დავაბრუნებთო. თუმცა 26 თებერვალს ვერის ბალი მაინც მოუთმენლად ელოდა, თუ როგორ ასრულდებოდა ეს სიტყვები.

შეგახსენებთ გივი კოშკელოვის ნათქვამს: „გუნდის წარუმატებელი თამაშის მიზეზი, პირველ ყოვლისა, მწვრთნელია და როცა მათ ჩემი გაშვება გადაწყვიტეს, ულაპარაკოდ დავწერე განცხადება. დანარჩენი ჩემი საქმე აღარაა".

„შევარდენის" კალათბურთელები კი ამბობდნენ: იშხნელის ხელმძღვანელობით თამაში წარმოუდგენლად მიგვაჩნია და კოშკელოვი დაგვიბრუნონო.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ კოშკელოვმა უკან წაიღო თავისი განცხადება და როგორც თვითონ გვითხრა, გუნდში რიგით მწვრთნელად დარჩა. კალათბურთელებმაც ითამაშეს, რადგან მთავარი მწვრთნელის, სერგო იშხნელის გვერდით გივი კოშკელოვიც დაიგულეს. არ ჩანდნენ მხოლოდ ძირძველი შევარდენელები — მალხაზ ღვინეფაძე, კახა მაჭავარიანი და მათ კვალობაზე ახალგაზრდა ზვიად თაბუაშვილი.

რაც შეეხება შეხვედრას, პირველი ტაიმის თხუთმეტი წუთი გარდამავალი უპირატესობით აღინიშნა. „შევარდენს" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ჯერჯერობით ბოლო ადგილზე მყოფმა „გორმა". ქართლელები ნინოშვილისა და მანველიშვილის აქტიური თამაშის წყალობით არ თმობდნენ შეხვედრას, ხოლო თბილისელთაგან ფარქვეშ ოსტატურად მოთამაშე თამაზ გიგაური გამოირჩა. 4 ქულით დაწინაურება „შევარდენმა" მხოლოდ მეთექვსმეტე წუთის ბოლოს შეძლო დუდუ ორჯონიკიძის ზუსტი სამქულიანის შემდეგ — 24:20. გორელებს წუთშესვენებისას მწვრთნელის დამოძღვრამაც ვერ უშველა და მათ ტაიმი შვიდი ქულით (27:34) წააგეს.

მოედანზე სიტუაცია არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. სტუმრები ეულად მებრძოლი ნინოშვილის ხარჯზე ამაოდ ცდილობდნენ სათამაშო სიტუაციის გამოსწორებას. თბილისელები კი თანდათან წინ მიიწევდნენ და მათი უპირატესობაც სულ უფრო აშკარა ხდებოდა. მასპინძლებმა საკმაოდ იოლად მიიყვანეს შეხვედრა სასურველ შედეგამდე, ხოლო სერგო იშხნელმა „შევარდენის" მთავარი მწვრთნელის ამპლუაში პირველი გამარჯვება იზეიმა.

სტუდენტური დერბი სატურნირო ცხრილის მეზობლებს — სდასუ-სა და თსუ-ს შორის უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ. სდასუ მიმდინარე ჩემპიონატში პლეი ოფში მოხვედრას ლამობს, ხოლო თსუ-ს უფრო მოკრძალებული მიზანი დაუსახავს და მხოლოდ ექვსეულში დამკვიდრებისათვის იბრძვის. თუმცა ჯერჯერობით მეექვსე ადგილზე მყოფ თსუ-ს „მაკაბის" სახით მოულოდნელად სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა და ახლა მისთვის ყოველი მოპოვებული ქულა უაღრესად მნიშვნელოვანია.

შეხვედრის ჩამთავრება სათუო გახდა, რადგან მეთექვსმეტე წუთზე ვერის ბალის საკალათბურთო დარბაზში შუქი გამოირთო. ეროვნული ჩემპიონატის დებულებიდან გამომდინარე, თითოეული გუნდი ვალდებულია, მაქსიმუმ ნახევარი საათის განმავლობაში დაელოდოს დენის მოსვლას და მხოლოდ შემდეგ მოითხოვოს მატჩის გადატანა, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი აქვს. თუმცა ზუსტად თხუთმეტ წუთში იქაურობა განათდა და თამაშიც განახლდა.

სდასუ-მ მატჩის დასაწყისშივე მოიპოვა საგრძნობი უპირატესობა და უკვე მესამე წუთის ბოლოს 9:0 უგებდა საქართველოს უპირველესი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. სდასუ-ს მხრიდან განსაკუთრებით გუნდის ლიდერი ირაკლი ხოშტარია აქტიურობდა. თსუ-ს ხელმძღვანელობამ წუთშესვენება ითხოვა და სათამაშო ტაქტიკაში დროული ცვლილებები შეიტანა, მაგრამ მეტოქეს და განსაკუთრებით მის კაპიტანს ვერაფერი მოუხერხა. ხოშტარია მართლაც საუკეთესო იყო მოედანზე. მან თავის საკალათბურთო კარიერაში ყველაზე მეტი სამქულიანი (9) ჩააგდო და ერთ მატჩში მოგროვებული 43 ქულით პირადი რეკორდი დაამყარა.

თსუ-ს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უიმედო სიტუაციაშიც კი ფარ-ხმალი არ დაუყრია და ბოლომდე ებრძოლა ხოშტარიას ოსტატური თამაშით შეგულიანებულ მეტოქეს. თსუ-მ განსაკუთრებით პრესინგის დროს იხეირა, მეტოქე მკაცრი მეურვეობის ქვეშ აიყვანა და მის მსროლელებს ბურთი არ დაანება, ცენტრში კი გამოცდილმა გიორგი ბერუაშვილმა დაჯაბნა შედარებით უმცროსი მაჭარაძე. შედეგად მეჩვიდმეტე წუთისთვის ბერუაშვილის, წოწელიასა და მგალობლიშვილის ძალისხმევით თსუ-მ სამ ქულამდე შეამცირა ანგარიში — 66:69. მომდევნო ერთი წუთი ორივე გუნდის მხრიდან გაცუდებული შეტევებით აღინიშნა. მერე კი ხოშტარიასა და უძილაურის თითო სამქულიანს ბერუაშვილმა მხოლოდ ერთხელ უპასუხა ფარქვეშ ოსტატური თამაშით. როდესაც სდასუ 9 ქულით დაწინაურდა (77:68), თსუ-მ წუთშესვენება ითხოვა, მაგრამ ტაბლოზე 44 წამიღა იყო დარჩენილი. როგორც მოსალოდნელი იყო, თსუ-მ აქცენტი სამქულიანებზე გააკეთა. მართალია, მგალობლიშვილმა ვერ ჩააგდო, მაგრამ დამატებაზე ითამაშა კარგად და მხოლოდ ორი ქულით შეეწია თანაგუნდელებს. მორიგი შეტევისას მშვილდაძე დამატებაზე კარგად გაისარჯა, თუმცა თსუ-ს მატჩის გადასარჩენად არც დრო ეყო და არც ძალა.

**საქართველოს ჩემპიონატი. 19 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 18 | 18 | 0 | 1770:1387 | 36 |
| აზოტი | 19 | 15 | 4 | 1810:1506 | 34 |
| ვითა | 19 | 14 | 5 | 1594:1430 | 33 |
| სტუ | 19 | 14 | 5 | 1665:1329 | 33 |
| სდასუ | 19 | 13 | 6 | 1595:1457 | 32 |
| თსუ | 19 | 11 | 8 | 1652:1609 | 30 |
| მაკაბი | 19 | 10 | 9 | 1595:1440 | 29 |
| შევარდენი | 19 | 6 | 13 | 1371:1581 | 25 |
| დინამო* | 19 | 6 | 13 | 1348:1539 | 24 |
| სსუ | 19 | 2 | 17 | 1362:1751 | 21 |
| ასკ | 19 | 1 | 18 | 1372:1798 | 20 |
| გორი* | 18 | 3 | 15 | 1142:1449 | 19 |

*დინამოს დაკლებული აქვს ერთი ქულა, გორს — ორი ქულა

# ბათუმში ახალი არაფერია: სავსე დარბაზი, იოლი მოგება

საქართველოს ჩემპიონატი 19 ტური

ბათუმი. 26 თებერვალი

**ბასკო 106:72 ასკ**

I ტაიმი 63:26
ბასკო: მაისურაძე (5), დავითულიანი (16), ბეჟანიშვილი (16), ქარაბაკი (15), ვ. კილაძე (17); ბაქრაძე (2), კეშელავა (16), გ. კილაძე (2), კვაჭაძე (6), ბერია (11)
ასკ: ზანგურაშვილი (15), მარხვაშვილი (2), მ. მარკოიშვილი (11), ბახტაძე (6), ათუაშვილი (2); ღვინაშვილი (12), ლ. საყვარელიძე (6), რუსია (5), ნათობაძე (5), ჯანელიძე (8)
მსაჯები: ლაშა თოიძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო გვაოცებს საკალათბურთო ბათუმი. არა, „ბასკოს" საქმენი საგმირონი უკვე არ გვიკვირს, საკვირველი უფრო სხვაა. ზღვისპირეთში ამას წინათ „აზოტის" სტუმრობამ რა აჟიოტაჟი გამოიწვია, ალბათ გეცოდინებათ. მაგრამ მაშინდელი თამაშის ინტრიგა სულ სხვა რამ იყო.

სიმართლე გითხრათ არ ველოდი, აუტსაიდერ არმიელთა კლუბთან შეხვედრაზეც თუ არანაკლები ხალხმრავლობა იქნებოდა. ეს კი ერთ რამეზე მეტყველებს — ბათუმში კალათბურთის პოპულარობა დღითიდღე იზრდება და ამ პროცესის განვითარებას, ალბათ, მომავალშიც უნდა ველოდოთ.

თვით თამაშზე, აბა, რა გითხრათ. არმიელებს ამ შეხვედრამდე ერთადერთი კინკილა მოგება გააჩნდათ და რაღა ზედიზედ 17 მატჩის მომგებ უდავო ლიდერთან ეცდებოდნენ გაორებას. ამაზე გაფიქრებაც კი ზედმეტი იყო. „ბასკოც" გულარხეინად იყო და მორიგი გასეირნების მოლოდინში, ბუნებრივია მოტივაციაც შესუსტებული ჰქონდა. ეს ყველაფერი ძლიერ გუნდს გარკვეულ წილად დათვურ სამსახურს უწევს და შემდგომში უფრო ტოლ-სწორ მეტოქესთან საბრძოლო განწყობის შენარჩუნება ერთობ ძნელი საქმეა. მაგრამ რას იზამ, ჩვენი ჩემპიონატის დონის შემხედვარე, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

„ბასკოს" სასტარტო ხუთეულში, ბოლო თამაშებისგან განსხვავებით, ერთი ცვლილება შეინიშნებოდა — გამთამაშებლის ადგილი კვლავ მაისურაძემ დაიბრუნა. ამის მიზეზი უფრო აბრამიძეში უნდა ვეძიოთ. მამუკას მიზეზთა გამო თამაშზე მოსვლა შეაგვიანდა და ზურაბ ტომარაძემ სასტარტო ხუთეულში კი არა, საერთოდ არ მისცა მას თამაშის საშუალება. აბრამიძე კლუბში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა კი გახლავთ, მაგრამ დისციპლინის დარღვევა, მაინც არავის ეპატიება. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ტომარაძის ეს გადაწყვეტილება.

ისედაც გამოუცდელ ნორჩ არმიელებს, სავსე ტრიბუნების კომპლექსმა სულ აუბნია გზა-კვალი და „ბასკოს", „აზოტთან" თამაშის დარად, ახლაც შთამბეჭდავი დებიუტი გამოუვიდა. უკვე მეორე წუთისთვის ანგარიში 10:0 იყო. სტუმართაგან პირველად ზანგურაშვილი გამოერკვა და მის ორ ზუსტ სროლას მარკოიშვილმა სამქულიანიც მოაყოლა. ეს სადღაც მეხუთე წუთისთვის იყო. აი, აქედან კვლავ ერთი გუნდი, „ბასკო" თამაშობდა და ტაიმის დასრულებამდე 8 წუთით ადრე არმიელთა ჩამორჩენამ უკვე 34 ქულას მიაღწია — 9:43.

ამ შვიდწუთიან მონაკვეთში სტუმრებმა ქულა რაღაა, ისიც ვერ მოიპოვეს. მიუხედავად იმისა, რომ აქედან მოყოლებული „ბასკო" მეორე შემადგენლობით ირჯებოდა, თამაშის ხასიათი მაინც უცვლელი დარჩა. ტაიმის დასრულებაც ამის მანიშნებელი იყო — 63:26.

ახალგაზრდა არმიელებისთვის მწარე გაკვეთილი მეორე ტაიმშიც გაგრძელდა. „ბასკოს" რიგებში ვერავის გამოჰყოფდა კაცი, ყველა ჩვეულად ირჯებოდა. ერთადერთი ვალერი კილაძის ზედიზედ ოთხი ზუსტი სამქულიანის აღნიშვნა თუ ეგების. შუა ტაიმისთვის სხვაობამ უკვე 50 ქულას მიაღწია. თუმცა, ამან მასპინძლები ოდნავ მოადუნა და არმიელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს ბოლოს და ბოლოს გონს მოსვლა. აქტიურ ზანგურაშვილს სხვებმაც აუბეს მხარი და თამაშიც გათანაბრდა. ეს ყველაფერი მალე ანგარიშშიც აისახა. მიუხედავად ამისა, „ბასკომ" მაინც სოლიდური სხვაობით მოიგო, მაგრამ ფაქტია: ახალგაზრდა არმიელებისგან მომავალში ბევრს უნდა ველოდოთ. დღესდღეობით კი, „ბასკოსთვის" წინააღმდეგობის გაწევა მათ არ ძალუძთ და ეს არც არის გასაკვირი.



ლევან ფხაკაძე ბათუმიდან

ბასკო — ასკ 106:72. ბასკოელმა ვლადიმერ ბეჟანიშვილმა (მარცხნიდან მეორე) მორიგი ბურთი ჩააგდო

საქართველოს ჩემპიონატი 19 ტური

რუსთავი. 27 თებერვალი

**აზოტი 97:71 სსუ**

I ტაიმი 46:30
აზოტი: ა. ქლენტი (8), ჯიმშელეიშვილი (9), გოგობერიშვილი (21), წიკლაური (15), ბაბიაშვილი (23); ლ. ჩაჩუა (10), ა. ბოისა (6), კოჭლამაზაშვილი (3), დანელიანი (2)
სსუ: გ. ქლენტი (5), ბ. ბერიშვილი (34), ლაცუზბაია (10), ქვილითაია (11), ლ. ვაშაკიძე (9); სორდია (2), ერქვანია
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

# რუსთავში ბოისაა, ოღონდ ანატოლი

ირაკლი ფირაშვილი რუსთავიდან

გასული, მერვე ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ვიცე-ჩემპიონმა რუსთავის „აზოტმა" ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე მოისაკლისა. ცხადია, ლიდერის დაკარგვამ გვარიანად შეასუსტა გუნდის შემტევი პოტენციალი. კონკრეტულად სსუ-სთან შეხვედრაში რუსთაველებს სასტარტო ხუთეულის ორი წევრი — ზაზა გაბისონია და დისკვალიფიცირებული მიხეილ ბერუაშვილი აკლდათ, მაგრამ სხვა წამყვანი მოთამაშეებიც რომ არ ჰყოლოდათ, სოხუმელთა წინააღმდეგობის გატეხა არ გახლდათ ძნელი საქმე. ანგარიში არ ასახავს მეტოქე გუნდების ძალათა რეალურ თანაფარდობას. რუსთაველებს რომ მოენდომებინათ, 26 კი არა, 46 ქულის სხვაობითაც სულ იოლად მოიგებდნენ. უბრალოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა დაინდო ერთ-ერთი აუტსაიდერი, ძალებიც დაზოგა ამ არაფრის მომცემ შეხვედრაში, რომლის ბედიც წინასწარვე განსაზღვრული იყო. „აზოტმა" მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, სოხუმელმა სტუდენტებმა კვლავ უიმედოდ წააგეს.

თვითონ თამაში ტაბლოს გარეშე დაიწყო. იგი მხოლოდ ექვსი წუთის შემდეგ ჩართეს, როცა ანგარიში 9:4 იყო რუსთაველთა სასარგებლოდ. მანამდე კი სტუმართა ლიდერმა ბუბა ბერიშვილმა იყოჩაღა და ორი ზუსტი გარღვევით თავისიანები 4:0 დააწინაურა. სსუ-ს ადგილზე რომელიმე ხეირიანი გუნდი რომ ყოფილიყო, მასპინძლები, ალბათ, შეშფოთდებოდნენ, მაგრამ ისინი სტუმართა დაწინაურებას სრულიად აუღელვებლად შეხვდნენ და ბერიშვილს ზედიზედ ცხრა ქულით უპასუხეს. რადგან სიტყვამ მოიტანა, ბარემ კიდევ ერთხელ ვთქვათ ამ სოხუმელ კალათბურთელზე — წლეულს ჩატარებული მატჩების სრულ უმრავლესობაში თანაგუნდელთაგან მხოლოდ იგი თუ უწევს მეტოქეებს წინააღმდეგობის მაგვარს. ბუბამ ახლაც მრავლად აგროვა ქულები, რამაც სოხუმელებს საშუალება მისცა, მთლად კატასტროფულად არ ჩამორჩენოდნენ მოწინააღმდეგეს. საბოლოოდ ბუბამ შეძლო „კუთვნილი" 30 და მეტი ქულის მოხვეჭა. მისი თავგამოდების წყალობით სხვაობა არასდროს აღემატებოდა 30 ქულას, თუმცა მაინცდამაინც არც „აზოტი" ცდილობდა, უფრო დიდი ანგარიშით დაწინაურებულიყო.

მასპინძელთა მწვრთნელი ოთარ ხმელიძე რიგრიგობით ასვენებდა წამყვან მოთამაშეებს და სათადარიგოებს თავის გამოჩენის საშუალებას აძლევდა. როცა პირველი ტაიმის მიწურულს რამაზ გოგობერიშვილმაც სკამზე გადაინაცვლა, „აზოტის" სასტარტო ხუთეულიდან მოედანზე აღარავინ დარჩა. გოგობერიშვილის ნაცვლად კი „აზოტის" რიგებში პირველად ვიხილეთ ვლადიმერ ბოისას უმცროსი ძმა ანატოლი. სწორედ სსუ-სთან შედგა მისი საბრძოლო ნათლობა. ვერ ვიტყვით, რომ ტოლიკამ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა, ვერც ამ მატჩმა შეგვიქმნა მასზე სრული წარმოდგენა, მაგრამ რუსთაველთა ახალწვეულმა თავი არ შეირცხვინა, თითო-თითო სამქულიანი ჩააგდო პირველი ტაიმისა და მატჩის ბოლოს და ამით თამაშსაც წერტილი დაუსვა.

რეგულარული ჩემპიონატი

# კარიერის რეკორდები

25 თებერვალი

**სიეტლი 87:95 ატლანტა**

სიეტლი: პეიტონი (21 ქულა, 16 პასი, 7 მოხსნა), ბერი (10), პატერსონი (21), ბეიკერი (21), გრანტი (4 ქულა, 10 მოხსნა); მაკკოი (4), ლუისი (2), ფოსტერი (2), დევისი (2), პერსონი
ატლანტა: კოულზი (10 ქულა, 10 პასი), რაიდერი (24), ჯეკსონი (23), ჰენდერსონი (14), მუტომბო (9 ქულა, 13 მოხსნა); კროუფორდი (9), რაიტი (4), ტერი (2), ელისი

შინაური მარცხი იწვნია ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსმა". ამ შეხვედრაში ვოვას არ მიუღია მონაწილეობა. თამაში მართლაც დაძაბული გახლდათ და, „კი არენაში" მოგროვილი 15 ათასი ქომაგის სამწუხაროდ, მასპინძელთა მარცხით დამთავრდა. „ზებგერითები" ვერ მოერივნენ „ქორებს" და მიმდინარე სეზონში შინ უკვე მეცხრედ დამარცხდნენ.

შეხვედრის პირველი სამი მეოთხედი მასპინძელთათვის ცუდს არაფერს მოასწავებდა. „სიეტლი" ჩვეულად, რიხიანად უტევდა. იერიშებს, ცხადია, გერი პეიტონი უძღვებოდა და არცთუ ურიგოდ. „ატლანტას" მწვრთნელმა ლენი ვილკენსმა პეიტონს მეურვედ მსროლელი აიზია რაიდერი მიუჩინა, რათა სიეტლს გამთამაშებელი, პატარა ბიმბო კოულზი იოლად არ დაეჩაგრა. რაიდერი პეიტონზე მაღალიცაა და ჯანიანიც და არც სისწრაფე აკლია. რაიდერს ხანდახან სხვებიც ეშველებოდნენ და პეიტონს სათარეშო სივრცეებს უზღუდავდნენ, თუმცა არც ეს შველოდა საქმეს. სიეტლელთა ლიდერი თავად თუ ვერ შედიოდა ფარქვეშ, ბეიკერი, ანაც რუბენ პატერსონი გაჰყავდა სასროლ პოზიციაზე და ისინიც უმეტეს შემთხვევაში უმართლებდნენ. ასე, „სიეტლის" მცირე უპირატესობით მიდიოდა მატჩი ბოლო მეოთხედამდე. მასპინძლებმა რვა ქულის სხვაობით შეაბიჯეს ბოლო თორმეტწუთეულში და სწორედ აქედან დაიწყო მათი უიღბლობა. ვილკენსმა შეგირდებს მოუწოდა, უფრო ყურადღებით მიეხედათ პეიტონისთვის. შედეგად მასპინძელთა ლიდერმა აცილებებს უხშირა. ბოლო თორმეტწუთეულში მან რვა სროლიდან მხოლოდ ერთხელ ჩააგდო და სამჯერაც დაკარგა ბურთი. სამაგიეროდ, აიზია რაიდერმა გაილაღა და კარგადაც წარუძღვა „ჰოქსს". ამ შეხვედრაში მას თავდაპირველად თამაში არ წაუვიდა და პირველ ნახევარში მხოლოდ ორ ქულას დასჯერდა, მაგრამ მეორე ტაიმში ფარისკენ მწვანე შუქი აენთო ატლანტელს, რამაც შეურყია კიდეც მასპინძლებს სიმტკიცე. ბოლო მეოთხედის ერთ მონაკვეთში აიზიამ ერთბაშად 7 ქულა დააგროვა, სათადარიგო კრის კროუფორდმაც 5 შეაშველა და „ატლანტამ" ამ მონაკვეთის 12:0 მოგების შემდეგ ოთხქულიანი უპირატესობა მოიპოვა 82:78, რაც აღარც გაუშვია ხელიდან.

25 თებერვალი

**ლეიკერსი 109:96 ბოსტონი**

ლეიკერსი: ონილი (28 ქულა, 15 მოხსნა)
ბოსტონი: უოლკერი (25), პირსი (19)

**იუტა 96:88 ორლანდო**

იუტა: მელოუნი (19 ქულა, 10 მოხსნა)
ორლანდო: ამაეჩი (24), მერსერი (19)

**ჩიკაგო 78:91 სან ანტონიო**

ჩიკაგო: ჰოიბერგი (18)
სან ანტონიო: რობინსონი (23 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ იორკი 84:79 ფინიქსი**

ნიუ იორკი: იუინგი (25 ქულა, 10 მოხსნა), სპრიუელი (21 ქულა, 11 მოხსნა)
ფინიქსი: გულიოტა (16)

**მილუოკი 83:97 ფილადელფია**

მილუოკი: რობინსონი (24)
ფილადელფია: აივერსონი (25)

**დეტროიტი 131:99 გოლდენ სტეიტი**

დეტროიტი: ჰილი (30), სტეკჰაუზი (29)
გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (24), კეფი (18)

**მაიამი 87:82 კლივლენდი**

მაიამი: მაშბურნი (18)
კლივლენდი: მიურეი (28)

**ტორონტო 85:107 მინესოტა**

ტორონტო: კარტერი (23), მაკგრეიდი (20)
მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)

26 თებერვალი

**ვანკუვერი 102:90 საკრამენტო**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (22 ქულა, 11 მოხსნა), ბიბი (19 ქულა, 15 პასი)
საკრამენტო: ვებერი (36)

**დალასი 98:96 დენვერი**

დალასი: პეკი (22), სებალოსი (22)
დენვერი: მაკდაიესი (22), კლარკი (20)

**ნიუ ჯერსი 104:93 შარლოტი**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (29 ქულა, 11 მოხსნა), გილი (23), მარბერი (21 ქულა, 15 პასი, 5 მოხსნა, 5 ჩაჭრა)
შარლოტი: კოულმენი (24), ჯონსი (23)

**ვაშინგტონი 88:98 მაიამი**

ვაშინგტონი: მიურეი (20)
მაიამი: მურნინგი (28), ჰარდევეი (23)

**ინდიანა 104:88 გოლდენ სტეიტი**

ინდიანა: როუზი (29)
გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (24)

**კლიპერსი 78:77 ატლანტა**

კლიპერსი: ანდერსონი (21)
ატლანტა: კოულზი (16), რაიდერი (16)

უსუსურმა „კლიპერზმა" შინ გამოიჭირა წინა დღით „სიეტლთან" ჭიდილით გადაღლილი „ატლანტა" და შეწყვიტა 13-მატჩიანი წაგებების სერია.

27 თებერვალი

**დეტროიტი 93:90 ჩიკაგო**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (27)
ჩიკაგო: ბრენდი (28 ქულა, 12 მოხსნა)

**მინესოტა 102:98 სან ანტონიო**

მინესოტა: გარნეტი (29 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი), ბრენდონი (20)
სან ანტონიო: რობინსონი (29)

**ლეიკერსი 101:85 ჰიუსტონი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (31), ონილი (24 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი, 5 დაფარება)
ჰიუსტონი: მობლი (29)

**პორტლენდი 101:92 იუტა**

პორტლენდი: ვოლესი (17), საბონისი (17)
იუტა: მელოუნი (23), რასელი (23)

**ნიუ იორკი 90:88 ფილადელფია**

ნიუ იორკი: იუინგი (18 ქულა, 10 მოხსნა)
ფილადელფია: აივერსონი (26)

**მილუოკი 102:95 ორლანდო**

მილუოკი: ალენი (26), კასელი (22)
ორლანდო: გარიტი (32)

**ტორონტო 103:102 ფინიქსი**

ტორონტო: კარტერი (51)
ფინიქსი: ჰარდევეი (28), როჯერსი (28)

ახალგაზრდა ლეგენდა თანდათან იზრდება, თქვა მატჩის შემდეგ „ტორონტოს" მთავარმა მწვრთნელმა ბუჩ კარტერმა თავის მოგვარე ლეგიონზე ვინს კარტერზე. „ტორონტოს" ლიდერმა ვინს კარტერმა ვარსკვლავებით გამოჭედილ „ფინიქსს" 51 ქულა ჩაუგდო, რითაც თავისი კარიერის რეკორდთან ერთად ნბა-ს მიმდინარე სეზონის რეკორდიც დაამყარა. წლევანდელ რეგულარულ ჩემპიონატში მანამდე ყველაზე მეტი — 50 ქულა ჩაეგდოთ ალენ აივერსონსა და გლენ რობინსონს.

„გარეგნულად არ ვიმჩნევდი, თორემ ძალიან აღელვებული ვიყავი და ახლაც ასე ვარ — ამბობდა კარტერი ცხელ გულზე თამაშის დამთავრებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ — გარკვეული დრო მჭირდება დასაწყნარებლად და მომხდარის გასააზრებლად. ყველაფერი ეს ჩემი დედიკოსთვისაა და ამ 51 ქულას მას ვუძღვნი. ვიცი, ის ღელავს, შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე მე. როცა ბოლო ბურთი ჩავაგდე, გული ისე ამიფართხალდა, როგორც პატარა ბიჭს. ამ დროს დედაჩემს შევხედე, იგი ლამის გადმოხტა თავისი ადგილიდან."

ირაკლი ფირაშვილი

## ევროპის ჩემპიონატი 2001

შესარჩევი ეტაპი. V ტური. 26 თებერვალი

**A ჯგუფი**

უნგრეთი 96:89 ინგლისი (დ.დ)
ხორვატია 89:88 ლატვია
შვეიცარია 73:58 სლოვაკეთი

**B ჯგუფი**

ავსტრია 68:66 ბელარუსი
საბერძნეთი 78:60 პოლონეთი
ჩეხეთი 76:92 ესტონეთი

**C ჯგუფი**

ისრაელი 87:65 ბულგარეთი
ბოსნია 67:52 შვედეთი
ფინეთი 86:83 ჰოლანდია

**D ჯგუფი**

სლოვენია 74:69 ბელგია
მაკედონია 84:78 უკრაინა
ისლანდია 68:87 პორტუგალია



ხუან იგნასიო ჩელა



ევგენი კაფელნიკოვი

# ხეზე ამძვრალი ლომი

ლონდონი. ინგლისი. AXA CUP.
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 800 ათასი $

მეოთხედფინალი: **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ტომას ენკვისტი** (4, შვედეთი) — სედრიკ პიოლინი (6, საფრანგეთი) 7:6 (7:3), 4:6, 7:6 (8:6); **გრეგ რუზედსკი** (5, ინგლისი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:4, 7:5; **მარკ როსე** (შვეიცარია) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 3:6, 6:4, 6:4
ნახევარფინალი: **კაფელნიკოვი** — რუზედსკი 6:3, 7:6 (7:4); **როსე** — ენკვისტი 7:5, 1:6, 6:3
ფინალი: **როსე** — კაფელნიკოვი 6:4, 6:4

თუ გავითვალისწინებთ, რომ კვირის უმეტესობა ევგენი კაფელნიკოვმა იმ სასტუმროში გაატარა, რომელიც არ მოსწონდა და იმ კორტზე ითამაშა, რომელსაც არ ენდობოდა, ფინალში გასვლა ურიგო შედეგად სულაც არ უნდა ჩაითვალოს.

ხუთშაბათს სოჭელმა ინტერვიუს დროს დაიჩივლა, კორტი საშინელია, ფეხებქვეშ მოძრაობს და რაიმეს მოტეხვის მეშინიაო, მერე კი დაუმატა, ორგანიზატორებმა სასტუმროც საზიზღარი გამოგვიყვეს და მანდ დამბრუნებელი გაისად აღარ ვარო.

ოთხვარსკვლავიანი „დოკლენდს ინტერნეშენალიდან" ჟენია ჰილტონში ან პლაზაში არ გადაიყვანეს, მაგრამ კორტის შესახებ მისი საჩივარი მართლაც გაითვალისწინეს და იმ საღამოსვე მცირე გენერალური რემონტიც ჩაატარეს.

ღამით „ლონდონ არენის" ყინულზე გადაგებული საფარი აილეს, კონსტრუქცია შეამოწმეს, გაამაგრეს და მეტი სიმკვრივისთვის ქვევიდან თბილი წყლითაც დაფარეს. „ევგენის სიტყვები გულთან ახლოს მივიტანეთ და რაც შევძლო, ყველაფერი გამოვასწორეთ. კარგია, რომ მან პრობლემის შესახებ შეგვატყობინა — განაცხადა ტურნირის თავკაცმა პატრიციო ებიმ, თუმცა იქვე ცოტა გესლიც გამოურია — ძნელია, ყველას გული მოიგო, მოთამაშეები მეტისმეტად განებივრებულები არიან".

ვალში არც კაფელნიკოვი დარჩენილა: „არ ვიცი, რა გააკეთეს, მაგრამ მე განსხვავებას ვერ ვხედავ. კორტი მართლაც აღარ მოძრაობს, მაგრამ ბურთი ისევ უცნაურად ხტის".

შური კი 26 წლის რუსმა იმით იძია, რომ მასპინძელთა ჯილას, გრეგ რუზედსკის აჯობა. კაფელნიკოვმა ნახევარფინალში მთელი კარიერის თუ არა, სეზონის უდავოდ საუკეთესო მატჩი ჩაატარა, ორმაგებს თუ არ ჩავთვლით, მხოლოდ 3(!) უნებლიე შეცდომა დაუშვა და მეტოქის მძლავრი მოწოდებები იოლად მოათვინიერა.

ამ გამარჯვებით სოჭელმა ახალ კლასიფიკაციაში — 2000 წლის „ჩემპიონთა რბოლაში" ანდრე აგასის გადაუსწრო, პირველ ადგილზე დამკვიდრდა და ამბიციურადაც ალაპარაკდა: „ცოტათი იმედგაცრუებულია, რომ ყველა სამპრას-აგასის პაექრობაზე საუბრობს. მეც კარგად ვთამაშობ და ერთი სული მაქვს, მათ წინააღმდეგ როდის გამოვალ კორტზე".

აგასისა და სამპრასზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მარკ როსესთან თამაში ჟენიას ნამდვილად არასოდეს უხარია. ორმეტრიანი შვეიცარიელი, რომელიც ერთ დროს რუსთან ერთად ფირმა „დიადორას" რეკლამასაც ეწეოდა, კაფელნიკოვს გამუდმებით ჩაგრავს და პირად შეხვედრებშიც 10:3-ს უგებს.

ვეტერანი როსე წლეულს დევისის თასის ეროვნული გუნდიდან მოკვეთეს ასაკისა და სხვებზე „ცუდი ზეგავლენის" გამო. მაგრამ იმედგაცრუების ნაცვლად 1992 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა გადაწყვიტა, ყველასთვის დაემტკიცებინა, როგორ შეცდნენ და თებერვალში ზედიზედ ორი ტურნირიც მოიგო.

ალბათ, ბადის მეორე მხარეს როსეს ხილვით დათრგუნულმა კაფელნიკოვმა ფინალში წინა დღესთან შედარებით გაცილებით უარესად, განერვიულებულმა ითამაშა. პირველი სეტის წაგების შემდეგ მან პირდაპირ მაყურებლებში მოისროლა ბურთი მთელი ძალით, მერე კი ხმამაღალი უხამსობისთვის (ჟენიამ მეტად ზუსტად შეაფასა საკუთარი მოწოდების ხარისხი) მსაჯისგან გაფრთხილებაც მიიღო.

გაღიზიანებულმა რუსმა თავისი ბრაზი მეორე სეტში როსეზე გადაანთხია: ჯერ ბადესთან გასულ მეტოქეს ბურთი ორჯერ ტანში დაუმიზნა, მერე კი მის შეცდომებზე ღიმილით რეაგირება დაიწყო.

ახლა მოთმინებიდან უკვე შვეიცარიელი გამოვიდა და მოგებული ბურთების შეძახილითა და მუშტების მოღერებით აღნიშვნა დაიწყო, ერთ მომენტში კი კაფელნიკოვს იდიოტი ხარო, უყვირა.

გადამწყვეტი მეორე ხელის მეშვიდე-მერვე გეიმები გამოდგა. შვეიცარიელმა ჯერ მიწოდება აართვა სოჭელს, მერე კი ბადესთან რისკიანი თამაშისა და ცოტაოდენი იღბალის დახმარებით სამი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა — 5:3.

მეტოქეებმა ბადესთან მეტად ცივად, ერთმანეთისთვის შეუხედავად ჩამოართვეს ხელი, დაჯილდოების ცერემონიალზე კი კაფელნიკოვმა წამყვანს სთხოვა, ცოტა მაცალე, არაფერი მკითხო, ძალიან გაბრაზებული ვარ საკუთარ თავზეო: „მატჩის დროს ჩვენ მტრები ვართ, მაგრამ კორტსგარეთ — მეგობრები. ასეთია ჩვენი პროფესია. ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი დასრულდა. თავად იმიტომ გავბრაზდი, რომ საჭირო მომენტში შესაბამისად ვერ ვირჯებოდი".

„შეიძლება მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი იყო, მაგრამ ცოტათი თავმდაბლობაც არავის წყენს — გაკენწლა მეტოქე როსემ — მე არ გავნაწყენებულვარ. ჩოგბურთისთვის ასეთი დაპირისპირება სასარგებლოც კია, ხალხს უფრო დააინტერესებს".

მეხიკო. მექსიკის ღია პირველობა.
თიხნარი.
საპრიზო 800 ათასი $

მეოთხედფინალი: **ფრანკო სკილარი** (7, არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (2, ეკვადორი) 6:4, 7:6 (7:5), **შტეფან კუბეკი** (4, ავსტრია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:3, 7:6 (7:3); **მარიანო პუერტა** (არგენტინა) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:2, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — მარკუს ჰენჩკი (ავსტრია) 7:6 (7:5), 6:4
ნახევარფინალი: **ჩელა** — კუბეკი 7:6 (7:4), 6:3; **პუერტა** — სკილარი 6:4, 6:1
ფინალი: **ჩელა** — პუერტა 6:4, 7:6 (7:4)

20 წლის, კლასიფიკაციით 129-ე ხუან იგნასიო ჩელას გასულ ორშაბათამდე ATP ტურზე არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული. კვირის ბოლოს არგენტინელმა, რომელიც მეხიკოს ტურნირზე კვალიფიკაციის გავლით მოხვდა, კარიერის პირველი ტიტული და 130 ათასი დოლარი მიითვალა, გზად კი მთავარი ფავორიტი, გუსტავო კუერტენიც დაამარცხა, თანაც მატჩ-პოინტის გადარჩენის შემდეგ.

როგორ ფიქრობთ, გაახარებდა თუ არა ფინალში თავისი შეგირდის გამარჯვება ჩელას მწვრთნელს? ცდებით, სულაც არა, რადგან ჩემპიონს უკვე კარგა ხანია, ფინალში გაწბილებული 21 წლის მარიანო პუერტას მამა, ხოსე ავარჯიშებს, რომელსაც წინდახედულობისა და ხეზე აძრომის თავისთვის მოტოვებისა, ეტყობა, არაფერი გაეგება.

ოკლაჰომა სითი. აშშ.
**IGA CLASSIC.** ჰარდი.
საპრიზო 170 ათასი $

ნახევარფინალი: **მონიკა სელეში** (2, აშშ) — ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:2; **ნატალი დეში** (5, საფრანგეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:4, 6:2
ფინალი: **სელეში** — დეში 6:1, 7:6 (7:3)

თავის ხანგრძლივ და წარმატებულ კარიერაში მონიკა სელეშს ბევრი, გაცილებით მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოუპოვებია, მაგრამ ოკლაჰომა სითის პატარა პირველობისა და სულ 33 ათასი დოლარის მოგებაც კი ამჯერად მეტად ტკბილი გახლდათ ჭყვიტინა ამერიკელისთვის — მას ხომ ფეხის ტრავმის გამო თითქმის ნახევარი წელი გაუცდა.

„ექიმს თავისუფლად სირბილის უფლება ჯერაც არ მოუცია, ამიტომ ერთი სული მაქვს, როდის დამრთავენ ნებას და ამ ზედმეტ კილოგრამებსაც დავიკლებ — აღნიშნა შესუქებულმა მონიკამ — ბედნიერი ვარ, რომ ბევრი ვარჯიშის გარეშეც მოვახერხე ხეირიანად თამაში".

**ავთანდილ სვანიძე**

# ქართველებმა ზონას თავი დააღწიეს

**ახლახან** თურქეთის ქალაქ სტამბოლში დასრულდა ჩოგბურთელთა 2000 წლის ევროპის ზამთრის ზონალური ტურნირი, რომელიც დახურულ კორტებზე გაიმართა. ხორვატიის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, თურქეთისა და მოლდოვას გუნდებთან ერთად „D" ზონაში საქართველოს 14-წლამდელი ჩოგბურთელებიც მონაწილეობდნენ. ჩვენდა სასიხარულოდ, გოგონათა სამკაციანმა გუნდმა — სოფიკო მელიქიშვილი (თბილისი), თიკა ყავლაშვილი (თბილისი), თათა ახობაძე (ბათუმი) — კაპიტნის, ქალბატონ ლალი ზერეკიძის ხელმძღვანელობით, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, შვეიცარიასთან ერთად ზონის საპრიზო I-II ადგილები დაიკავა, და 3-5 მარტს ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში დაგეგმილ ევროპის ზამთრის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურები იგდო ხელთ. ეს კიდევ უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო ტურნირზე მეოთხედ იყო განთესილი.

ქართველებისთვის ყველაფერი ნახევარფინალურ მატჩში გადაწყდა, სადაც ისინი ხორვატ თანატოლებს ხვდებოდნენ. ტურნირის წესდება გუნდებს შორის სამ შეხვედრას ითვალისწინებდა: ორს ერთეულთა და ერთსაც წყვილთა შორის. ქართველმა გოგონებმა, სოფიკო მელიქიშვილმა და თიკა ყავლაშვილმა, ძნელი თამაშები მოიგეს, რითიც მესამე, წყვილთა შეხვედრა ფორმალობად აქციეს, ისევე როგორც ტურნირის ფინალური შეხვედრა შვეიცარიელებთან, რომელიც ამ უკანასკნელთა იოლი გამარჯვებით დასრულდა 0:2.

ხორვატია-საქართველოს ერთეულთა შეხვედრებში კი მოვლენები ასე განვითარდა: ყავლაშვილი — პავიჩის მატჩის პირველი სეტი ხორვატის გამარჯვებით დასრულდა და მეორეშიც სწორედ პავიჩი იყო წინ 4:2, მაგრამ ჩვენებურმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ ანგარიში სათავისოდ შემოაბრუნა. კიდევ უფრო დრამატული აღმოჩნდა ერთეულთა მეორე შეხვედრა. ხორვატმა ბუნიჩმა მელიქიშვილს პირველ სეტში ტაი-ბრეიკზე აჯობა, შემდეგ მეორე და მესამე სეტშიც 5:3-ს უგებდა, მაგრამ მერე ხუთი მატჩ-პოინტი ქარს გაატანა...

ქართველებმა გაიმარჯვეს და დღეს ჰოლანდიაში გაფრინდებიან, სადაც იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის, ინგლისის, ჩეხეთის, რუსეთის გუნდების გვერდით იასპარეზებენ.

**ლევან ლორთქიფანიძე**



# შვედური კედელი ჩინელთათვის

**პარასკევს** კუალა ლუმპურში ჩინელებმა ერთი ზეიმი მოაწყვეს. მათმა მაგიდის ჩოგბურთელთა ქალთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ტაივანელები 3:1 დაამარცხა და კიდევ ერთხელ დაისაკუთრა ტიტული, რომელიც ლამის მისი სამუდამო კუთვნილება გამხდარა. ყოველ შემთხვევაში, 12-გზის მსოფლიოს ჩემპიონობა საამისოდ მკაფიო განაცხადია, თუმც ჩვენ ახლა ქალებზე საუბრის გაგრძელებას არ ვაპირებთ, გვინდა, იმ სამაგიდისჩოგბურთო დრამაზე მოკლედ გიამბოთ, ჩემპიონატის ბოლო დღეს მამაკაცთა ფინალში რომ გათამაშდა. მეტოქეები ტრადიციულნი იყვნენ: შვედები და ჩინელები. პირველებმა ნახევარფინალში იტალიელები ჩამოიშორეს საკმაოდ იოლად, ხოლო მეორენი კიდევ უფრო ადვილად იაპონელ მეზობლებს გაუსწორდნენ. ფინალი რომ დაძაბული იქნებოდა, გარეგნული ნიშნები ცხადყოფდა: კუალა ლუმპურის დარბაზში 6000 ქომაგი მოგროვდა, მეტწილად ჩინელები და მათი ემოციებისგან ჭერი ლამის ცაში აფრინდა, თუმც პირველი ორი შეხვედრის შემდეგ მღელვარება ცოტათი დაცხრა და ნაღველში გადავიდა. ჯერ იან-ოვე ვალდნერმა პირველი პარტია წააგო, მაგრამ ორი მოუგო მსოფლიოს მესამე ჩოგანს, ლუ გუოლიანგს, ვისთანაც აქამდე ზედიზედ ხუთჯერ წაეგო და შვედები დააწინაურა, შემდეგ კი იორგენ პერსონმა ასევე მისგან აქამდე დაუმარცხებელი კონგ ლინგჰუის შემუსვრით სკანდინაველთა უპირატესობა განამყარა — 2:0. რჩებოდა ერთადერთი მოგება, მაგრამ აქ დაიწყო: ჯერ 19 წლის ლუ გუოჩენგმა უჩვენა, რომ სულაც არ აინტერესებს, რამდენს აგებს მისი გუნდი და პეტერ კარლსონი ორ პარტიაში გააცამტვერა — 21:6, 21:16. კვლავ აზანზარდა დარბაზი ჩინელ ფანთა ემოციებისგან, რომლებმაც აპოგეას მაშინ უწიეს, როცა კონგ ლინგჰუიმ ვალდნერი დაამარცხა 21:9, 21:17 და ანგარიში გაათანაბრა. პერსონისა და ლიუ გუოლიანგის გადამწყვეტ მატჩში არამარტო ბურთის, არამედ ნერვების სასტიკი თამაშიც წავიდა, შვედმა მოიგო პირველი პარტია — 21:18, მაგრამ წააგო მეორე — 17:21 და ამდენად, ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში ბოლო ხელის ბოლო პარტიამდე მივიდა საქმე. შვედმა ივარგა, გაუმართლა, თუ ღმერთმა გადმოხედა... როგორც გინდათ, ისე დაარქვით. მესამე პარტიაში 18:18-ზე მისმა სამმა ფორჰენდმა მილიმეტრების სიზუსტით უწია საჭირო წერტილებს და ჩინელმა ვერც ერთი უკან ვერ დააბრუნა. შედეგი: ქომაგთა დუმილი — ჩინელებს ჩემპიონის ტიტული და რამდენიმე ფანის ალტაცებული ყიჟინა — შვედებს.

**დავით გულუა**



იორგენ პერსონი




ერიკა იოჰანსონი




იური ბორზაკოვსკი

# გამარჯვებული რუსები ცას შეჰყურებენ

## აინთება ბორზაკოვსკის ვარსკვლავი?

ევროპის 44 ქვეყნის 593-მა მძლეოსანმა მოიყარა თავი გასულ უქმეებზე ბელგიური გენტის „ფლამანდურ არენაზე", კონტინენტის რჩეულ მძლეოსანთა გამოსავლენად. ბელგიაში, თუ არ ვცდებით, ერთი ლიხტენშტაინის ნაკრები ვერ ჩავიდა, მეორე — საქართველოსი, თუმცა ამას ჩემპიონატის სიმძაფრეზე საერთოდ არ უმოქმედია და ამ მშვენიერ სანახაობას ინტერესი არ მოჰკლებია. იყო რამდენიმე მოულოდნელობა, მაგრამ საერთოდ ფავორიტებმა ყველგან იმარჯვეს, ორიოდე შემთხვევის გარდა. ჩავარდნა უფრო გერმანელებს დაეტყოთ, რადგან წინა ჩემპიონატთან შედარებით ბევრად ნაკლები ოქროს მედალი დაუგროვდათ და ამ მაჩვენებლით ორი სლავური ქვეყანა წინ გაუშვეს: რუსებმა ჯამში 6 ოქრო მოიპოვეს, ჩეხებმა — 3, ხოლო გერმანელებმა მათზე ერთით ნაკლები. სამაგიეროდ, სხვადასხვა დისციპლინებში მეორე ადგილი არავის დაუთმეს, მათი თითქმის ყველა საჩემპიონოდ შეგულებული მძლეოსანი ვერცხლს დასჯერდა. ჰაიკე დრექსლერმა ყოჩაღად ისკუპა, მაგრამ შვედი ერიკა იოჰანსონის შედეგამდე სამი სანტიმეტრი დააკლდა, ხოლო ასტრიდ კუმბერნუსის ნაკრავი ბირთვი სულაც ოცმეტრიანი ნიშნულის აქეთ დაეცა და ეს მაშინ, როცა 36 წლის რუსმა ლარისა პელეშენკომ 20 მეტრსა და 15 სანტიმეტრს უწია.

მოკლედ, ერთი რამ უნდა ითქვას: ვერ გამოდგა ეს ჩემპიონატი გერმანელების, სხვა ბატონობდა გენტში და სხვამ დაიდგა მეტი დაფნის გვირგვინი — რუსებს ვგულისხმობთ. გუნდურ ჩათვლაში მათი წარმატების ამბავს წერილის ბოლოს მოთავსებული ცხრილიდანაც შეიტყობთ, ახლა კი კონკრეტულ ფაქტებზე ვისაუბრებთ. უპირველესად ჩრდილოელთა ახალ იმედზე, იური ბორზაკოვსკიზე მოგახსენებთ, რომელმაც გენტში 800-მეტრიანი გარბენი მოიგო. 18 წლის ყმაწვილისგან გამარჯვებას იმთავითვე ელოდნენ, რადგან ბორზაკოვსკიმ რაღაც-რაღაცეებით აქამდეც გააკვირვა ხალხი, უფრო კი თავისი სარბენი ტაქტიკით. ბელგიაში რუსი ჩვეულების ერთგული დარჩა: გზის სამი მეოთხედი მეტოქეებს კუდში სდია, ბოლოს კი ისეთი სიჩქარით გაიქცა, წამში დაეწია ნილს შუმანს, აქამდე მოწინავედ მორბენალ გერმანელ ევროპის ჩემპიონს, მერე მასაც მოურიდებლად აუარა გვერდი... ბორზაკოვსკის აღმაფრენა დანარჩენ რუსებსაც გადაედოთ და ქალთა 400 მეტრზე რბენა რუსულ დერბად იქცა, რომელიც ფავორიტმა ვერ მოიგო. ნატალია ნაზაროვამ და სვეტლანა პოსლეპოვამ ჯერ დანარჩენები მოიტოვეს ღრმა ზურგში, მერე კი ერთმანეთის გასასწრებად ისე გაქანდნენ, კაცი იფიქრებდა, ასმეტრიანზე მირბიანო. პოსლეპოვამ აჯობა, ნაზაროვას კი ეწყინა და როცა 4X400 ესტაფეტაზე უხმეს, დამანებეთ თავიო, თქვა გულამომჯდარმა, თუმცა მისი ბოიკოტი რუსებს არ დასტყობიათ, მოლოდინისამებრ ენერგიულად ირბინეს და იტალიელთა კვარტეტს, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, 2 წამზე მეტი მოუგეს. რუსებს მამაკაცებშიც ეიმედებოდათ ესტაფეტის მოგება, მაგრამ 400-მეტრზე ნახევარფინალში ევროპის ჩემპიონმა, რუსლან მაშჩენკომ ფეხი იტკინა და დაისვენა, რითაც თავისიანები ერთობ დაალონა. გული კი დასწყდათ რუსებს, მაგრამ მერე შეუტიეს და ესტაფეტა მაინც მოიგეს... თუმცა ის იყო, ჩრდილოელებს უცაბედი გამარჯვება უნდა დაეჯერებინათ, რომ წესების დარღვევისთვის თავიანთი დისკვალიფიკაციის ამბავიც მოუვიდათ და საბოლოო ჯამში მაინც გაწბილებულები დარჩნენ.

ცხადია, ჩემპიონატს რუსების კარნახით არ ჩაუვლია, სხვებმაც ისახელეს თავი. მსოფლიოს მძლეოსნობას თავისი შტეფი გრაფი გაუჩნდა, ჯერჯერობით სიტყვის არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით. ამ ავსტრიელმა კვირას ქალთა 800-მეტრიანი გარბენი უწყვეტი სპურტით მოიგო: თავიდანვე წინ გავარდა და მხოლოდ ბოლო ორას მეტრზე ცდილობდა რუსი ნატალია ციგანოვა მის დაწევას, მაგრამ უშედეგოდ.

გაბრიელა საბოზე უთქმელობა არ ეგების. საერთო აზრით, მას გენტში 3000-მეტრიანი გარბენი უნდა მოეგო და ასეც მოხდა. თავიდან საბო მესამე ადგილზე მირბოდა, თუმცა არავის უფიქრია, შეჯიბრს სხვა მოიგებსო. მერე გარუმინელებულმა უნგრელმა სიჩქარეს მოუმატა და წინ წასულ პოლონელსა და ესპანელს შეახსენა, რომ ყველაფრის ბატონ-პატრონი თვითონ იყო, ისევე, როგორც ბრიტანელმა ჯეისონ გარდნერმა 60-მეტრიან დისტანციაზე. ბრიტანელს სტარტზე აქეთ-იქიდან ელინები უმშვენებდნენ გვერდს და ტუჩებმოკუმულები იყურებოდნენ წინ, საჩემპიონო ზრახვებით აღვსილნი. როგორც კი პისტოლეტმა იქუხა, გეორგიუ თეოდორიდისი და ანგელოს პავლაკასისი მონდომებითაც გაიქცნენ, მაგრამ ზანგის ფეხებმა იმძლავრეს, გარდნერი პირველი იყო ფინიშზე. ბერძნები ოქროს გარეშე მაინც არ დარჩენილან, მამაკაცთა მაგიერ ეკატერინა ტანუიმ იმარჯვა, რომელმაც იგივე გარბენი იმხელა უპირატესობით მოიგო, თავად გაუკვირდა.

სანამ მორბენლები წრეებს ურტყამდნენ, „ფლამანდური არენის" ცენტრალურ უბნებში დანარჩენი სახეობების მიმდევრები მუშაობდნენ. დიდი დაძაბულობა შეინიშნებოდა სიმაღლეზე ხტომაში, სადაც წესით უცილობელი ფავორიტი რუსი ვიაჩესლავ ვორონინი უნდა ყოფილიყო. იგი ყოჩაღად ახტა და 2,34 მეტრიან თამასას გადაევლო, მაგრამ ასე არ უნდაო და გერმანელმა მარტინ ბუსმა და იუგოსლავიელმა დრაგუტინ ტოპიჩმაც იგივე გაიმეორეს. რუსმა მაინც გაიმარჯვა, რადგან თურმე თამასა ერთხელაც არ ჩამოუგდია, ხოლო სხვებს ერთი-ორჯერ შეუცოდავთ. გენტში ერთადერთი რეკორდი, ისიც ევროპის, შვიდჭიდში დამყარდა, მისი ავტორი, ჩეხი ტომაშ დვორჟაკი გახლავთ. მას ჯამში 6424 ქულა დაუგროვდა. სხვა რეკორდებს პრინციპში ნაკლებად ელოდნენ, რადგან ისეთი, ვისაც მათი დამყარება შეეძლოთ არცთუ ბევრია და ბელგიაშიც ყველა არ ჩასულა, თუნდაც იგივე უილსონ კიპკეტერი, ვისაც ბორზაკოვსკის სახით ამიერიდან სერიოზული კონკურენტი ეყოლება.

**დავით გულუა**




გაბრიელა საბომ (452), რა თქმა უნდა, გაიმარჯვა

**ქვეყანათა მონაგარი**

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 რუსეთი | 6 | 5 | 4 | 15 |
| 2 ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| 3 გერმანია | 2 | 6 | 1 | 9 |
| 4 ბულგარეთი | 2 | 2 | 2 | 6 |
| 5 რუმინეთი | 2 | 2 | 1 | 5 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარტოობის ოცი წუთი

აბრაამ ოლანოს ეულად რბოლა ჰყვარებია. სანამ „ვალენსიის ტურის" ხუთი ეტაპი ჩამთავრდებოდა, ესპანელი ჩრდილში არ იყო, მაგრამ არც განსაკუთრებული რამ გაუკეთებია. ალბათ გახსოვთ, 3 ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლის ლიდერობა იტალიელი ჯუზეპე დი გრანდეს ხელში რომ მოექცა, თუმცა ჯუზეპე მდევართა მოზრდილ გროვას მხოლოდ ორი წამით უსწრებდა, ამიტომ მომდევნო ორი რბოლისა და განსაკუთრებით სევილიის ქუჩებში დაგეგმილი სიჩაუქის გამოცდისგან ცხრილში დიდი ცვლილებები იყო მოსალოდნელი. მე-4 ეტაპი გერმანელმა ერიკ ზაბელმა მოიგო, მე-5 იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ და ორივე შემთხვევაში ფინიშთან პელოტონი მივიდა, ამდენად არც საერთო ცხრილში შეცვლილა ბევრი რამ. მხოლოდ სიჩაუქის გამოცდამ ამოატივტივა აბრაამ ოლანოს სახელი, როცა გაქრა ცნებები — პელოტონი, გასწრება და თვალყურის დევნება. ყველა ველომრბოლის ერთადერთ მიზნად პედლების უწყვეტი და მაქსიმალურად სწრაფი ტრიალი იქცა და აქედან გამომდინარე, მკვეთრად იმატა შედეგებს შორის დროის სხვაობამ. შესაბამისად, ცხრილიც აირია. სიჩაუქის გამოცდა 20,3 კილომეტრზე მიმდინარეობდა. მაყურებელი მრბოლებში ვერ შენიშნავდა „მეკობრე" მარკო პანტანის და ვერც გასული წლის „ტურ დე ფრანსის" ტრიუმფატორ ლენს არმსტრონგს, რომელმაც მძიმე სტარტის შემდეგ გადაწყვიტა, პანტანივით მოქცეულიყო და უკვე მეოთხე ეტაპიდან რბოლას ჩამოშორდა. ოლანო კი გუშინწინ შეუჩერებელი იყო. მან სანაქებოდ გარეკა თავისი რკინის ბედაური და ფინიშთან ხუან კარლოს დომინგესზე მთელი 21 წამით ადრე მივიდა. საერთო ჩათვლაშიც გამარჯვება აბა სხვას ვის უნდა დარჩენოდა. ოლანომ მოიგო და თბილი სეზონის დიადი ველობატალიების მისადგომებთან მშვენიერი რეპეტიციაც გაიარა.




აბრაამ ოლანო

**დავით გულუა**

**საბოლოო შედეგები**

1 აბრაამ ოლანო (ონსე, ესპანეთი) — 20.9.42
2 ხუან კარლოს დომინგესი (ვიტალიციო, ესპანეთი) — +21
3 ხოსე ალბერტო მარტინესი (ესკატელი, ესპანეთი) — +47
4 ანტონიო ტაულერი (კელმე, ესპანეთი) — +50
5 ლორან ჟალაბერი (ონსე, საფრანგეთი) — +1:12.



# ოსკარმა კოულს მოსაწვევები თავზე გადაახია



დე ლა ჰოიას ცაციას დერელ კოულიც ემსხვერპლა

ოსკარ დე ლა ჰოია რინგს დაუბრუნდა. გასული წლის თვრამეტ სექტემბერს დე ლა ჰოიამ მეტად საეჭვო ვითარებაში დათმო ქვესაშუალო წონის საბჭოს (ვბკ) ქამარი ფელიქს ტრინიდადთან ბრძოლაში. მსაჯთა არცთუ სამართლიანი გადაწყვეტილების შედეგად დე ლა ჰოიამ ტიტული დაკარგა, მაგრამ სახელი და დიდება შეინარჩუნა — ის კვლავაც რჩება ყველაზე პოპულარულ მოკრივედ მაიკ ტაისონის შემდეგ.

და აი, შაბათს, დე ლა ჰოია შეერკინა გვარიანად ძლიერ მოკრივეს დერელ კოულს. ბრძოლის წინ კოული ბევრს ტრაბახობდა და იქადნებოდა, ამიტომ შერკინების გარშემო მეტად მტრული ვითარება შეიქმნა. კოული გამარჯვების აღსანიშნავი ბანკეტის მოსაწვევებსაც კი არიგებდა. ეს, რა თქმა უნდა, სარეკლამო ტრიუკი იყო, მაგრამ დე ლა ჰოიას აგრესიულობისთვის კარგი კატალიზატორი გამოდგა.

პირველ სამ რაუნდში ოსკარმა ბევრი ურტყა მეტოქეს. მეოთხეში კოულმა ხელი გამოილო და კინაღამ ნოკდაუნში ჩააგდო ოსკარი. კვანძი მეშვიდე რაუნდში გაიხსნა, როცა დე ლა ჰოიამ, თავისი განთქმული ცაცია ჰუკი მოადო თავში კოულს. კოული შებარბაცდა, მაგრამ ფეხზე დარჩა. ამას ოსკარმა მძლავრი აპერკოტი მოაყოლა და ნოკაუტი...

ახლა დე ლა ჰოია ცდილობს, ტრინიდადთან მატჩ-რევანშის გახერხებას, რათა ჯავრი იყაროს და ტიტულიც დაიბრუნოს.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

## მთის თხილამურობა

# სტატისტიკას მელანი გადაესხა



მელანი ტარჯონი

სტატისტიკა მკაცრი დისციპლინაა, რომელსაც გადახვევები არ უყვარს, მაგრამ გამონაკლისები ყოველთვის არსებობს. რას ამბობდა სტატისტიკა სამთომოთხილამურე ქალთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპის წინ, ტიროლის მთებში რომ გაიმართა 26 თებერვალს? რას და პირდაპირ აცხადებდა, ავსტრიაში მხოლოდ ავსტრიელის გამარჯვება შეიძლებაო და მრავალი მაგალითითაც ასაბუთებდა. თუნდაც იმით, რომ ინსბურკის ტრასაზე უცხოელს არასდროს გაუმარჯვია, ანდა კიდევ უკეთესი: გასული წლის ინსბურკის სუპერგიგანტში ავსტრიელმა მამაკაცებმა პირველი 9 (!) ადგილი დაიკავეს. ულმობელი იყო სტატისტიკა კანადელთა მიმართაც, რაც მშვენივრად ჩანს სააგენტო „როიტერის“ მიერ გადმოცემული შემდეგი ინფორმაციიდან: „კანადელებმა უკანასკნელად სუპერგიგანტი 1986 წელს მოიგეს, ხოლო 1993 წლიდან ქალებს საერთოდ აღარ გაუმარჯვიათ“. სწორედ ამ დამთრგუნველ სტრიქონებს შეებრძოლა შაბათს ერთი ყოჩაღანა კანადელი ქალბატონი, მელანი ტარჯონი და მეტოქეებს შავი დღეც აყარა. ინსბურკში სრიალებდნენ მრისხანე მასპინძლები, მსოფლიოს თასის ლიდერები და პრიზიორები, რომელთა გვარების ჩამოთვლა აქ ზედმეტია. არც სხვა ელიტარული მოსრიალენი დაკლებიან ავსტრიულ სუპერგიგანტს და მაინც ტრასა ყველაზე სწრაფად ტარჟონმა ჩაიქროლა და ხალხიც გააოგნა. ეს მისი პირველი გამარჯვება იყო კარიერაში და კანადელს არც უცდია სიხარულის დამალვა. „ბედნიერი ვარ“ — თქვა მან. დანარჩენი ადგილების განაწილებაში სტატისტიკა აღარ შემცდარა: მეორე ავსტრიელი რენატე გოეტშლი იყო და მესამე — ასევე მასპინძელი ტანია შნაიდერი. ორივე უკვე მოზრდილი სამთო-სათხილამურო იმჯის პატრონი გახლდათ. გოეტშლი სამშობლოში მაინც ჩინებულად გამოვიდა. სუპერგიგანტში თუ მეორე იყო, წინა დღეს სწრაფდაშვება მოიგო და, რაც მთავარია, ორჯერვე უკან მოიტოვა საერთო პირველობაში მთავარი კონკურენტი, ასევე ავსტრიელი მიქაელა დორფმაისტერი. მსოფლიოს თასის გასრულებამდე შვიდიოდე ეტაპით ადრე გოეტშლი უკვე სოლიდურად უსწრებს დორფმაისტერს. კიდევ უფრო დიდია განსხვავება მამაკაცთა მსოფლიოს თასის პირველ და მეორეადგილოსნებს შორის. აქ ავსტრიელ ჰერმან მაიერს სანახევროდ თავი ქუდში აქვს, თუმცა ნორვეგიელი კეტილ ანდრე ამოდტი ჯერაც მუყაითად ღვრის ოფლს, იქნებ როგორმე დავეწიოო და ამისთვის კორეას გაფრენაც არ დაიზარა. იქაურ იონგპონგში შაბათს გიგანტური სლალომის დღე იყო და ამოდტმაც მე-14 ადგილზე გასვლით მაიერთან სხვაობას ბევრი ვერაფერი ჩამოაჭრა. თავად ჰერმინატორს რომ კორეა ეშორა, ამაზე უკვე გიამბეთ. ახლა მას ნორვეგიულ ეტაპზე ღირსეულად გამოსვლა განუზრახავს და გამალებით ემზადება. თანამემამულის არყოფნაში კორეული გიგანტური სლალომი მაინც ავსტრიელმა მოიგო და ამ გამარჯვებას დიდხანს ველოდიო, თქვა. ბენჯამინ რაიხს კორეაში თავისი ფანობაც გაჰყვა, იქნებ არც ისე მრავალრიცხოვანი, როგორც ფეხბურთში, მაგრამ მაინც... სამი კაცის გამამხნევებელმა სტვენა-ყვირილმა ავსტრიელს ძალები შემატა და სეზონის პირველი გამარჯვებაც მოვიდა. 22 წლის ავსტრიელმა გულით გაიხარა და მასმედიას გაუმხილა, ბოლო ხანებში თავს ძლიერ უბედურად ვგრძნობდი, რომ სრიალი არ გამომდიოდა, მაგრამ ახლა ვგრძნობ, ჩემი დღეც დადგაო.

იონგპონგში მომდევნო შეჯიბრება სლალომში გაიმართება. ამ სახეობის ავტორიტეტებად ნორვეგიელები და სლოვენიელები ითვლებიან და კორეაშიც ფავორიტებად ნახსენები ამოდტი და წინა სლალომის მომგები მათიას ვროვნიკი მიაჩნიათ, მაგრამ დახეთ რაიხს. მისი თქმით, იგი სლალომშიც არ აპირებს მაჩანჩალად ყოფნას და თვლის, რომ გამარჯვების რეალური შანსები აქვს.

**დავით გულუა**

### საერთო ჩათვლა

ქალები

1 რენატე გოეტშლი (ავსტრია) — 1233
2 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 1089
3 რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) — 846

კაცები

1 ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 1570
2 კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 1242
3 იოზეფ შტრობლი (ავსტრია) — 852

## ბიატლონი

# დამთავრებული დაუმთავრებელი

ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის ამგვარ დასასრულს არავინ ელოდა. კაცების ესტაფეტა ძლიერი ქარისა და ნისლის გამო მეოთხე ეტაპზე შეწყდა. ცხადია, მსაჯთა კოლეგიის ამ გადაწყვეტილების შემდეგ ყველაზე დამწუხრებული გერმანელთა გუნდი გამოიყურებოდა — ისინი ლიდერობდნენ რბოლას. უფრო მეტი წააგო მაყურებელმა, რომელიც საინტერესო ბრძოლის მოლოდინში მოთმინებით იტანდა ავდარს.



ნისლმა და ავდარმა ყველაზე მეტად გერმანელი ფრენკ ლუკი (მარცხნივ) და მისი თანაგუნდელები აზარალა

მანამდე კი იყო ქალების ესტაფეტა, რომელიც რუსების გამარჯვებით დასრულდა, გერმანელთა ძალზე ძლიერი გუნდი მეორე ადგილს დასჯერდა.

ეგრეთწოდებული მასსტარტს ქალებისთვის (12,5 კმ) და კაცებისთვის სიურპრიზი აღარ შემოუთავაზებია. ლივ გრეტე სკიელბრეიდმა მესამე ოქროს მედალი მოუტანა ნორვეგიას, კაცებში კი ყველაზე უკეთ ფრანგმა რაფაელ პუარემ იასპარეზა, ოლიმპიური ჩემპიონი ბიორნდალენი კი მხოლოდ მესამე იყო.

ამით დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი, თუმცა ის ერთი „გადადებული“ ესტაფეტა გაიმართება 11 მარტს ფინეთის ქალაქ ლაჰტში, მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპის დროს.

### მსოფლიოს ჩემპიონატი

მასსტარტი (ქალები) 12,5 კმ

1. ლივ სკიელბრეიდი (ნორვეგია) — 38,51 (0-1-1-0)
2. გალინა კუკლევა (რუსეთი) — +13,4 (0-0-1-1)
3. კორინ ნიოგრე (საფრანგეთი) — +23,6 (0-0-1-1)

მასსტარტი. კაცები. 15 კმ

1. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) — 39.31,5 (0-0-1-0)
2. პაველ როსტოვცევი (რუსეთი) — +9,4 (0-1-1-0)
3. ოლე ბიორნდალენი (ნორვეგია) — +18,4 (0-2-1-0)

### ინგლისი

პირველი დივიზიონი

XXXIII ტური

ქუინზ პარკი 0:0 ფულემი

### იტალია

სერია B

ვიჩენცა 3:0 ნაპოლი

სერია C1A

რეჯანა 0:0 ბრეშელო

## ჰოკეი

25 თებერვალი

**ვანკუვერი — ლოს ანჯელესი 2:5**

0:2 0:2 2:1

0:1 ლ. ბერი 17'35 (5); 0:2 ჯონსონი 19'55 (8); 0:3 შტუმპელი 20'23 (9); 0:4 შტუმპელი 23'19 (10); 1:4 ჟოვანოვსკი 54'19 (2); 2:4 კლეტი 54'59 (6); 2:5 გ. მიური 59'23 (21)

**ედმონტონი — ატლანტა 5:4**

2:2 1:1 2:1

0:1 გალანოვი 0'50 (2); 0:2 გალანოვი 6'55 (3); 1:2 ბერანეკი 8'41 (9); 2:2 უეიტი 18'47 (13); 3:2 გერინი 25'45 (22); 3:3 სტეპლტონი 36'34 (8); 4:3 მარჩანტი 40'37 (15); 5:3 დევერო 42'41 (5); 5:4 ბრაუნეტი 47'31 (20)

**კალგარი — ფინიქსი 3:3**

0:0 1:2 2:1 0:0

1:0 ვ. ბურე 22'19 (29); 1:1 დებრუსკი 26'21 (3); 1:2 ადამსი 28'33 (13); 1:3 გრინი 43'34 (20); 2:3 იგინლა 53'51 (20); 3:3 ვ. ბურე 59'24 (30)

**სენტ ლუისი — კოლორადო 4:2**

1:1 0:0 3:1

1:0 რიშე 5'18 (11); 1:1 სკულა 8'00 (3); 2:1 რიშე 40'47 (12); 2:2 კლემი 43'53 (5); 3:2 კონროი 48'19 (11); 4:2 რიშე 59'39 (13)

**ნიუ ჯერსი — ტორონტო 1:3**

0:0 1:1 0:2

0:1 პერო 22'18 (11); 1:1 ელიაში 32'04 (26); 1:2 კოროლიოვი 46'50 (16); 1:3 ვოლკი 47'07 (8)

**დეტროიტი — აილენდერსი 5:2**

1:0 3:2 1:0

1:0 ლიდსტრიომი 7'11 (15); 2:0 კოზლოვი 20'39 (17); 2:1 კეირნსი 21'25 (1); 3:1 მაკარტი 32'33 (5); 3:2 იოკინენი 34'16 (4); 4:2 მაკარტი 37'29 (6); 5:2 ვერბიკი 45'39 (17)

**ვაშინგტონი — ბოსტონი 0:3**

0:1 0:1 0:1

0:1 სამსონოვი 19'44 (14); 0:2 აქსელსონი 36'25 (10); 0:3 ბურკი 58'00 (10)

**ბუფალო — რეინჯერსი 3:6**

1:1 2:2 0:3

1:0 პეკა 3'41 (14); 1:1 ფლერი 19'49 (14); 2:1 პეკა 21'00 (15); 3:1 პეკა 25'14 (16); 3:2 იორკი 27'06 (20); 3:3 ნედვედი 29'02 (19); 3:4 დეიგლი 45'21 (8); 3:5 ნედვედი 54'01 (20); 3:6 ნედვედი 58'49 (21)

**დალასი — ჩიკაგო 3:4**

1:1 2:1 0:1 0:1

1:0 სიდორი 8'40 (8); 1:1 ჟამნოვი 18'45 (15); 2:1 ჰალი 23'01 (19); 2:2 ბ. მირონოვი 26'00 (4); 3:2 მოდანო 27'45 (28); 3:3 სალივანი 48'13 (11); 3:4 გოლმორი 61'11 (22)

26 თებერვალი

**მონრეალი — ვაშინგტონი 0:3**

0:0 0:2 0:1

0:1 საიმონი 31'33 (22); 0:2 იეიკი 36'29 (6); 0:3 კ. იუჰანსონი 54'21 (6)

**აილენდერსი — ფილადელფია 1:5**

1:0 0:3 0:2

1:0 ჩერკავსკი 16'41 (24); 1:1 ლენგკოუ 26'26 (15); 1:2 განი 26'47 (13); 1:3 ლეკლერი 33'10 (32); 1:4 ბერუბი 56'36 (1); 1:5 ლეკლერი 59'01 (33)

**ოტავა — რეინჯერსი 4:2**

2:1 0:1 2:0

0:1 დვორჟაკი 4'05 (16); 1:1 ალფრედსონი 8'09 (11); 2:1 ალფრედსონი 12'35 (12); 2:2 ნედვედი 20'46 (22); 3:2 ვან ალენი 42'32 (7); 4:2 ბონკი 55'56 (17)

**ტორონტო — ბუფალო 5:2**

3:0 1:0 1:2

1:0 დომი 5'53 (3); 2:0 ჰოგლუნდი 6'31 (25); 3:0 იუშკევიჩი 12'40 (3); 4:0 სუნდინი 29'57 (27); 4:1 რეი 43'06 (1); 5:1 ვოლკი 46'39 (9); 5:2 ბარნსი 59'11 (14)

**ფლორიდა — კაროლინა 1:2**

1:0 0:1 0:0 0:1

1:0 უილსონი 10'49 (3); 1:1 ონეილი 33'14 (18); 1:2 ონეილი 62'28 (19)

**პიტსბურგი — ბოსტონი 2:2**

0:1 1:0 1:1 0:0

0:1 სამსონოვი 9'31 (15); 1:1 ფალუნი 33'37 (8); 2:1 რაიტი 43'11 (8); 2:2 მანი 44'15 (2)

**ნეშვილი — ტამპა 3:2**

1:1 1:1 1:0

0:1 ჯონსონი 15'04 (14); 1:1 ბერეჰოვსკი 19'00 (10); 1:2 ჯონსონი 27'34 (15); 2:2 სკრასტინაში 38'02 (3); 3:2 მარა 59'26 (6)

**კალგარი — ატლანტა 5:2**

2:0 1:0 2:2

1:0 უიმერი 5'05 (8); 2:0 ვ. ბურე 8'37 (31); 3:0 სავარი 33'19 (15); 4:0 კორბე 42'44 (3); 4:1 ემერსონი 49'38 (13); 5:1 იგინლა 52'18 (21); 5:2 ფერარო 53'32 (17)

**სან ხოსე — ლოს ანჯელესი 6:3**

1:0 3:2 2:1

1:0 შარვი 6'59 (8); 1:1 მოდრი 21'03 (3); 1:2 შტუმპელი 23'53 (11); 2:2 ნოლანი 26'29 (37); 3:2 ნოლანი 29'32 (38); 4:2 რიჩი 39'13 (16); 5:2 დამფუსი 45'27 (13); 5:3 გ. მიური 49'52 (22); 6:3 შტერნი 59'55 (4)

27 თებერვალი

**სენტ ლუისი — ჩიკაგო 1:4**

0:0 0:4 1:0

0:1 დაზე 24'30 (23); 0:2 ჟამნოვი 25'52 (16); 0:3 სალივანი 32'18 (12); 0:4 ნიულანდერი 38'17 (17); 1:4 ჰანდზუსი 52'06 (4)

**ნიუ ჯერსი — მონრეალი 3:0**

0:0 2:0 1:0

1:0 სიკორა 25'28 (19); 2:0 ლემიე 27'56 (19); 3:0 ჰოლიკი 44'39 (20)

**დეტროიტი — ტამპა 3:1**

2:1 1:0 0:0

1:0 აიზერმანი 0'40 (27); 2:0 დრეიპერი 6'35 (4); 2:1 სილინჯერი 9'03 (18); 3:1 ჯილკრისტი 48'56 (2)

**ანაჰაიმი — ედმონტონი 3:2**

3:1 0:1 0:0

1:0 მ. მაკინისი 1'06 (9); 2:0 ოლაუსონი 2'32 (10); 3:0 ჰალერი 19'07 (3); 3:1 მორო 19'16 (15); 3:2 დაუდი 30'35 (5)

**დალასი — კოლორადო 1:1**

0:1 1:0 0:0 0:0

0:1 დევრიზი 9'47 (2); 1:1 მოდანო 29'30 (29)

**ვანკუვერი — ფინიქსი 2:1**

0:0 2:0 0:1

1:0 ბერტუცი 21'36 (16); 2:0 ჰენდრიკსონი 39'07 (5); 2:1 ქუინტი 58'00 (3)

### სატურნირო ვითარება

აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 63 | 37 | 7 | 5 | 19 | 196:150 | 86 |
| ფლორიდა | 62 | 34 | 4 | 5 | 24 | 188:157 | 77 |
| ტორონტო | 62 | 33 | 7 | 3 | 22 | 186:165 | 76 |
| ფილადელფია | 61 | 33 | 11 | 1 | 17 | 182:140 | 78 |
| ვაშინგტონი | 62 | 31 | 10 | 1 | 21 | 165:149 | 73 |
| ოტავა | 61 | 30 | 9 | 2 | 22 | 174:156 | 71 |
| პიტსბურგი | 62 | 26 | 7 | 6 | 29 | 186:178 | 65 |
| რეინჯერსი | 64 | 26 | 9 | 3 | 29 | 180:180 | 64 |
| კაროლინა | 63 | 26 | 9 | 0 | 28 | 158:172 | 61 |
| ბუფალო | 63 | 25 | 9 | 2 | 29 | 155:162 | 61 |
| მონრეალი | 62 | 25 | 7 | 3 | 30 | 140:146 | 60 |
| ბოსტონი | 62 | 19 | 17 | 4 | 26 | 158:178 | 59 |
| ტამპა | 61 | 15 | 7 | 6 | 39 | 157:229 | 43 |
| აილენდერსი | 62 | 17 | 7 | 1 | 38 | 140:203 | 42 |
| ატლანტა | 61 | 12 | 6 | 4 | 43 | 134:227 | 34 |

დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 62 | 40 | 6 | 0 | 16 | 192:128 | 86 |
| დალასი | 63 | 34 | 6 | 3 | 23 | 154:138 | 77 |
| ედმონტონი | 64 | 24 | 15 | 8 | 25 | 180:169 | 71 |
| დეტროიტი | 64 | 38 | 6 | 1 | 20 | 215:168 | 83 |
| ფინიქსი | 62 | 32 | 7 | 1 | 23 | 181:164 | 72 |
| ლოს ანჯელესი | 62 | 30 | 7 | 3 | 25 | 201:183 | 70 |
| კოლორადო | 64 | 28 | 10 | 1 | 26 | 173:167 | 67 |
| სან ხოსე | 64 | 26 | 8 | 7 | 30 | 176:165 | 67 |
| კალგარი | 63 | 26 | 7 | 5 | 30 | 162:192 | 64 |
| ანაჰაიმი | 63 | 26 | 10 | 1 | 27 | 170:176 | 63 |
| ვანკუვერი | 62 | 21 | 11 | 6 | 30 | 161:183 | 59 |
| ნეშვილი | 62 | 22 | 6 | 5 | 34 | 161:187 | 55 |
| ჩიკაგო | 62 | 22 | 7 | 2 | 33 | 180:199 | 53 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში ნაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჟოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli